# საქართველო

სპორტული გაზეთი

შაბათი 4 მარტი 2000 №40 (1062)

ფასი 50 თეთრი


2

## რევაზ ძოძუაშვილი: ჯერ თასი

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი და „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი „თბილისის“ დამარცხებაზე ფიქრობს

2

## ახალი ამხანაგები

საქართველოს ნაკრებს 29 მარტს ისრაელში ელიან

5

## ოლდ ტრეფორდზე ათი წლის შემდეგ?

დღეს „მანჩესტერი“ — „ლივერპულია“, დღეს მაიკლოუენიც დაბრუნდება

8

## 100 იუბილარი

## ფრანციდან ფრანცამდე



მიუნხენის „ბაიერნი“ შეცდომების გამეორებას აღარ აპირებს

15

## ვიდეოკამერამ ბარსელონას განაჩენი გამოუტანა

ევროპის ეროვნებათა თასი. მესამე ტური.

## ესპანეთი — საქართველო

4 მარტი. მადრიდი. 17 საათი.

# ევროპამ ლელოებით დაგვანათლა



ირაკლი ბლიაძის ფოტო

ქართველებს მადრიდში მძიმე შერკინება ელით

დღეს მადრიდის უნივერსიტეტის სტადიონზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ჯერ ექვსი ერის B ჯგუფის პირველობად შერაცხულ, ახლა კი ევროპის ეროვნებათა თასად მონათლული ტურნირის მესამე ტურში ესპანელებს ეთამაშება. ამ მატჩს სტუმარი „ბორჯღალოსნებისთვისაც“ და მასპინძელი „ლომებისთვისაც“ დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართველთა დღევანდელმა მეტოქემ უკვე ორი მატჩი ითამაშა. პირველი იოლად მოუგო ჰოლანდიას, აი, მეორეში კი ჩვენებისგან განაწყენებულ პორტუგალიასთან დამარცხდა. შეიძლება ითქვას, ესპანელებს უკან დასახევი გზა აღარც აქვთ: ქართველებთან მადრიდში წაგება უიმედოდ ჩამოაქვეითებს. „ბორჯღალოსნების“ საქმე კი ისეა, რომ ესპანეთში გამარჯვება მათ ფავორიტებად აქცევს.

პირინეელთა მთავარი დამრტყმელი ძალა გაესპანელებული ექსსაბჭოელი ანდრეი კოვალენკოა. ესპანელთა მიერ მოპოვებულ ქულათა ლომის წილი სწორედ მასზე მოდის. როგორც წესი, ყველა გარდასახვას და საჯარიმო დარტყმას კოვალენკო ასრულებს და არეკნებიც ემარჯვება, თუმცა ჩვენც გვყავს მალხაზ ურჯუკაშვილი, რომელიც არანაკლებ ოსტატურად ურტყამს. მათი დუელი ძალიან საინტერესო იქნებოდა, რომ არა ბოლოდროინდელი ცნობა: კოვალენკომ, შესაძლოა, ქართველების წინააღმდეგ ვერ ითამაშოს, მის შემცვლელად კი უფრო ალფონსო მარტინესს ვარაუდობენ.

კლოდ სორელის მიერ დამოძღვრილი საქართველოს ნაკრები თამაშიდან თამაშამდე უმატებს და დღესაც წარმატების საკმაო შანსი აქვს. „ლელოების“, როგორც „ბორჯღალოსნებს“ ევროპაში მოიხსენიებენ, კარგი თამაში უცხოელებსაც არ გამორჩენიათ მხედველობიდან და პრესაშიც საკმაოდ აქეს, განსაკუთრებით საფრანგეთში. ერთი იქაური გაზეთი ამ ტურნირის დაწყებამდე ფავორიტებად ესპანეთსა და რუმინეთს მიიჩნევდა, მაგრამ არც იმას უარყოფდა, რომ ჩემპიონობა საქართველოსაც შეეძლო. შეჯიბრში უკონკურსოდ მოთამაშე მაროკოს ძლევის შემდეგ კი წერდა: „მაროკოელებმა მატჩი კარგად დაიწყეს, მაგრამ კავკასიელთა შერკინება დიდებულად ირჯებოდა. „ლელოების“ მორკინალებმა და მთლიანად გუნდმა შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს“.

იხილეთ მეათე გვერდი

# აჰა, მარტის მამალიც!

*განახლდა სეზონი და მოვიდა ფეხბურთიც. გუშინ „ეროვნულზე“ პირველმა მარტის მამალმა იყივლა — თბილისურმა „ლოკომოტივმა“ „ხობს“ უმასპინძლა და 4:1 გაიმარჯვა. იღბლიანი გამოდგა რევაზ ძოძუაშვილის სადებიუტო შეხვედრა, მისმა აღსაზრდელებმა არცთუ იოლად, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებლად სძლიეს მეტოქეს და ქვედა „ბ“ ზონის ლიდერობაც განიმტკიცეს.*

*დღეს ორი ცენტრალური მატჩია: ეროვნულ სტადიონზე „დინამო“ ვიტ ჯორჯიას“ მასპინძლობს, ქუთაისში „ტორპედო“ კი „კოლხეთს“*

იხილეთ მეორე გვერდი

საქართველოს 11 ჩემპიონატი

## 1 ტური

«ა» ზონა
4 მარტი, შაბათი

| | |
|---|---|
| ბათუმი | |
| იბერია | |
| ტორპედო | |
| კოლხეთი | |
| დინამო | |
| ვიტ ჯორჯია | |
| სიონი | |
| დილა | |

«ბ» ზონა
3 მარტი, პარასკევი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 4 |
| ხობი | 1 |

5 მარტი, კვირა

| | |
|---|---|
| თბილისი | |
| მერანი | |
| თსუ | |
| სამგურალი | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 18 |
| დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 |
| კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 12 |
| სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 11 |
| დილა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| იბერია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 9 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 12 |
| გორდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| თსუ | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| თბილისი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 7 |
| სამგურალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 6 |
| არსენალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 5 |
| ხობი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 5 |

საქართველოს 11 ჩემპიონატი **1 ტური**

# აჯიკა და მაქჩიქენ სოუსი

| | |
|---|---|
| თბილისი | |
| 3 მარტი | |
| 15 საათი | |
| ეროვნული | |
| 500 (ტევადობა 75 000) | |

**ლოკომოტივი 4:1 ხობი**

1:0 რუსია (41), 2:0 ხუროძე (61 პ), 3:0 ძოძუაშვილი (76), 3:1 აიანადი (83), 4:1 ხუროძე (84)
ლოკომოტივი: ლომაია (ნიკურაძე 78), გილაური (ლ. ჩხაიძე 65), პარამონოვი (დ. გოდერძიშვილი 46), აბრამიძე, გ. ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, ძოძუაშვილი, ხუროძე, რუსია
*სათადარიგონი:* სალუქვაძე, ბაქრაძე, ვ. გველესიანი, გ. გვაზავა.
ხობი: ნიქაბერიძე, ჯამბურია, ქაშიბაძე, ვ. ალანია (ჯლამაძე 66), ზურაბ აიანადი, ვ. ჩიტაია, გიორგაძე, ბულუხია, ბუკია (ოდიშარია 46), ჭიჭინაძე, დ. დანელია (ვართაგავა 75)
*სათადარიგონი:* აბაკელია, ჯიქია, ტყებუჩავა
გაფრთხილება: ბულუხია (34), გიორგაძე (45), ხუროძე (70)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ზ. ანიაშვილი (გორი);
სსფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

კონსტანტინე გოგიშვილი

მეთერთმეტე ეროვნულის მეორე სტადია ყოველგვარი ზიზილ-პიპილოებისა და ზარ-ზეიმის გარეშე დაიწყო „ეროვნულზე". საუკეთესო რვა გუნდს მიღმა დარჩენილი „ლოკომოტივი" „ხობს" დაუხვდა და სოლიდური ანგარიშით აგრძნობინა თავისი უპირატესობა ხალხსაც და მეტოქესაც. თუმც კი, თუ პირველი ტაიმის მიხედვით ვიმსჯელებთ, ხობელები ამგვარი სხვაობით მარცხს ნამდვილად არ იმსახურებდნენ. მაგრამ, მათდავე სამწუხაროდ, ისიც სათქმელია, რომ ფეხბურთი ორი ტაიმისგან შედგება და მატჩის საბოლოო ანგარიშისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, შეხვედრის რომელ ნახევარში გაავა ბურთი. ამ უბრალო ჭეშმარიტების გამო „ხობი" დამარცხდა არა 0:1 (პირველი ნახევრის ანგარიშია), არამედ 1:4 (ორივე ტაიმის შედეგი გახლავთ). ტაიმებს შორის ამგვარი განსხვავება კი იმაზე მიუთითებს, რომ ნაგვიანევად შეკრებადაწყებული ხობელები ფიზიკური მომზადების მხრივ აშკარად ჩამორჩებიან გუშინდელ მეტოქეს და კვიპროსმოვლილმა რკინიგზელებმაც ამად დახნეს ალმართი.

მატჩის საერთო სურათი მეტად ერთფეროვანი გახლდათ. „ლოკომოტივმა" თითქმის მთელი შეხვედრა შეტევაში გაატარა, „ხობი" კი ძირითადად საჯარიმოდან ცენტრამდე განლაგებულიყო და საშუალო პასებით ცდილობდა მეტოქის ნახევარზე ბურთის გადატანას. პირველი ნახევარი საათი, მიუხედავად ბურთის ფლობაში ბიგმაკის ხელა უპირატესობისა, „ლოკომოტივმა" ვერაფრით გარდასახა საგოლე უპირატესობად და ფრთაზე გარღვევებით რომ ვერას გახდა, ცოტათი, სულ ცოტათი ცენტრის არსებობაც გაიხსენა. ამის შემდეგ ბურთი გაცილებით ხშირად მისდიოდა-ხოლმე რკინიგზელ ცენტრალურ ნახევარმცველ კვარაცხელიას, გივიმაც ერთი-ორჯერ დაარტყა ნიქაბერიძის კარისკენ, მაგრამ „ბურთი ასცდა ყველას და ყველაფერს".

პირველი ნახევრის მიწურულს ხობელებს დაღლა დაეტყოთ, ამან კი, ეტყობა, მეორე სუნთქვა გაუხსნა მამუკა რუსიას და მარჯვენა ფრთაზე პეპელასავით მფრინავმა რკინიგზელმა მთლად აიკლო ნიქაბერიძის კარის მარჯვენა მისადგომები. მის ჩაწოდებულებს რომ ვერავინ მიუჩინა მეტოქის კარში ადგილი, მამუკამ ადგილი შეიცვალა, საჯარიმოს ცენტრში შეიჭრა და სხვის ჩაწოდებულს თავად შეუშვირა თავი. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტაბლოზე ორთაგან ერთ-ერთი ნული დაობლებულიყო. ასე გაიხსნა ანგარიში.

პირველი ტაიმი მალე დასრულდა, მეორეც დაახლოებით 15 წუთში დაიწყო და როცა გუნდები მინდორს შეესივნენ, საქმეში თითო ახალი დამხვდურ-სტუმარი ვიხილეთ. ხობელთა მწვრთნელმა ფრიდონ გოცირიძემ თავდასხმას „სისხლი გადაუსხა", ძოძუაშვილმა კი ინერტული პარამონოვის ნაცვლად, როგორც აღმოჩნდა, აქტიური გოდერძიშვილი შეუშვა.

მატჩი კვლავ ადრინდელი სცენარით წარიმართა. ეგ იყო, რკინიგზელთა შეტევები გაცილებით გამწვავდა და კარისკენ დარტყმული ბურთიც ხშირ-ხშირად ხვდებოდა მის ჩარჩოში. საჯარიმოს გარედან დარტყმულებს მეტნაკლები სიადვილით იგერიებდა ნიქაბერიძე, მაგრამ ერთ-ერთ მომენტში მისმა მცველებმა საჯარიმოში მეტოქე წააქციეს და ხუროძის შესრულებულ პენალტს მეკარემ ვერაფერი მოუხერხა.

მეორე გოლმა, ეტყობა, საკმაოდ გაამწარა ხობელები და შეხვედრის 63-ე წუთზე მათმა დარტყმულმა ბურთმა პირველად მიაღწია ლომაიამდე, რომელსაც მეტად არც მოსწევია მეტოქეთა დარტყმულის მოგერიება, რადგან ძოძუაშვილმა გამოცვალა და სათადარიგო მეკარე ნიკურაძე დააყენა კარში.

როდესაც ნიკურაძე მინდორზე შევიდა, „ლოკომოტივი" უკვე 3:0 იყო წინ — ეს მიხეილ ძოძუაშვილმა გამოიდო თავი და თავისი როგორღაც უფერული თამაში გოლით გაალამაზა. სამჯერ როგორ დაგვიბრიყვეთო, იტკიცეს ხობელებმა და მეტოქეს აჯიკასავით მწარე ალიყური აწვნიეს — მარცხენაფლანგელმა ზურაბ აიანადიმ დაახლოებით ოცდახუთი მეტრიდან უთუოდ ბრაზმორეულმა დაარტყა ნიკურაძის კარისკენ და ბურთი შორეულ მაღალ კუთხეში ჩაახვია. პრესტიჟის გოლი შედგა და ხობელთა მცირერიცხოვანმა მაყურებელმაც მეტად გაიხარა. მაგრამ საფეხბურთო ქალღმერთისას რას გაიგებ კაცი — ერთი წუთიც არ გასულიყო, რომ ბურთი საჯარიმოში ცეზარ ხუროძეს მიუვიდა, მან მკერდით დაიგდო და მიწაზე დაუშვებლად იმგვარი გემრიელი გოლი „გამოაცხო", ბარე ორი ევროპელი „კულინარი" მოაწერდა ხელს.

ამის შემდეგ შეხვედრის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა ტექნიკის საქმელა იყო რკინიგზელთათვის. დარჩენილ ხუთიოდე წუთში ერთი-ორჯერაც შეაწუხეს ნიქაბერიძე მასპინძლებმა, მაგრამ ანგარიში ალარ გაუზრდიათ.

იმდღევანდელი „ეროვნულის" მენიუ ისედაც გადატვირთული იყო — რუსიასა და ძოძუაშვილის ორცხობილას აჯიკა ზურაბ აიანადიმ წააცხო, ამ ყველაფერს კი ხუროძის ლამაზ-გოლი იმგვარად მოუხდა, როგორც ბიგმაკს მაქჩიქენ სოუსი.

კონსტანტინე გოგიშვილი



ხობელი თენგიზ ჭიჭინაძე და ლოკომოტიველი მერაბ ძოძუაშვილი (№9)

# რევაზ ძოძუაშვილი: ჯერ თასი

*თბილისის „ლოკომოტივს", გასული სეზონი რიხიანად რომ ჩაამთავრა და უეფას თასის გათამაშებას ნაადრევად გამოეთიშა, წლეულს ევროთასისკენ გზას მხოლოდ საქართველოს თასის მოპოვებაღა თუ გაუკვლევს. გუნდი ჩემპიონატის პრიზიორობისთვის ველარ იბრძოლებს, სამეორეეტაპოდ მისი მიზანი მხოლოდ ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაა. ვეჭვობთ, ძოძუაშვილსა და მის შეგირდებს ეს გაუჭირდეთ. აი, თასი კი... ლოკომოტიველებმა მერვედფინალის პირველი მატჩი უკვე ჩაატარეს „თბილისთან" და ფრეს დასჯერდნენ. საკმარისია, 8 მარტს, საპასუხო შეხვედრაში გოლი ვერ გაიტანონ და თასიც უკან დარჩებათ. ამის წინაპირობა კი არსებობს — „თბილისთან" თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს.*

*რევაზ ძოძუაშვილს ხობელებთან მატჩის შემდეგ ვესაუბრეთ. იგი, როგორც ყოველთვის, არც ამჯერად დაგვზარდა და „ლოკომოტივზე", ცოტაც ეროვნულ გუნდზე გვითხრა:*

— კმაყოფილი ვარ, ბიჭებს კვიპროსზე ყოფნა დაეტყოთ. ვარჯიშისა და დასვენების ჩინებული პირობები გვქონდა. ზღვისპირა სასტუმროში ვცხოვრობდით, სუფთა ჰაერზე. აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გავაკეთე. დილაობით დავრბოდით, სულ უბურთოდ ვვარჯიშობდით, საღამოს კი ჩვეულებრივ, უმეტესად ტაქტიკურ მონახაზებს ვამუშავებდით. რამდენიმე ამხანაგური მატჩიც ჩავატარეთ, მსურდა, შემადგენლობის ოპტიმალური ვარიანტისთვის მიმეგნო. კვიპროსზე ვინც წავიყვანეთ, ყველა ვათამაშე.

**— თბილისში ჩატარებულ მატჩებში კვიპროსიდან დაბრუნებული რამდენიმე მოთამაშე განაცხადშიც რომ ვერ ვიხილეთ, ეგ როგორ გავიგოთ?**

— ხიზანიშვილი, მაგალითად, ავსტრიაშია, უკრაინულ გუნდთან ერთად ვარჯიშობს, საუდეთის „ალ იტიჰადიდან" ჯელაძის განთავისუფლების ფურცელი ჯერ არ ჩამოგვსვლია, კვარაცხელიასა და აბრამიძეს სათასო მატჩებში თამაშის უფლება არა აქვთ, რამდენიმე ფეხბურთელი კი სხვა გუნდებში გავანათხოვრეთ... ზოგიც სათანადო ფორმაში ვერ არის და ჯერჯერობით უთამაშებელიც ამიტომაა.

**— „თბილისთან" მატჩზე რას იტყვით? ასეთი თამაშით შორს ვერ წახვალთ.**

— ბიჭებს შეთამაშება აკლიათ. ახლა, ფაქტობრივად, ახალ გუნდს ვაკეთებთ. ბევრი ახალწვეულია და ერთმანეთს რომ გაუგონ, ამას დრო სჭირდება. საამისოდ კვიპროსზე ორკვირიანი შეკრება არ კმარა. ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება, ოპტიმალურ შემადგენლობასაც შევარჩევ. ჯერ გუნდის ბირთვიც არ გამოკვეთილა. „თბილისთან" ვერმოგება კი უხარისხო მოედნის ბრალი იყო. ბიჭებს პასის ზუსტად მიწოდებაც უჭირდათ, თუმცა არა უშავს. წინ საპასუხო შეხვედრაა, აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

**— უეფას თასის საგზურს მხოლოდ თასი მოგაპოვებინებთ. უძლიერესთა ლიგაში ადგილის შენარჩუნება, ალბათ, არ გაგიჭირდებათ და ახლა, როცა თასის მერვედფინალში გახვედით, შემადგენლობის ასე გაახლება იქნებოდა?..**

— ეს ნაბიჯი ადრე თუ გვიან უნდა გადაგვედგა. „ლოკომოტივის" ყოფილ



ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ძოძუაშვილი

მწვრთნელებს ფეხბურთზე თავისებური შეხედულება აქვთ და ფეხბურთელებიც ამის მიხედვით შეარჩიეს. მე ჩემებურად ვფიქრობ, კონტინგენტიც ჩემს მოსაზრებას შევუსაბამე. „ლოკომოტივს" სამომავლოდ დიდი გეგმები აქვს, წინ ვიყურებით.

**— ისე ხომ არ გავიგოთ, რომ გაისადაც „ლოკომოტივში" იმუშავებთ?**

— კი, ასე გაიგეთ. მომავალ ჩემპიონატშიც ამ გუნდს გავწვრთნი. წასვლას არ ვაპირებ.

**— „ლოკომოტივის" შემადგენლობის გადახალისებას კიდევ ველოდოთ?**

— არა, მნიშვნელოვანი ცვლილებები აღარ მოხდება. შესაძლოა რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატოთ. დღედღეზე უკრაინამოვლილი ივანე ჯუღელი შემოგვიერთდება, ახლო მომავალში სხვა არავინ.

**— „ლოკომოტივმა" ორი ოფიციალური მატჩი უკვე ჩაატარა თქვენი ხელმძღვანელობით. რა ნაკლი ჩაინიშნეთ?**

— ბიჭებს ჟინი აკლიათ, ბოლომდე არ იბრძვიან. ცარიელი ტრიბუნები, უხარისხო მოედანი, სავარჯიშო ბაზა — ფეხბურთელზე ყველაფერი მოქმედებს. იმედი მაქვს, მალე ესეც გამოსწორდება.

**— ეთანხმებით დავით ყიფიანის სიტყვებს, ვიდრე ეროვნულ გუნდში საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეთა 70 პროცენტი არ ითამაშებს, ნაკრებს არაფერი ეშველებაო?**

— ასე არ ჯობია? აქ მოთამაშენი ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ხვდებიან, თამაშობენ... უნდა ვეცადოთ, ასე გავაკეთოთ.

**— ესე იგი, ნაკრებში საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეთა სიმრავლეს უნდა ველოდოთ?**

— დიახ. ნელ-ნელა, ეტაპობრივად მოვიწვევთ ყველას, ვინც შინაურ ჩემპიონატში იყოჩაღებს. ვნახავთ, ნაკრებში როგორ გაამართლებენ. მწვრთნელთა საბჭოს წევრების დახმარების იმედიც გვაქვს, მათი რეკომენდაცია ჩვენთვის ბევრს ნიშნავს.

**— მერე, თამაშობენ კი საქართველოში ისეთი ფეხბურთელები, ნაკრებში რომ გამოგვადგებათ?**

— მოვძებნით, არიან.

**— სიტყვამ მოიტანა და ამას წინათ, მწვრთნელთა საბჭოს მორიგ შეკრებაზე, რაზე ილაპარაკეთ?**

— კვიპროსის ტურნირზე. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ საბჭოს შექმნით კარგი საქმე გაკეთდა. ბევრი ვიკამათეთ, ბევრ ფეხბურთელზე მოვისმინეთ მწვრთნელთა აზრი. ამ ყოველივეს სამომავლოდ გავითვალისწინებთ. ვთქვით ჩვენი საქმიანობის ავკარგზე, რისი უკეთ გაკეთება შეგვეძლო.

კობა ინასარიძე

## ახალი ამხანაგები: ნაკრებს ისრაელში ელიან

საქმის დაბოლოებას ბევრი აღარაფერი აკლია — ფაქსი, რომელიც ისრაელის ფეხბურთის ფედერაციაში თბილისიდან უნდა გაიგზავნოს და ზედ ეწეროს — თანახმა ვართ. ეს ალბათ მომავალ კვირაში მოხდება. საქართველოს ეროვნული გუნდიც აზერბაიჯანელებთან და ესტონელებთან დაგეგმილ ამხანაგურ მატჩებს ერთსაც შემატებს — 29 მარტს, თელ ავივში, გაუთვალისწინებელი რამ თუ არ მოხდა, ჩვენებს ისრაელის ნაკრები დაუხვდება. ებრაელებს თავად გამოუთქვამთ ქართველებთან გაჯიბრების სურვილი, არც რევაზ ძოძუაშვილს, დავით ყიფიანსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აქვთ რამე საწინააღმდეგო. ახლანდელი ისრაელის ნაკრები საკმაოდ კარგი გუნდია, ამას წინათ, მათ რუსები 4:1 დაამარცხეს.

კობა ინასარიძე

# ლაშა ჯაკობია სტანდარდმა მოიკითხა

*ლაშა ჯაკობიამ ბელგიის მეორე დივიზიონის ბოლო ტურშიც გამოიჩინა თავი. როგორც იცით, იმ შეხვედრაში აუტსაიდერმა „ვეზეტმა" ლიდერ „სერკლ ბრიუგეს" უმასპინძლა და ორი ქულაც აართვა — 2:2. ლაშამ კი თავისი მორიგი, მეექვსე გოლი მიითვალა. ჯაკობიას გოლი უფრო ფასეული იყო, რადგან ქართველმა ბოლო წუთებში გამოსტაცა გამარჯვება ხელიდან მეტოქეს. ორიოდე დღის წინ კი თბილისში ხმა გავრცელდა, ჯაკობია „ვეზეტის" და ბელგიის დატოვებას აპირებსო. საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრს ბელგიაში დავუკავშირდით:*

— აქედან წასვლას ნამდვილად არ ვაპირებ. ჩემპიონატის ბოლომდეც „ვეზეტში" ვითამაშებ. პირველობა მაისის ბოლოს მთავრდება, ამის შემდეგ კი დაუყოვნებლივ დავტოვებ „ვეზეტს"...

**— მით უფრო, რომ ეს გუნდი მეორე დივიზიონიდან გავარდნის რეალური საფრთხის წინაშე დგას...**

— საქმე ამაში როდია, „ვეზეტი" რომც დარჩეს, მე მაინც წამოვალ.

**— ალბათ კონკრეტული ვარიანტებიც გექნებათ...**

— დიახ, არის რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ უფრო რეალური ისევ „სტანდარდში" დაბრუნებაა, მით უმეტეს, დღესაც ამ გუნდს ვეკუთვნი.

**— ლიეჟელები ხომ არ შეგხმიანებიან?**

— „სერკლ ბრიუგესთან" მატჩს „სტანდარდის" პრეზიდენტი ანდრე დუშენი და სპორტული დირექტორი ტომისლავ ივიჩი ადევნებდნენ თვალს. შეხვედრის ბოლოს ისინი შემხვდნენ და სამომავლოდ ისევ „სტანდარდში" დარჩენაზე ჩამომიგდეს სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების რეალური კანდიდატია, გადაჭრით მაინც ვერაფერი ვუპასუხე.

**— რატომ?**

— არ მინდა, შარშანდელივით დამემართოს, მე ხომ ფაქტობრივად არც მქონდა საშუალება, სრულად გამომემჟღავნებინა ჩემი შესაძლებლობები „სტანდარდში". მართალია, მაშინ ტრავმამაც შემიშალა ხელი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ძირითადად სათადარიგოთა სკამისთვის ვიყავი განწირული. არ მინდა კვლავ შეცდომა დავუშვა, ამიტომ ჩემს მენეჯერს სეზონის დასრულების შემდეგ საფუძვლიანად გავესაუბრები, დაწვრილებით განვიხილავთ ყველა ვარიანტს და „სტანდარდსაც" პასუხს ამის შემდეგ ვეტყვი.

** პაატა კვანტალიანი**

# შვიდის ნაცვლად ოთხი

## ხობს კვლავ ფრიდონ გოცირიძე გაწვრთნის

პირველი ეტაპის შემდეგ საკმაო ხნის განმავლობაში ხობის „კოლხეთში" გაურკვეველი სიტუაცია სუფევდა. გუნდი ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა. კლუბის სათავეშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გუნდის პრეზიდენტმა, იმავდროულად ხობის გამგებელმა ანგული მიქავამ თანამდებობა ენუქი ევზაძეს დაუთმო. ხობელებს მწვრთნელიც შეეცვალათ, უფრო სწორად, უმწვრთნელოდ დარჩნენ. „კოლხეთის" ხელმძღვანელობამ ფრიდონ გოცირიძეს შედეგი დაუწუნა და გაათავისუფლა.

მთავარი მწვრთნელის ადგილი ამჟამად თავისუფალია. არ ვიცით, ვის დავნიშნავთ. ისიც არ არის გამორიცხული, ფრიდონ გოცირიძე დავაბრუნოთო, განუცხადა მაშინ „სარბიელს" კლუბის ახალმა პრეზიდენტმა ენუქი თევზაძემ.

ამას თებერვლის პირველ რიცხვებში თბილისის სპორტის სასახლეში გამართული მინი-ფეხბურთის ტურნირი მოჰყვა. სხვებთან ერთად ხობელებმაც მიიღეს მონაწილეობა. „კოლხეთს" კვლავ გოცირიძე თავკაცობდა, თუმცა, როგორც თავად აღნიშნა, დროებით. „ხობის გამგებელმა ანგული მიქავამ დამირეკა, მთხოვა, გუნდი შემეკრიბა, თბილისში წამომეყვანა და მესხის ტურნირზე გვეთამაშა, მეც გამგებლის თხოვნა შევასრულე, მერე კი ჩემს გზას ვეწევიო, გვითხრა მაშინ გოცირიძემ.



ფრიდონ გოცირიძე

გუშინ თბილისის „ლოკომოტივთან" მეორე ეტაპის პირველ მატჩში „კოლხეთს" კვლავ ძველი თავკაცი გამოუძღვა. ჩვენც, ცხადია, გოცირიძის ბედით დავინტერესდით.

„მწვრთნელის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, თუმცა ამ ეტაპზე გუნდს მე ვუხელმძღვანელებ, მერე ვნახოთ, რა იქნება" — განგვიცხადა მან.

კლუბში დამრჩენ-წამსვლელთა საკითხიც გაირკვა. გიორგი ბაბუაძემ, როინ ონიანმა, ლევან გვაზავამ, რომეო გოგიტაძემ, გურამ თორიამ, გელა გედენიძემ და ზაზა კვეკვესკირმა გუნდი დატოვეს. ონიანი თბილისის „ლოკომოტივში" გააგრძელებს კარიერას, გვაზავა — „ზიმბრუში", თორია — ზუგდიდის „დინამოში", გედენიძე კი სამტრედიის „იბერიაში". ბაბუაძის, გოგიტაძისა და კვეკვესკირის ბედი კი ჯერჯერობით გაურკვეველია. ამ შვიდი ფეხბურთელის სანაცვლოდ ხობელებმა ოთხი ახალწვეული დაიმატეს. გია გიორგაძე და მამუკა ბულუხია ფოთის „კოლხეთიდან" შეუერთდნენ გუნდს, თემურ ჯლამაძე — ფოთის „კოლხეთი 2"-დან, გურამ ოდიშარია კი ბოლოს სოხუმის „ცხუმში" თამაშობდა.

ხობელებმა პირობების უქონლობის გამო ძალიან გვიან, 22 თებერვალსღა დაიწყეს მზადება. გუნდი დღეში ორჯერ ვარჯიშობდა. ხობის გამგებლის, იმავდროულად გუნდის საპატიო პრეზიდენტის, ანგული მიქავას დიდი ძალისხმევა რომ არა, ამასაც ვერ შევძლებდითო, განაცხადა გოცირიძემ.

„ხობის" მთავარი ამოცანა პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება, თუმცა ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდება. მწვრთნელმა თავისი გუნდის შანსებზე საუბრისაგან თავი შეიკავა.

კლუბის მდგომარეობას, მოუმზადებლობასა და სატურნირო ვითარებასთან ერთად, სტადიონის დისკვალიფიკაციაც ამძიმებს. მოგეხსენებათ, პირველი ეტაპის ბოლო ტურში ხობის სტადიონზე მომხდარი ინციდენტის გამო სფფ-ს სადისციპლინო ტექნიკურმა კომიტეტმა წლის ბოლომდე დასაჯა გუნდი და ახლა მას საშინაო მატჩების გამართვა სენაკში მოუწევს.

მიუხედავად ყველაფრისა, გოცირიძეც და ფეხბურთელებიც იმედიანად არიან განწყობილნი და ერთგულ ქომაგებს, რომლებიც გუნდს ნამდვილად არ აკლია, ლიგაში დარჩენისათვის ბოლომდე ბრძოლას ჰპირდებიან.

**ზვიად გაჩეჩილაძე**

# საქართველოს XI ჩემპიონატი რეგიონალური ლიგა მეორე წრე

| აღმოსავლეთი «ა» ზონა | | დასავლეთი «ბ» ზონა | |
|---|---|---|---|
| **მეთორმეტე ტური** | | | |
| 25.03 შბ | არაგვი : ცხინვალი | 24.03 პარ | სამეგრელო : ფაზისი |
| | ვარძია : ივერია | | ბახმარო : ლაზიკა |
| | მესხეთი : თორი | 25.03 შბ | სქური : ზუგდიდი |
| | იბერია : ცხუმი | | მეგრი : მერცხალი |
| | განთიადი : საუ | | ჩელა : შუქურა |
| | მრეტები ისვენებს | | კოლხეთი 2 : ბათუმი 2 |
| **მეცამეტე ტური** | | | |
| 01.04 შბ | ცხუმი : ვარძია | 31.03 პარ | ბათუმი 2 : სქური |
| | საუ : მესხეთი | | ფაზისი : ჩელა |
| | ივერია : არაგვი | | ბახმარო : მეგრი |
| 02.04 კვ | თორი : იბერია | | ლაზიკა : სამეგრელო |
| | ცხინვალი : მრეტები | | შუქურა : კოლხეთი 2 |
| | განთიადი ისვენებს | 01.04 შბ | ზუგდიდი : მერცხალი |
| **მეთოთხმეტე ტური** | | | |
| 07.04 პარ | არაგვი : ცხუმი | 07.04 პარ | ჩელა : ლაზიკა |
| | იბერია : საუ | | სამეგრელო : ბახმარო |
| | ვარძია : თორი | | მერცხალი : ბათუმი 2 |
| | მრეტები : ივერია | | კოლხეთი 2 : ფაზისი |
| | მესხეთი : განთიადი | 08.04 შბ | სქური : შუქურა |
| | ცხინვალი ისვენებს | | მეგრი : ზუგდიდი |
| **მეთხუთმეტე ტური** | | | |
| 13.04 ხუთშ | განთიადი : იბერია | 13.04 ხუთშ | ლაზიკა : კოლხეთი 2 |
| | საუ : ვარძია | 14.04 პარ | ბახმარო : ჩელა |
| | თორი : არაგვი | 15.04 შბ | სამეგრელო : მეგრი |
| | ცხუმი : მრეტები | | ფაზისი : სქური |
| | ივერია : ცხინვალი | | შუქურა : მერცხალი |
| | მესხეთი ისვენებს | | ბათუმი 2 : ზუგდიდი |
| **მეთექვსმეტე ტური** | | | |
| 21.04 პარ | ცხინვალი : ცხუმი | 20.04 ხუთშ | მეგრი : ბათუმი 2 |
| | მრეტები : თორი | 21.04 პარ | მერცხალი : ფაზისი |
| | არაგვი : საუ | | ჩელა : სამეგრელო |
| | ვარძია : განთიადი | | სქური : ლაზიკა |
| | იბერია : მესხეთი | | ზუგდიდი : შუქურა |
| | ივერია ისვენებს | | კოლხეთი 2 : ბახმარო |
| **მეჩვიდმეტე ტური** | | | |
| 27.04 ხუთშ | ცხუმი : ივერია | 28.04 პარ | ფაზისი : ზუგდიდი |
| 28.04 პარ | საუ : მრეტები | | ჩელა : მეგრი |
| | თორი : ცხინვალი | | შუქურა : ბათუმი 2 |
| 29.04 შბ | მესხეთი : ვარძია | | სამეგრელო : კოლხეთი 2 |
| | განთიადი : არაგვი | | ლაზიკა : მერცხალი |
| | იბერია ისვენებს | 29.04 შბ | ბახმარო : სქური |
| **მეთვრამეტე ტური** | | | |
| 05.05 პარ | ცხინვალი : საუ | 05.05 პარ | ბათუმი 2 : ფაზისი |
| | ივერია : თორი | | მეგრი : შუქურა |
| | მრეტები : განთიადი | | მერცხალი : ბახმარო |
| | ვარძია : იბერია | | სქური : სამეგრელო |
| 06.05 შბ | არაგვი : მესხეთი | | კოლხეთი 2 : ჩელა |
| | ცხუმი ისვენებს | 06.05 შბ | ზუგდიდი : ლაზიკა |
| **მეცხრამეტე ტური** | | | |
| 12.05 პარ | განთიადი : ცხინვალი | 11.05 ხუთშ | ფაზისი : შუქურა |
| | იბერია : არაგვი | | ლაზიკა : ბათუმი 2 |
| | საუ : ივერია | | ჩელა : სქური |
| | თორი : ცხუმი | 12.05 პარ | სამეგრელო : მერცხალი |
| | მესხეთი : მრეტები | | ბახმარო : ზუგდიდი |
| | ვარძია ისვენებს | | კოლხეთი 2 : მეგრი |
| **მეოცე ტური** | | | |
| 18.05 ხუთშ | ცხუმი : საუ | 18.05 ხუთშ | ბათუმი 2 : ბახმარო |
| | ივერია : განთიადი | | მეგრი : ფაზისი |
| | ცხინვალი : მესხეთი | | შუქურა : ლაზიკა |
| | არაგვი : ვარძია | | სქური : კოლხეთი 2 |
| 19.05 პარ | მრეტები : იბერია | 19.05 პარ | მერხცალი : ჩელა |
| | თორი ისვენებს | | ზუგდიდი : სამეგრელო |
| **ოცდამეერთე ტური** | | | |
| 25.05 ხუთშ | მესხეთი : ივერია | 25.05 ხუთშ | ჩელა : ზუგდიდი |
| | იბერია : ცხინვალი | | ბახმარო : შუქურა |
| | განთიადი : ცხუმი | | სამეგრელო : ბათუმი 2 |
| | საუ : თორი | | ლაზიკა : ფაზისი |
| | ვარძია : მრეტები | | სქური : მეგრი |
| | არაგვი ისვენებს | | კოლხეთი 2 : მერცხალი |
| **ოცდამეორე ტური** | | | |
| 31.05 ოთხშ | თორი : განთიადი | 01.06 ხუთშ | მეგრი : ლაზიკა |
| | ცხუმი : მესხეთი | | ფაზისი : ბახმარო |
| | ივერია : იბერია | | შუქურა : სამეგრელო |
| | ცხინვალი : ვარძია | | მერცხალი : სქური |
| 01.06 ხუთშ | მრეტები : არაგვი | | ბათუმი 2 : ჩელა |
| | საუ ისვენებს | | ზუგდიდი : კოლხეთი 2 |

*„ცხუმი" და „მრეტები" თამაშობენ დიდუბეში მოედ.კომბინატ „ივერიის"; საუ — სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის; „იბერია" — მუხრანში; „მეგრი", „ზუგდიდი" და „ლაზიკა" — ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონებზე (წვიმიან ამინდში ბაზაზე); „ბათუმი 2" — ბენზეს ან „დინამოს" სტადიონზე; „კოლხეთი 2" „ფაზისზე"; წვიმიან ამინდში მლარის სახელობის სტადიონზე; „ფაზისიც" — იქვე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოლო სატრანსფერო დღე მერანის განკარგულებაში

დღეს ფეხბურთის ფედერაციაში ბოლო ქართული ტრანსფერებიც იურიდიულად გაფორმდება. ხვალიდან კლუბებს მხოლოდ იმ ფეხბურთელთა დამატება შეეძლებათ, რომლებიც შინაურ გათამაშებაში არ მონაწილეობდენ.

კაცმა რომ თქვას, სერიოზულ გუნდებს აქამდეც უნდა მოესწროთ ახალწვეულთა გადაბირება, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც საპატიო მიზეზები მოეპოვებათ. მათ შორისაა თბილისის „მერანი". ავჭალელებს დიდი ხანი არაა, რაც ახალი მეპატრონე გამოუჩნდათ და მწვრთნელებსაც ხელფეხი გაეხსნათ. სერგო გაბელაიამ და კომპანიამ ფინანსურად მოძლიერების პერსპექტივა დაინახეს თუ არა, საშუასეზონო მზადება და სატრანსფერო პოლიტიკა უფრო ინტენსიური გახადეს. დრომაც ჩვეულად სწრაფად გაიარა და...

დღეს „მერანი" ფედერაციას ხუთ სატრანსფერო დოკუმენტს წარუდგენს. ავჭალელები ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს იმატებენ. კონკრეტულად ვის, უცნობია. როგორც სერგო გაბელაიამ გუშინ გვითხრა, უჯობთ, ახალწვეულთა ვინაობა არ გაამხილონ, რათა საქმე გაუთვალისწინებლად არ გაიართულონ. მწვრთნელს დიდი იმედი აქვს, რომ სფფ „მერანისა" და ავჭალელთა რიგებში თამაშის მოსურნე ფეხბურთელების შეთანხმებას დასტურს მისცემს.

სერგო გაბელაიას შეგირდთა ამქარში ჩარიცხვის სურვილი აქვს მეკარე აკაკი დევაძესაც. იგი შარშან ისრაელის ირონის „აშდოტის" ღირსებას იცავდა. გამოცდილი გოლკიპერის შესაძლო გამერანელებაზე გაბელაიამ ბევრი ვერაფერი გვითხრა, ჯერ ყველაფერი გასარკვევიაო. თუმცა მწვრთნელს ოპტიმისტური განწყობა შევნიშნეთ და სავსებით შესაძლებელია, აკაკი დევაძემ სულ მალე მოირგოს „მერანის" მაისურა.

ახლა იმათზეც ვთქვათ, ვინც ავჭალელთა კლუბი დატოვა. ალადაშვილის და ხარებავას „არსენალში" გადასვლა ცნობილი ამბავია. რაც შეეხებათ უცხოეთში წასულებს, სულიკო დავითაშვილი, როგორც ჩანს, კვლავ ტულაში იმყოფება და რუსულ „არსენალში" მოხვედრას ლამობს. მის შესახებ გაბელაიას არანაირი ინფორმაცია არა აქვს. ასტრახანში გასინჯვაზე მყოფი ძმებიდან ლაშა ამბიძე უკანვე დაუბრუნდა „მერანს", ბახვა კი იქაურ „ვოლგარ გაზპრომში" დარჩა და, ალბათ, კარიერასაც ასტრახანულ კლუბში გააგრძელებს.

ისრაელის გზას სულ ახლახან გაუყვა მერანელი ლევან ბაჯელიძე. მისი დაბალლიგელ ტაიბის „ჰაპოელში" გადაბარგება ბაჯელიძის პირადი მენეჯერის სრული დამსახურება ყოფილა და ქართული კლუბის ხელმძღვანელობას არანაირი წვლილი არ მიუძღვის ამ ტრანსფერის გაჩარხვაში.

ალბათ, ავჭალელთა საფეხბურთო არენის მდგომარეობაც გაინტერესებთ. „სინათლეზე" მინდვრის საფარის გაახლების სამუშაოები თვეზე მეტია, რაც დაიწყეს და სერგო გაბელაიას თქმით, მოედანი თასის გათამაშების მერვედფინალის საპასუხო მატჩს ფოთის „კოლხეთთან" მზადყოფნაში შეხვდება.

მეორე ეტაპს კი, როგორც შოგეხსენებათ, „მერანი" „თბილისთან" საგარეო შეხვედრით იწყებს, მაგრამ სად, ჯერ კიდევ გაურკვეველია. თბილისელებს შინაური სტადიონის პრობლემა აწუხებთ და სამწუხაროდ, მისი დროულად მოგვარება ვერ მოხერხდა, ანუ გუნდი ვერავის შეეკედლა. „თბილისის" მესვეურებს ავჭალელთათვის დილმის ბაზაზე თამაში შეუთავაზებიათ, რაზეც ფედერაციას სამართლიანად არ მიუცია ნებართვა.

„მერანი" დღეს, დილის 11 საათამდე მეტოქისგან საბოლოო პასუხს ელის. თუ არა და, შეხვედრას ჩაშლა დაემუქრება.

**ხვიჩა სანიკიძე**



აკაკი დევაძე

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო<br>*დავით ყიფიანი* | ჩხაბერიძე, სტურუა (სამგურალი), მაზანიშვილი, ვ. მაისურაძე (სიონი), კ. ჯანაშია (იბერია) | თავბერიძე (ინტერი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2, დუსტლიკი (უზბეკეთი) 4:3, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:3, სამგურალი 4:0 |
| დინამო<br>*ოთარ კორღალიძე* | ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი, ღლონტი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), აშვეთია, აწჩაბაძე (ალანია, რუსეთი), ვ. გოგიაძე (ანჟი, რუსეთი), ს. გოგიაძე (იბერია), ხიზანეიშვილი (კრივბასი, უკრაინა) | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, რუხაძე, გ. ვ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (თბილისი), დათუაძე (სიონი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), ჩხეიძე (არ თამაშობდა), შელია (მანჩესტერსიტი, ინგლისი) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ ბასტაუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0, ფერენცვაროში (უნგრეთი) 0:1, რუბინი (რუსეთი) 2:3, დინამო (რუმინეთი) 4:2, პოლონია (პოლონეთი) 2:3 |
| კოლხეთი<br>*გია ტყებუჩავა* | ქობონელიძე (ზოოვეტი), შელაძე (გორდა), ბულეისხა, გ. გიორგაძე (ხობი), დ. გოგოლაძე (ვენტსპილსი, ლატვია) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კირკველია, კასლოვსკი (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი) | ნივა (ტერნოპოლი, უკრაინა) 1:1, სტალი (ალჩევსკი, უკრაინა) 0:1, 1:1, პოლიგრაფტექნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2, ობოლონ პპო (კიევი, უკრაინა) 0:0, ჩკალოვეცი (რუსეთი) 2:1 |
| ბათუმი<br>*ჯანი კარნეგალე* | პაპიძე, გაღელია (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), უვაკვე (?) | ხომერიკი, ღლონტი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), სიდამონიძე (სიონი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4, არჯეში (რუმინეთი) 1:2, ზაგლებიე (პოლონეთი) 4:1, ვისლა (პოლონეთი) 3:2, თსუ 1:2 |
| ვიტ ჯორჯია<br>*სერგო კუტივაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი, ბარქაია, ხართიშვილი (თსუ), ა. ბოკერია (სიონი) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), თ. კობიაშვილი (დინამო), მორჩილაძე (ლოკომოტივი 2) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფენერბახჩე (თურქეთი) 3:1, სპორტული (რუმინეთი) 1:1, სლოგა (მაკედონია) 3:0, ნოიდორფელი (ავსტრია) 0:0, პოგონი (პოლონეთი) 1:1, ქაბუკიანი 1:0 |
| სიონი<br>*სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), ლ. გაგუა (ვლეკს, პოლონეთი), სიდამონიძე (ბათუმი), ნ. მინდიაშვილი, ი. კაპანაძე (არსენალი) | მაზანიშვილი, ვ. მაისურაძე (ტორპედო), ისაანი (თბილისი), ბ. შენგელია (იბერია), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), ა. ბოკერია (ვიტ ჯორჯია), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:1, 1:3, გორდა 1:1, 0:0, ზოოვეტი 8:2, თბილისი 4:1 |
| დილა<br>*მერაბ კოჭლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), მარლიშვილი, შატაკიშვილი (?) | საყვარელიძე (დილას სკოლა) | ვიტ ჯორჯია 0:1, ლოკომოტივი 3:1, თსუ 0:0, თბილისი 0:2, 1:0, მერანი 0:0, 0:5, არსენალი 1:1 |
| იბერია<br>*სოსო ფრუიძე* | დარსაძე (სამგურალი), კ. მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), ზ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), გ. ლეურსმანაშვილი (ცხინვალი), ქველაძე (?) | გ. ნოზაძე, კ. ალანია (სუ), კ. ჯანაშია (ტორპედო), ს. გოგიაძე (დინამო), გედენიძე (ხობი) | სამგურალი 1:0, მარგვეთი 2:1, ჩკალოვეცი (რუსეთი) 2:4 |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პეირიკოსი, საბერძნეთი), კ. მელქაძე, აშვეშუკელი, ბარნოვი (თბილისი), ბერაძე (სამგურალი), დ. ჯანელიძე, ნიჟნიკაძე (არსენალი), ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ნემსაძე (კრივბასი, უკრაინა), დოლაბერიძე, გოგიჩაიშვილი (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (თბილისი), ხურიძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), დ. გოდერძიშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), ქოქაიშვილი, გ. ჩხაიძე (ალანია, რუსეთი), გ. გვაზავა (თსუ), ნიკურაძე, გულორდავა, სალუქვაძე (გურია), ონიანი (ხობი), ა. ჯელაძე (ალიტპადი, საუდეთი), არეშიძე (ლოკომოტივი 2), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი), გამცემლიძე (არ თამაშობდა) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1, თსუ 1:0, 2:2, ასკ (ხაბაროვსკი, რუსეთი) 2:1, აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0, შერიფი (მოლდოვა) 0:2, ლადა ვაზ (ტოლიატი, რუსეთი) 1:3 |
| გორდა<br>*იასონ ალადაშვილი* | გ. ხიზანიშვილი (აკადემია), ინასარიძე (თორი), ლ. ალადაშვილი (აპოლონი, საბერძნეთი), თელიაშვილი (?) | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), ბედიაშვილი (თბილისი), ლ. სილაგაძე (სკონტო 2, ლატვია), შელაძე (კოლხეთი), ბურნაძე, გ. კილასონია, შ. მეტრეველი, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ), ქოქაშვილი (ოლიმპიკი), ლ. კაპანაძე, დ. ნიკლაური, სულაშვილი, ძებისაშვილი (ხალიბი), გაბარაევი (მამული) | სიონი 1:1, 0:0, ხალიბი 4:3, 3:2, 2:0, ზოოვეტი 2:0 |
| თსუ<br>*თენგიზ კაკაა* | ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), გ. გვაზავა (ლოკომოტივი), ჯობაძე (არსენალი), გ. ა. მიქაძე (აკადემია) | მაზიაშვილი, ბარქაია, ხართიშვილი (ვიტ ჯორჯია), ებრალიძე (თბილისი), სულავა, ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი), ა. ლობჟანიძე (ავაზა) | ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი 0:1, 2:2, ამირანი 1:0, ზოოვეტი 4:2, დილა 0:0, ზუგდიდი 6:1, ბათუმი 2:1 |
| მერანი<br>*სერგო გაბელაია* | ბაჯელიძე (ჰაპოელი, ტაიბე, ისრაელი), ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი), ბ. ამბიძე, ლ. ამბიძე (დინამო, ასტრახანი, რუსეთი) | გ. კვეტენაძე (ანდიჯანი, უზბეკეთი), ბოლქვაძე (გურია), გ. ილურიძე, აბულაძე (განთიადი), ა. ხორბელი, კობესაშვილი, დევაძე (არ თამაშობდნენ), კოშკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი) | ვიტ ჯორჯია 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0, დინამო 0:0, ქაბუკიანი 1:1, ცხუმი 6:0, 3:1, დილა 0:0, 5:0, ლოკომოტივი 2 3:1, მეტალურგი 3:0, აკადემია 1:0, 2:0 |
| თბილისი<br>*რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, რუხაძე, გ. ვ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (ლოკომოტივი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), კალუგინ გაგუა (სკონტო, ლატვია), ბედიაშვილი (გორდა), ებრალიძე (თსუ), ისაანი (სიონი), ზ. ხიზანიშვილი (კრივბასი, უკრაინა) | კ. მელქაძე, აშვეშუკელი, ბარნოვი (ლოკომოტივი), გაღელია (ბათუმი), ყუფუნაძე, გოჩაროვი (არსენალი), კოხრეიძე (სამგურალი), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩიგაძე, კანდელაკი, ახალაია (თბილისი 2), გ. ლედეუშაური, თ. დოლიძე (არ თამაშობდნენ) | დილა 2:0, 0:1, საქართველო U18 0:0, ს.ა. იბერია 0:0, ქაბუკიანი 3:1, აკადემია 2:1, სიონი 1:4 |
| სამგურალი<br>*იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოხრეიძე (თბილისი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | ბერაძე (ლოკომოტივი), ჩხაბერიძე, სტურუა (ტორპედო), ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი, ფუტკარაძე, გ. გოგოლაძე (ინტერი), დარსაძე (იბერია), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), გორგობიანი (ლუჩი, ვლადივოსტოკი, რუსეთი), ხუნდაძე (ლოკომოტივი, სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი) | ინტერი 8:0, გაგრა 5:1, ტორპედო 0:4, იბერია 0:1 |
| ხობი<br>*ფრიდონ გოცირიძე* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი), გედენიძე (იბერია), თორია (ზუგდიდი), ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი (?) | ოდიშარია (ცხუმი), ჯლამაძე (კოლხეთი 2), გიორგაძე, ბულეისხა (კოლხეთი) | |
| არსენალი<br>*ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), ყუფუნაძე, გოჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გვეფხვკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნიჟნიკაძე (ლოკომოტივი), ქოიავა (არაგვი), ი. კაპანაძე, ნ. მინდიაშვილი (სიონი), გ. ტულუში (ცხინვალი), ჯობაძე (თსუ), შუკაკიძე (ზოოვეტი); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, არსენალი 2 3:0, აკადემია 3:0, დილა 1:1, მეტალურგი 4:0, ლოკომოტივი 2 3:1 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

# ოლდ ტრეფორდზე ათი წლის შემდეგ?

## ინგლისი

ათი წელი დიდი დროა. დიახ, სწორედ ამდენი გასულა მას შემდეგ, რაც „ლივერპულმა" „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერის" დამარცხება შეძლო. ის თამაში 1990 წლის მარტში სტუმრებმა 2:1 მოიგეს და სამივე გოლიც მათვე გაიტანეს — რონი ველანმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მაშინ ლივერპულელთა თავკაცი კენი დალგლიში გახლდათ და კლუბი ინგლისის ჩემპიონი გახდა. დროება შეიცვალა. აგერ ათი წელია, „ლივერპული" პირველი აღარ ყოფილა. თუმც ჩემპიონობას ვინ დაეძებს, „ენფილდის" ბინადრებს „მანჩესტერთან" გამარჯვება მშობლიურ არენაზეც სანატრელი გაუხდათ. „ლივერპულმა" „მანჩესტერს" ბოლოს 1995 წლის 17 დეკემბერს სძლია.

მიმდინარე სეზონის პირველ წრეში ამ გუნდების მატჩი მეტად უცნაური გამოდგა. „მანჩესტერმა" „ენფილდზე" 3:2 მოიგო. სტუმრებს მხოლოდ ერთი გოლის გატანა დასჭირდათ — მათ ლივერპულელი ჯეიმი კარაგერი დაეხმარათ, რომელმაც საკუთარ კარში ორი ბურთი შეაგდო. იმ შეხვედრაში დებიუტი ჰქონდა მასიმო ტაიბის. ლივერპულელებმა ერთი გოლი სწორედ იტალიელის შეცდომის შემდეგ გაიტანეს და ალექს ფერგიუსონმა გაიხსენა, სადებიუტო მატჩში პიტერ შმეიხელმაც ზუსტად ასეთი შეცდომა დაუშვაო.

თუმც დღეს „მანჩესტერის" კარს სხვა მეკარე დაიცავს. ედვინ ვან დერ გოუმ ოთხშაბათს „ბორდოს" წინააღმდეგ შეხვედრაში კარი ხელუხლებელი შეინახა. მაგრამ ახლა უფრო რთული გამოცდა ელის. „ლივერპულს" თავდასხმაში ისეთი ფეხბურთელები ეყოლება, როგორებიც პატრიკ ბერგერი, ტიტი კამარა და მაიკლ ოუენი არიან. ამ სამიდან კი განსაკუთრებულ ინტერესს ოუენი იწვევს — ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ის პირველად გამოვა მოედანზე. მაგრამ ოუენის სასტარტო შემადგენლობაში გამოჩენა საეჭვოა, ჟერარ ულიე მას სავარაუდოდ შეცვლაზე შეიყვანს. ფეხბურთელი მთელი კვირაა, ინტენსიურად ვარჯიშობს და ტრავმას მისთვის თავი არ შეუხსენებია. ჟერარ ულიე ამბობს: „ექიმების ვარაუდით, მაიკლი სრულ დატვირთვას გაუძლებს. თუმც ვშიშობ, ექვსკვირიანმა უთამაშებლობამ მასზე არ იმოქმედოს. ამიტომაც, ვფიქრობ, შეცვლაზე ვათამაშო. ამ აზრს მაიკლიც ეთანხმება". თუ მწვრთნელი გადაწყვეტილებას არ შეცვლის და ოუენს თავიდან სათადარიგოთა სკამზე დასვამს, მის ადგილს მინდორზე ერიკ მეიერი დაიკავებს.



მაიკლ ოუენი მინდორს უბრუნდება

ერთ ტრავმირებულ ფეხბურთელზეც ვთქვათ. ჯეიმი რედნაპს ნოემბრის შემდეგ აღარ უთამაშია. მან მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ჩვეულ ფორმას ახლაღა დაუბრუნდა. ჟერარ ულიე ლივერპულელთა კაპიტნის მინდორზე გაშვებას არ ჩქარობს — დღევანდელი შეხვედრის მნიშვნელობა მეტად დიდია. ამიტომაც, რედნაპის გამოჩენა რამდენიმე დღის შემდეგ არის დაგეგმილი. შუა კვირაში „ლივერპული" პრემიერლიგის გამოტოვებულ მატჩს გამართავს „ბლექბერნის" წინააღმდეგ და რედნაპის ხელახალი დებიუტიც მაშინ შედგება. ისევ ჟერარ ულიეს მოვუსმინოთ: „ოთხთვიანმა უთამაშებლობამ ჯეიმიზე, ცხადია, იმოქმედა. თუმც ის ფორმას ძალიან სწრაფად იბრუნებს. ოთხშაბათს, „ბლექბერნის" წინააღმდეგ მის მზადყოფნას შევამოწმებ და ვფიქრობ, ათიოდე დღეში სრული დატვირთვით შეძლებს თამაშს".

ჯერაც გაურკვეველია ითამაშებენ თუ არა „მანჩესტერის" რიგებში პოლ სქოულზი და დუაიტ იორკი. შესაძლოა, მათ ნაცვლად ნიკი ბათი და ტედი შერინგემი გამოვიდნენ, დევიდ ბექემი კი უეჭველად იქნება. ჩინებულ ფორმაშია ენდი კოულიც. „მანჩესტერში" გადასვლის შემდეგ, ეს კი ხუთი წლის წინ მოხდა, კოულს ლივერპულელთა კარი ოთხჯერ დაულაშქრავს და ახლაც თავის გამოჩენას აპირებს. აღსანიშნავია, რომ მას კარიერაში 197 გოლი გაუტანია და საიუბილეო — მე-200 გოლსაც, ვფიქრობთ, მალე შეაგდებს. მაგრამ „ლივერპულთან" ეს ძალიან ძნელია (კარაგერს ამჯერადაც მეტოქის და საკუთარი კარები თუ არ აერია). „ლივერპულს" პრემიერლიგაში საუკეთესო დაცვა ჰყავს. მისი დაცვის ბურჯი, ფინელი სემი ჰიიპია ამბობს: „ვიცი, ჩვენი ქომაგებისთვის რასაც ნიშნავს „მანჩესტერის" წინააღმდეგ თამაში. მათ არ გავაწბილებთ და დიდ ბრძოლას გავმართავთ". უეჭველად ასეც იქნება. კარგი სანახაობა გველის.

**გიორგი დარჯანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ფეხბურთის რუკასთან

**დანიურმა** „კოპენჰაგენმა" სამხრეთაფრიკული „ორლანდო პირატსიდან" 24 წლის ფორვარდის, სიბუსისო ზუმას შეძენა მოისურვა. ფეხბურთელს თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში ოთხი მატჩი ჩაუტარებია. დანიური კლუბი მის გადაბირებას უახლოეს დღეებში აპირებს. ტრანსფერის ოფიციალური ღირებულება და ხანგრძლივობა ჯერჯერობით არ გაცხადებულა.

**ესპანური „ბარსელონას" ორი ნახევარმცველი — ლუის ენრიკე და ბუდევინ ზენდენი ტრავმის გამო დაახლოებით ერთი თვით გამოაკლდნენ. ისინი ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „პორტუს" წინააღმდეგ მატჩში დაშავდნენ. ლუის ენრიკემ მარცხენა კოჭი დაიზიანა, ზენდენმა კი საზარდულის საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და სამკურნალოდ დაახლოებით ერთი თვე დასჭირდება. ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ორი შეხვედრის გამოტოვება მოუწევთ, რომელსაც ესპანეთის ჩემპიონები 7 მარტს „პორტუს", ხოლო 15 მარტს ბერლინის „ჰერტას" წინააღმდეგ ჩაატარებენ.**

**შოტლანდიური** „გლაზგო რეინჯერსის" რუმინელი მცველი დანიელ პროდანი სამშობლოში დაბრუნდა და განათხოვრებით ბუქარესტის „სტიაუას" რიგებს შეუერთდა. „სტიაუას" პრეზიდენტმა ვიორელ პაუნესკუმ ერთ-ერთ ტელეარხს განუცხადა, რომ 29 წლის ფეხბურთელი რუმინეთში წელიწადი თუ არა, ნახევარი წელი დარჩება. შეგახსენებთ, რომ პროდანი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალისტ რუმინეთის ნაკრების წევრია. იგი „რეინჯერსში" 1998 წელს მადრიდის „ატლეტიკოდან" გადაბარგდა.

**ინგლისური ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი პოლ გესქოინი სამი მატჩით დისკვალიფიცირებულია. შეგახსენებთ, „მიდლსბროსა" და „ასტონ ვილას" შეხვედრის დროს მან მეტოქის ნახევარმცველ ჯორჯ ბოატენგს სახეში ხელი ჩაარტყა და მოიტეხა. ტრავმის მოშუშებამდე ფეხბურთელი ისედაც ვერ ითამაშებდა და ახლა ეს სასჯელიც დაემატა. ნავარაუდევი იყო, რომ 33 წლის გესქოინი კარიერას ამერიკულ ლიგაში გააგრძელებდა, მაგრამ „მიდლსბრომ" განაცხადა, რომ გესქოინის გაშვებას აღარ აპირებს.**

### ლიბერტადორესის თასი

II ჯგუფი

მეორე ტური

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 2:1 უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)**

1:0 ბარიჯო (35), 2:0 ბაროს შელოტო (57პ), 2:1 მარიო ნუნიესი (75)

**პენიაროლი (ურუგვაი) 2:1 ბლუმინგი (ბოლივია)**

1:0 ხოსე ფრანკო (2), 1:1 რაულ გუტიერესი (17), 2:1 სედრესი (20პ)

V ჯგუფი

მეორე ტური

**ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია) 3:1 სან ლორენსო (არგენტინა)**

1:0 ბალესტეროსი (3), 2:0 არიაკა (9), 2:1 ადრიან სორია (64), 3:1 რესტრეპო (82)

**უნივერსიტარიო (პერუ) 1:0 სერო პორტენო (პარაგვაი)**

1:0 გუსტავო გრონდონა (53)

# ამ ქალაქში ყველაფერი გასწორებაზეა

## იტალია

## მილანი—ინტერი 154-ედ

...მატჩის 90-ე წუთი მიმდინარეობდა. ზვონიმირ ბობანმა კუთხური ჩამოაწოდა. მჭიდროდ შეჯგუფულ ფეხბურთელთაგან ყველას მილანელმა ჟორჟ ვეამ დაასწრო და მძლავრი თავური დაურტყა ანჯელო პერუცის, მეკარისგან მარცხენა ძელთან მდგომი ბერძენი ნახევარმცველი გრიგორიოს გეორგატოსი კი ეცადა, რაიმე ეღონა, მაგრამ ამაოდ. ყველას რომ ეგონა, მატჩი ფრედ დასრულდებოდა... „მილანმა" „ინტერს" 2:1 მოუგო.

ეს 1999 წლის 23 ოქტომბერს მოხდა. სერია A-ს წლევანდელი ჩემპიონატის პირველ წრეში 153-ე მილანური დაპირისპირება შავ-წითელთა გამარჯვებით დასრულდა.

თქმა არ უნდა, ხვალინდელ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აპენინის ნახევარკუნძულზე მოუთმენლად ელიან 154-ე მილანურ დერბის.

დერბი დერბია. მნიშვნელობა არა აქვს, გუნდები სატურნირო ცხრილში რომელ პოზიციაზე არიან. მით უმეტეს, „მილანსაც" და „ინტერსაც" წლეულს სკუდეტოს მოგება, იტალიის ჩემპიონობა ამოუჭრიათ გულში, სერია A-ს ცხრილშიც ოცდასამი ტურის შემდეგ მეზობლად არიან, წინ გაჭრილ „იუვენტუსს" კი შესაბამისად 5 და 7 ქულით ჩამორჩებიან. თუმცა...

— „ინტერთან" ძალიან საინტერესო და დაძაბული შეხვედრა გველის. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ყველაზე საინტერესო იმ მატჩთაგან, რომლებიც აქამდე გამართულა. მერე რა, რომ „იუვენტუსი" 5 ქულით გვისწრებს — ვფიქრობ, ჩვენ შეგვწევს ძალა, მეტოქე დავამარცხოთ და სკუდეტოს მივუახლოვდეთ. თანაც არ დაგავიწყდეთ, „იუვენტუსი" „სან სიროზე" უნდა ჩამოვიდეს — იმუქრება „მილანის" ნახევარმცველი მასიმო ამბროზინი და დასძენს — პირველ წრეში „ინტერს" 2:1 მოვუგეთ, თასის მეოთხედფინალიდან კი მათ გამოგვთიშეს. ახლა ჩვენი ჯერია.

რამდენად რეალურია ამბროზინის სიტყვები, ამას კვირის მატჩი გვაჩვენებს, მანამდე კი სტატისტიკა მოვიშველიოთ.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჯუზეპე მეაცას სახელობის მშვენიერ „სან სიროზე" რიგით 154-ე დერბი შედგება. უდავო უპირატესობა „ნერო აძურას" („ინტერის" მეტსახელია) აქვს. მათ „მილანს" 55 შეხვედრაში სძლიეს, თავად „როსსო ნეროებმა" დერბიში 48-ჯერ გაიხარეს. 50 მატჩი კი ფრედ დასრულდა.

„ინტერი" გატანილი გოლებითაც სჯობნის მეტოქეს. შავ-ლურჯებმა 225 გაიტანეს, შავ-წითლებმა — 201.

ბოლოს „ინტერმა" სერია A-ში „მილანს" 1998 წლის 22 მარტს მოუგო 3:0 რონალდოს გოლითა და დიეგო სიმეონეს დუბლით.

კვირის მატჩი საიუბილეო იქნება ორივე გუნდის მწვრთნელთათვის. აქამდე ალბერტო ძაკერონის და მარჩელო ლიპის კლუბები 10-ჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ბოლოს ლიპიმ ძაკერონის 1997-98 წლების სეზონში მოუგო. მაშინ ისინი სხვა გუნდებს წვრთნიდნენ. ლიპი „იუვენტუსს" ედგა სათავეში, ძაკერონი კი „უდინეზეს". რაც ორივე მილანელი გახდა, კოლეგას ძაკერონი სჯობნის, „მილანმა" ხომ პირველ წრეში „ინტერი" 2:1 დაამარცხა.

ალბერტო ძაკერონის ხვალინდელ მატჩშიც მცირედი უპირატესობა აქვს. მის ფეხბურთელთაგან ყველა ჯანზეა და „ინტერსაც" უძლიერესი შემადგენლობა დაუპირისპირდება. აი, ლიპის კი პრობლემები მოსძალებია, თუმც „მაესტრო" რის „მაესტროა", რაიმე არ მოიფიქროს.

წინა ტურში „ინტერს" „ვენეციასთან" მატჩში მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი კრისტიან ვიერი დაუშავდა. მას კუნთი დაეჭიმა და არა მარტო ხვალინდელ, არამედ მომდევნო პრინციპულ შეხვედრასაც გამოტოვებს რომის „ლაციოსთან". „სან სიროზე" ლიპის განკარგულებაში არ იქნება ერთი მატჩით დისკვალიფიცირებული ბერძენი განაპირა ნახევარმცველი გრიგორიოს გეორგატოსი. დაშავებულია მცველი სალვატორე ფრეზი, აღარაფერს ვამბობთ რონალდოზე. ბრაზილიელი ვარსკვლავი თამაშს აპრილში განაახლებს.

მავანი იტყვის, ამდენი ხალხი თუ არ ჰყავს „ინტერს", ძაკერონის როგორღა აქვს უპირატესობაო, მაგრამ კვირას ხომ მილანური დაპირისპირებაა. ამით, ალბათ, ყველაფერია ნათქვამი.

როგორც იტალიელი ჟურნალისტები იუწყებიან, მარჩელო ლიპი თავდასხმაში სავარაუდოდ ჩილელ ივან სამორანოს და ურუგვაელ ალვარო რეკობას გაამწესებს. ორივე ჩინებულ ფორმაშია, განსაკუთრებით ურუგვაელი. სამორანომაც და რეკობამაც წინა ტურში „ვენეციასთან" 3:0 მოგებულ მატჩში გამოიჩინეს თავი. ყოფილი გუნდის წინააღმდეგ, ალბათ, ითამაშებს იტალიელ ქომაგთა და არა მარტო იტალიელთა კერპი რობერტო ბაჯო. ლიპი რობის სამორანო—რეკობას დუეტის პასებით მომარაგებას დაავალებს.

ხვალ შესაძლოა ყოფილმა თანაგუნდელებმაც მოუსინჯონ ძალა ერთმანეთს. ინტერელი კრისტიან პანუჩი ფაბიო კაპელოს დროინდელ „მილანში" თამაშობდა, ხოლო ნიგერიელი მცველი ტარიბო ვესტი „მილანმა" თანაქალაქელი გუნდისგან ახალი წლის დღეებში გადაიბირა.

ხავიერ ძანეტი, „ინტერის" კაპიტანი: „მილანთან" მოგება გვსურს. თუ ეს მოვახერხეთ, პირველ წრეში დასანანი მარცხისთვის ერთგვარად შურს ვიძიებთ. ნუ ჰგონიათ შავ-წითლებს, რადგან ვიერი და გეორგატოსი გვაკლია, ადვილად გაისეირნებენ".

ერთი სიტყვით, ხვალ, 12-ის ნახევარზე, დიდებულ „სან სიროზე" 154-ე მილანური დერბია: „მილანი" — „ინტერი". ამჯერად მასპინძელი „მილანი" იქნება.

**გიორგი ვაშაკიძე**



ხვალ „სან სიროზე" ვიერისა და მალდინის დუელი არ შედგება



REUTERS

თურქულ „გალათასარაის“ ქომაგობა გერმანიაშიც არ აკლდა

## უეფას თასი. მერვედფინალი
### პირველი წრე. 29 თებერვალი — 2 მარტი

UEFA CUP

**სლავია (ჩეხეთი) 1:0 უდინეზე (იტალია)**
1:0 ძანკი (76 ს.კ.)
სლავია: ჩერნი, რადა, კოლერი, პისკი, ლერჩი (რ. ვაგნერი 72), სკალა (კუჩარი 50), ულიხი, რ. დოსტალეკი, პ. ჰორვატი, ზელენკა, ტ. დოშეკი (კოზელი 90)
მწვრთნელი: ფრანტიშეკ კიპრო
უდინეზე: ტურჩი, გარგო, ძანკი, მანფრედინი (აპია 82), ძამბონი, ჯანიკედა, ფიორე, იორგენსენი, ლოკატელი (დო კარმო 46), სოსა (მარჯიოტა 78), მუცი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
მსაჯი: კ. ნილსონი (შვედეთი)
13 000 მაყურებელი

**პარმა (იტალია) 1:0 ვერდერი (გერმანია)**
1:0 კრესპო (5)
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი, პაულო სოუზა, დ. ბაჯო, ვანოლი, სტანიჩი (დი ვაიო 90), კრესპო, ორტეგა (ბრედა 82)
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
ვერდერი: ფ. როსტი, ტრარესი, ფ. ბაუმანი, ბარტენი, ვიდნერი, ფრინგსი, მაქსიმოვი, აილტსი (ტიკუზუ 90), ა. ჰერცოგი, პიზარო (დაბროვსკი 81), აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
მსაჯი: მ. პირო (ბელგია)
15 000 მაყურებელი

**რომა (იტალია) 0:0 ლიდსი (ინგლისი)**
რომა: ანტონიოლი, მანგონე, ალდაირი, ზაგო, კაფუ, ტომაზი, ნაკატა, კანდელა, ტოტი, დელვეკიო, მონტელა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ლიდსი: მარტინი, კელი, ვუდგეიტი, ჰოლანდი, რადებე, ჰარტი, ბაკე, ბოიერი, ჯონსი, კიუელი, ბრიჯესი (სმიტი 71)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მსაჯი: ჟ. ვესიე (საფრანგეთი)
37 726 მაყურებელი

**დორტმუნდი (გერმანია) 0:2 გალათასარაი (თურქეთი)**
0:1 ჰაქანი (33), 0:2 ჰაჯი (45)
დორტმუნდი: ლემანი, ნიჰუისი, სტევიჩი, კოლერი, დედე, ევანილსონი (რეინა 32), რიკენი, ბუტი, ბაუმანი, ბობიჩი, იკპება
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
გალათასარაი: ტაფარელი, კაპონე, უმითი, ბიულენთი, ბურუკი (სასი 83), ჰაჯი (აჰმეტი 85), ბეზოზოღლუ, სუათი, ერგუნი, ჰაქანი, არიფი (დოს სანტოსი 87)
მწვრთნელი: ფათიხ თერიმი
მსაჯი: მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)
55 000 მაყურებელი

**ატლეტიკო (ესპანეთი) 2:2 ლანსი (საფრანგეთი)**
0:1 დაკური (15), 1:1 ჰასელბაინკი (24), 1:2 დაკური (76), 2:2 ჰასელბაინკი (77)
ატლეტიკო: მოლინა, სელსო აიალა, გამარა, სანტი, კაპდევილა (მუნიოსი 84), ლეალი, ბეიბლი (ბარახა 36), აგილერა, ვალერონი, ჰასელბაინკი, კიკო
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ლანსი: ვარმუზი, კუედრუ, პიერ-ფანფანი, ისმაელი, სიკორა, კორიდონი, ნიარკო, ბლანშარი, დაკური, ბრუნელი (მორეირა 61), ნუმა (სახო 72)
მწვრთნელები: ფრანსუა ბრისონი, დიდიე სენაკი
მსაჯი: კ. ვასარასი (საბერძნეთი)
45 000 მაყურებელი

**იუვენტუსი (იტალია) 1:0 სელტა (ესპანეთი)**
1:0 კოვაჩევიჩი (49)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, მირკოვიჩი, მონტერო, იულიანო, ბირინდელი (ძამბროტა 57), ტაკინარდი, ოლისე (პესოტო 69), ბაკინი (დელ პიერო 46), დავიდსი, ფ.ინძაგი, კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
სელტა: ხოსე მანუელი, სელადესი, კასერესი, სერხიო გონსალესი, ხუანი, მაკელელე, კარპინი, მოსტოვოი, გ. ლოპესი, მაკარტი, რევივო (ხირონი 77)
მწვრთნელი: ვიკტორ ფერნანდესი
მსაჯი: ჰ. კრუგი (გერმანია)
10 000 მაყურებელი

**არსენალი (ინგლისი) 5:1 დეპორტივო (ესპანეთი)**
1:0 დიქსონი (5), 2:0 ანრი (29), 2:1 ჯალმინია (54პ), 3:1 ანრი (67), 4:1 კანუ (78), 5:1 ბერხკამპი (82)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ლუჟნი, სილვინიო, გრიმანდი, ლიუნგბერგი, პეტი, ბერხკამპი (პარლოუ 83), ოვერმარსი (კანუ 66), ანრი (შუკერი 76)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
დეპორტივო: სონგო, მანუელ პაბლო, რომერო, მაურო სილვა, ნაიბეტი, ტურუ ფლორესი (ფერნანდო 68), ფლავიო, დონატო, მაკაი (პაულეტა 75), ჯალმინია, იოკანოვიჩი (ვიქტორი 58)
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
გაძევება: ჯალმინია (60)
მსაჯი: ა. უზუნოვი (ბულგარეთი)
37 837 მაყურებელი

**მალიორკა (ესპანეთი) 4:1 მონაკო (საფრანგეთი)**
0:1 სიმონე (1), 1:1, 2:1, 3:1 სტანკოვიჩი (42, 52პ, 60პ), 4:1 დიეგო ტრისტანი (90)
მალიორკა: ფრანკო, მ. სოლერი, სივიერო, ნადალი, ოლაისოლა (ალვარესი 84), ენგონგა, სტანკოვიჩი (კარერასი 90), ფ. სოლერი, ბისან-ეტამე, დიეგო ტრისტანი, დომინგესი (იბაგასა 73)
მწვრთნელი: მარიო გომესი
მონაკო: ბარტეზი, კონტრერასი, მარკესი, ჯეტუ, სონგოლი, და კოსტა, ლამუში, გალიარდო, ჟიული (კრისტანვალი 46), სიმონე, ტრეზეგე (დიაო 57)
მწვრთნელი: კლოდ პიუელი
გაძევება: რაფაელ მარკესი (53)
მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)
24 000 მაყურებელი

# თურქული ზღაპარი
## არსენალი უმჯობესი აღმოჩნდა

მაშალა გალა — ყოჩაღ „გალათასარაი“, „დიდება ჰაქან შუქურსა და გეორგე ჰაჯის“ — ასეთი შეძახილები ისმოდა ხუთშაბათს საღამოს თურქეთის ქალაქ სტამბოლში. იქაურმა „გალათასარაიმ“ გერმანიაში სტუმრად „ვესტფალენშტადიონზე“ დორტმუნდის „ბორუსია“ დაამარცხა 2:0 და უეფას თასის მეოთხედფინალის საგზური თითქმის გაინაღდა. კრიზისში მყოფმა „ბორუსიამ“ კი მორიგი კრახი განიცადა, გუნდს ზამთრის შესვენების შემდეგ ჯერ თამაში არ მოუგია. საქმეს ვერც ახალი თავკაცის, ბერნდ კრაუსის დანიშვნამ უშველა, გულშემატკივარს იმედები ვერც მან გაუმართლა.

„ვესტფალენზე“ შეკრებილ „დორტმუნდის“ 55 ათას ქომაგს ხასიათი 33-ე წუთზე წაუხდა, როდესაც ჰაქან შუქურმა არიფისგან მშვენიერი პასი მიიღო და მასპინძელთა კარი დალაშქრა. საპირისპიროდ, ძლიერ გაიხარა სტადიონზე დამსწრე რამდენიმეათასიანმა თურქ გულშემატკივართა არმიამ, რომლებიც ალტაცებისგან კინაღამ მინდორზე გაცვივდნენ „გალათასარაის“ დროშებისა და პლაკატების ქნევით.

თურქთა სიხარული პირველი ტაიმის მიწურულს გაორმაგდა, რუმინელმა გეორგე ჰაჯიმ იენს ლემანის კარი მეორედ დალაშქრა და „დორტმუნდი“ თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. თურქებმა გერმანელებს იმ საღამოს ერთი თავით აჯობეს. „გალათასარაის“ ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც მატჩის მეორე ტაიმში ოდნავ სუსტად გამოიყურებოდა, ბრაზილიელი მეკარე კლაუდიო ტაფარელი გახლდათ. მან ორჯერ მარტივი შეცდომა დაუშვა და თავისი გუნდის მთელი შრომა კინაღამ წყალში გადაყარა, თუმც საბოლოოდ თურქთათვის ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და გუნდმა 2:0 მოიგო.

დორტმუნდელ გულშემატკივართა უმრავლესობამ პროტესტის ნიშნად მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე სტადიონი დატოვა და ტრიბუნებზე თურქები დარჩნენ, რომლებიც მატჩის საფინალო სასტვენს ტრიუმფით შეხვდნენ.

„თამაში, რომელიც დღეს ვაჩვენეთ, ნამდვილად არ ვარგოდა. გუნდს აგრესია აკლდა, რასაც ვერ ვიტყვი „გალათასარაიზე“, რომელმაც მთელი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა. შედეგიც ამან განაპირობა“ — ამბობს გერმანელთა თავკაცი ბერნდ კრაუსი. მწვრთნელმა აქვე აღნიშნა, რომ გუნდს აშკარად აკლდა ერთ-ერთი ლიდერი ანდრეას მიოლერი, რომელმაც შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა და ალბათ, ვერც საპასუხო მატჩისთვის გამოჯანმრთელდება.

სათამაშო დღის მეორე მეტ-ნაკლებად მოულოდნელი შედეგი ლონდონში დაფიქსირდა, სადაც იქაურმა „არსენალმა“ ესპანეთის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი „დეპორტივო“ გაანადგურა 5:1. ნუთუ, პრიმერადივიზიონის ლიდერსა და ინგლისის ჩემპიონობისთვის თითქმის იმედდაკარგულ გუნდს შორის ძალთა იმხელა სხვაობაა, რომ მთელი ორი ტაიმის მანძილზე თამაში „დეპორტივოს“ საჯარიმოსთან მიმდინარეობდა?

მართალია, სტუმრები მე-60 წუთზე (როდესაც ანგარიში 2:1 იყო) მინდორზე ათი კაცით დარჩნენ), „დეპორტივოს“ ჯალმინია გაუძევეს, რომელიც „მეთოფე“ ჟილ გრიმანდის ეუხეშა, მაგრამ გუნდი, რომელიც ესპანეთის ჩემპიონობაზე აშკარა პრეტენზიას აცხადებს, 30 წუთში ამგვარად არ უნდა განადგურდეს.

გალისიელთა შერცხვენას მე-5 წუთზე ლი დიქსონმა ჩაუყარა საფუძველი, როდესაც ტიერი ანრის მიერ ჩაწოდებული ბურთი თავით ესპანელთა კარში გადაგზავნა.

29-ე წუთზე „არსენალმა“ ორბურთიანი უპირატესობა მოიპოვა, ჰოლანდიური დუეტის დენის ბერხკამპი — მარკ ოვერმარსის აქტიურობას ფრანგი ტიერი ანრის გოლი მოჰყვა. „დეპორტივომ“ ანგარიშში სხვაობა 54-ე წუთზე შეამცირა, ჯალმინიამ თერთმეტმეტრიანი ზუსტად გამოიყენა, თუმც პენალტი მეტად საეჭვო გახლდათ, რადგან სატელევიზიო გამეორებაზე გამოჩნდა, რომ ფრედერიკ ლიუნგბერგი ფლავიოსთან ორთაბრძოლაში დამნაშავე არ ყოფილა და მთავარმა მსაჯმა, ბულგარელმა ათანას უზუნოვმა თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ შეცდომით მიუთითა.

რამდენიმე წუთში მსაჯი აღარ შემცდარა — გრიმანდისთან ორთაბრძოლისას ჯალმინიას წითელი ბარათი უჩვენა და მოედანი ნაადრევად დაატოვებინა, რასაც „დეპორტივოს“ საბოლოო განადგურება მოჰყვა. 67-ე წუთზე იმავე ანრიმ გამოიჩინა თავი და დუბლი შეასრულა, ხოლო 78-ეზე კანუსა და 82-ეზე ბერხკამპის გოლებმა ესპანელები საბოლოოდ შეარცხვინა.

კმაყოფილება ვერ დამალა ლონდონელთა თავკაცმა არსენ ვენგერმა, რომელმაც განაცხადა: „გუნდის თამაში დღეს ნამდვილად მომეწონა. მართალია, დიდი ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ დამშვიდების საბაბი ნამდვილად არ გვაქვს. „დეპორტივო“ ძლიერი და ამბიციური გუნდია. მისგან საფრთხე ყოველ წამსაა მოსალოდნელი. ლაკორუნიაში მშვიდად ნამდვილად ვერ ჩავალთ“.

„არსენალს“ წამყვანი მცველი ტონი ადამსი ვერ დაეხმარა, რომელმაც მატჩამდე ერთი დღით ადრე საზარდულის ტრავმა მიიღო.

საპასუხო შეხვედრას ლონდონური კლუბი ოდნავ შესუსტებული შემადგენლობით ჩაატარებს, ვერ იასპარეზებენ ჟილ გრიმანდი და მარტინ კიოუნი, რომლებმაც სამი ყვითელი ბარათი მოაგროვეს, ხოლო ჰოლანდიელი დენის ბერხკამპი გუნდს ალბათ ესპანეთში არ ჩაჰყვება. მას ხომ თვითმფრინავით მგზავრობის ეშინია.

კიდევ ერთი ესპანური გუნდი, ვიგოს „სელტა“ ტურინში ადგილობრივ „იუვენტუსს“ ეწვია და 49-ე წუთზე დარკო კოვაჩევიჩის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით 0:1 დამარცხდა.

სერია A-ს ლიდერ „ბებერი ქალბატონის“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ გუნდის წამყვან ფეხბურთელთა უმრავლესობა დაასვენა. ძირითად შემადგენლობაში არ გამოჩენილან ზინედინ ზიდანი და ალესანდრო დელ პიერო. აღსანიშნავია, რომ „სელტამ“ მატჩი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა და რომ არა ტურინელთა მეკარე ედვინ ვან დერ სარის ბრწყინვალე თამაში, არავინ იცის, შეხვედრა როგორ დასრულდებოდა.

კარლო ანჩელოტი გამარჯვებამ გაახარა, მაგრამ აღნიშნა, რომ საპასუხო შეხვედრაში მის გუნდს ერთობ გაუჭირდება: „მართალია, მატჩი მოვიგეთ და ჩემი გუნდის თამაშმაც დამაკმაყოფილა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ ვიგოში ბრძოლა მოგვიწევს. „სელტამ“ მატჩი დიდებულად ჩაატარა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, როდესაც „იუვენტუსის“ დაცვას პრობლემები შეუქმნა. მეოთხედფინალში მოხვედრა ძნელი იქნება“ — ამბობს ანჩელოტი.

მესამე ესპანურმა გუნდმა „მალიორკამ“ პალმა დე მალიორკაში საფრანგეთის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი „მონაკო“ დაამარცხა 4:1 და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად საკმაოდ სერიოზული განაცხადი გააკეთა. მატჩის პირველივე წუთზე იტალიელი მარკო სიმონეს მიერ გატანილ გოლს ესპანელებმა ოთხი ბურთით უპასუხეს.

კიდევ ერთი ესპანურ-ფრანგული დაპირისპირება მადრიდის „ატლეტიკოსა“ და „ლანსს“ შორის ფრედ, 2:2 დასრულდა. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა და ოლივიე დაკურმა თავი ორორჯერ გამოიჩინეს და მატჩის საბოლოო შედეგი ფრე დააფიქსირეს.

ხუთშაბათს ფრედ კიდევ ერთი მატჩი დასრულდა. რომში, ოლიმპიურ სტადიონზე, იქაურმა „რომამ“ და ინგლისურმა „ლიდსმა“ მთელი 40 წუთის მანძილზე ერთმანეთს გოლი ვერ გაუტანეს და მშვიდობით გაეყარნენ. საპასუხო მატჩი ლიდსში, ისევე როგორც 7 დანარჩენ ქალაქში, ორი კვირის შემდეგ უდავოდ საინტერესო იქნება.

ნიკა შუღლაძე



REUTERS

რომა — ლიდსი 0:0. რომაელი დამიანო ტომაზი ლიდსელ ჰარი კიუელს მისდევს

გიო აზვლედიანის

## სვეტი

### ოთხი მარტი

ჩვეულებრივი დღეა. ოთხი მარტი. მაგრამ ყოველი, თუნდაც ყველაზე ჩვეულებრივი დღეც კი იმით არის კარგი, რომ მოგონებებს აღძრავს. მაგალითად, დღეს კენი დალგლიშის დაბადების დღეა. რა კავშირი აქვს ჩვენთან კენი დალგლიშს? ის, რომ როცა „ლივერპულმა“ კევინ კიგანი გაყიდა „ჰამბურგში“, „სელტიკიდან“ დალგლიში გადაიბირა და მერე მასთან ერთად წააგო ჩვენს სტადიონზე 0:3. ამასთანავე კევინ კიგანი იყო ის კაცი, რომელმაც „ნიუკასლში“ მოიყვანა თემურ ქეცბაია, მერე კი გადადგა და „ნიუკასლის“ მწვრთნელად დალგლიში დადგა. დალგლიშივე უმზერდა „უემბლიზე“ ინგლის-საქართველოს მატჩს ტერი მაკდერმოტთან ერთად, რომელიც ასევე იყო იმ გუნდში, რომელმაც 0:3 წააგო ჩვენს „დინამოსთან“.

აი, თუ არა აქვს კავშირი.

ცხრამეტი წლის წინათ, ოთხ მარტს, თბილისის ვ.ი.ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე, ევროპის ჩემპიონთა თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკი“ და მადრიდის „რეალი“. მადრიდის „რეალმა“ თბილისში ვერ ჩამოიყვანა ტრავმირებული ინგლისელი ზანგი მეგოლე ლორი კანინგემი (აწ უკვე ავარიაში დაღუპული). სამაგიეროდ, „სპარტაკის“ შემადგენლობაში იყვნენ მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები. სტადიონზე 80 ათასი კაცი იყო და გოლი არ გასულა. ბოლო ხუთი წუთი მოედანზე დაჰყო ვისენტე დელ ბოსკემ, ახლა „რეალის“ მთავარი მწვრთნელი რომაა.

ასე რომ, შენ ოთხი მარტი ეძახე...

იმავე საღამოს, 1981 წლის 4 მარტს, ტელერეპორტაჟი დაიწყო კოტე მახარაძემ: „*Говорит и показывает Лондон, Говорит и показывает Лондон, центральное телевидение совместно с английской телекомпанией Би-Би-Си начинает прямой репортаж с Лондонакого стадиона Аптон парк*“. მოკლედ, ეს იყო ევროთასებზე თბილისის „დინამოს“ ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი გასვლითი გამარჯვების საღამო: „დინამომ“ 4:1 მოუგო „ვესტ ჰემს“ და რაოდენ მოულოდნელიც უნდა იყოს, ეს გამოდგა „ვესტ ჰემის“ უკანასკნელი ევროპული მატჩი „აპტონ პარკზე“ უკანასკნელი თვრამეტი წლის განმავლობაში. შარშან ზაფხულშიღა შეაღწია „ვესტ ჰემმა“ ინტერტოტოში და „აპტონ პარკზე“ 1:0 მოუგო ფინურ „იოკერიტს“. ფინელთა წინააღმდეგ ითამაშა ფრენკ ლამპარდმა, რომელიც ღვიძლი შვილია იმ ფრენკ ლამპარდისა, ცხრამეტი წლის წინათ რომ ებრძოდა „დინამოს“ „აპტონ პარკზე“. მაშინ „ვესტ ჰემის“ ლიდერი იყო ტრევორ ბრუკინგი, რომელიც 1996 წლის 7 ნოემბერს მეორედ ჩამოვიდა თბილისში, როგორც ინგლისის ნაკრების თანმხლები ჟურნალისტი და ფეხბურთის თამაშისას ჩხუბი მოუხდა ქართველ ჟურნალისტებთან, რის შედეგადაც მარჯვენა წარბზე სალბუნი დაადეს. მანამდე ბრუკინგი თბილისში იყო 1982 წლის 18 მარტს, როცა „ვესტ ჰემმა“ 1:0 მოუგო „დინამოს“. მესამედ, როდის ჩამოვა ტრევორ ბრუკინგი ჩვენში, ძნელი სათქმელია.

ოთხი მარტის ამბავი კი ასე იყო... ანუ მოგონებანი.

არც თუ უინტერესო ამბავია, ჩემმა მზემ...

# ამ ზაფხულს ევროპის ჩემპიონი ჰოლანდია გახდება

ინგლისური „მიდლსბროს“ იტალიელი მცველი, ჯანლუკა ფესტა დღეს პრემიერლიგასა და სერია A-ს შორის განსხვავებაზე, თავის ოჯახსა და ევრო 2000-ზე გველაპარაკება



ჯანლუკა ფესტა (მარჯვნივ) ბურთისთვის იბრძვის

**— ჯანლუკა, რატომ გადაწყვიტეთ „ინტერის“ დატოვება და ინგლისში გადაბარგება?**

— „ინტერთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი მქონდა დადებული და მის დარღვევას არც ვაპირებდი, მაგრამ მაშინდელ მწვრთნელთან, როი ჰოჯსონთან ურთიერთობაში პრობლემები გამოჩნდა და იძულებული გავხდი გუნდი დამეტოვებინა. კერძოდ, მე დარწმუნებული გახლდით, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშს ვიმსახურებდი, ჰოჯსონმა კი ოთხი თუ ხუთი მატჩი ზედიზედ გამომატოვებინა. ასეთმა მდგომარეობამ გამოსავლის ძიებისკენ მიბიძგა და, ვინაიდან, იტალიაში სატრანსფერო სეზონი დახურული გახლდათ, თვალი უცხოეთისკენ გამექცა. აი, ასეთ დროს დიდებული წინადადებით შემეგება „მიდლსბრო“ და მეც სხვა ვარიანტებს ეს ვამჯობინე.

**— სხვა ინგლისური გუნდებიც იჩენდნენ ინტერესს? ინგლისში მოთამაშე თანამემამულეთათვის ხომ არ გიკითხავთ რჩევა?**

— ცოტა ხნით შევჩერდი, ვიფიქრე შევხედავ, სხვათა წინადადებებსაც დაველოდები და საუკეთესოს ისე ამოვარჩევ-მეთქი, მაგრამ იმხანად „მიდლსბროს“ საქმე ცუდად მიუდიოდა და ჩემთან კონტრაქტის გაფორმებას ჩქარობდა. თან, როგორც მოგახსენეთ, „ინტერზე“ ძალიან გაბრაზებული ვიყავი და აი, შედეგიც. რაც შეეხება თანამემამულეს, ბენიტო კარბონეს დაველაპარაკე. მან მითხრა, რომ „შეფილდ უენსდიში“ თამაშითა და ინგლისში ცხოვრებით კმაყოფილია.

**— ინგლისურ ცხოვრებასთან შეგუება ხომ არ გაგჭირვებიათ?**

— დიახ. ამ ქვეყანაში ცხოვრება ძალიან განსხვავებულია. აზალჩამოსულს მართლაც გამიჩნდა პრობლემები. კერძოდ საკვებთან დაკავშირებით — იტალიაში მატჩის წინ სულ სხვა ტიპის კერძებს მივირთმევდით. ძალიან განსხვავებული აღმოჩნდა ვარჯიშიც. თავიდან დამოუკიდებლად, ჩვეულებისამებრ ვვარჯიშობდი იტალიური მეთოდიკის გათვალისწინებით, მაგრამ თანდათან ინგლისურ ყაიდაზე მომიხდა გადასვლა. კიდევ, ენა არ ვიცოდი.

**— ახლა ამბობთ, რომ ინგლისური ცხოვრების წესი მოგწონთ...**

— მართლაც, აქ ერთობ მშვიდი ცხოვრებაა, რაც მეტად მომწონს. „ინტერის“ შემდეგ სულ სხვა გარემოში მოვხვდი. მილანში პრობლემები არ ილეოდა. პრესა საშინელ ზეწოლას ახდენდა, ასევე იყვნენ გულშემატკივრებიც. აქ, ფანები საოცრად კეთილგანწყობილნი არიან. მათ ესმით, რომ ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ. გარდა ამისა პრემიერლიგაში დაძაბულობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სერია A-ში. მოკლედ, დარწმუნებული ვარ, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი.

**— რა განსხვავებაა ინგლისურ და იტალიურ ფეხბურთს შორის?**

— მთავარი სხვაობა მენტალიტეტშია. იტალიაში ერთი თამაშიც რომ წააგო, ხალხის რეაქცია ისეთი იქნება, გეგონება მსოფლიოში ამაზე უარესი არაფერი მომხდარაო. მოთამაშეები ოჯახებში იკეტებიან, რადგან ქუჩაში შეურაცხყოფას მიაყენებენ. კარგ და ცუდ მოვლენებს შორის ბალანსი არ არსებობს. ინგლისში სულ სხვაა, აქ ხალხი გაცილებით კეთილგანწყობილია.

**— „მიდლსბროს“ გუნდურ სულისკვეთებაზე რას იტყვით?**

— მეტ-ნაკლებად იგივეა, რაც იტალიაში იყო. თანაგუნდელებთან ერთად გარეთ ხშირად არ დავდივარ, მაგრამ ამას არც იტალიაში ვაკეთებდი. ყოველი მატჩის შემდეგ შინ მივდივარ და ვისვენებ. ჩემს მეუღლესა და ორ ბავშვს ინგლისური ცხოვრების წესი ძალიან მოსწონთ. შვილები ინგლისურ სკოლაში დადიან და ძალიან კარგად სწავლობენ. სხვათა შორის, აქ გადმოსახლების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ესეც გახლავთ — ბავშვები ინგლისურად ლაპარაკობენ.

**— ბევრ კონტინენტელ ფეხბურთელს ინგლისში პრობლემა უჩნდება. განსაკუთრებით ეს „მიდლსბროს“ ეხება. რას ურჩევდით პრემიერლიგისკენ გეზაღებულთ?**

— ინგლისში ცხოვრება იოლი არ არის. უნდა მოემზადო ბევრი ძალიან განსხვავებული ადათის შესახვედრად და მისაღებად. მე თუ მკითხავთ, ახალგაზრდებისთვის ინგლისში გადასვლა ფაქტობრივად შეუძლებელია.

**— როგორ ფიქრობთ, თუ „ბორო“ პრემიერლიგიდან გავარდება, თქვენ დასტოვებთ მას?**

— „ბორო“ ძალიან რთული გუნდია, მაგრამ დარჩენა მიჯობს, რადგან ბავშვები სკოლას შეეგუენ და მათთვის გარემოს გამოცვლა არ მინდა.

**— თქვენ, 1998 წელს, ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერეთ ხელი. კარიერის დასრულებას „მიდლსბროში“ აპირებთ?**

— დიახ. კონტრაქტით კიდევ სამი წელიწადი დამრჩა და მერეც, თუ კლუბი ფულს გაიღებს, სიამოვნებით დავრჩები. თუ არადა, კონტრაქტს მნიშვნელობა არ აქვს — წავალ.

**— კარიერაში რამდენიმე გამოჩენილი თანაგუნდელიც გყოლიათ. მათ შორის ვინ იყო საუკეთესო? და კიდევ, ვის დაასახელებდით ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგედ?**

— ძნელი სათქმელია. მითამაშია დენის ბერხკამპის, რუბენ სოსას, აბელ ბალბოს, ალდაირის მხარდამხარ. თითოეული მათგანი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი გახლდათ. რაც შეეხება მეტოქეს, ორს დაგისახელებთ — მარკო ვან ბასტენი, რომელიც „მილანში“ თამაშობდა და კარეკა „ნაპოლიდან“.

**— „მიდლსბროში“ პოლ ინსის და კრისტიან ციგეს გადმოსვლამ, ალბათ, წინსვლის მეტი შანსი მოგცათ.**

— ალბათ. ისინი, აშკარად, საკვანძო ფეხბურთელები გახლავან, მაგრამ ჩვენ წინსვლისთვის გაცილებით მეტი მუშაობა გვჭირდება. პოლი ისეთივეა, „ინტერში“ რომ იყო. მასთან ხელახლა შეხვედრა დიდი სიამოვნება იყო.

**— ევრო 2000-ის წინ, რა გგონიათ, რომელი გუნდები გამოიჩენენ თავს?**

— ვგონებ, მასპინძელი ჰოლანდია შეძლებს გამარჯვებას. გარდა იმისა, რომ ის მასპინძელია, დიდებული ფეხბურთელები ჰყავს. მოკლედ, ჩემი პროგნოზი ასეთია: ჰოლანდია, იტალია, გერმანია... ინგლისი მეხუთე იქნება (იცინის).

იან მუდი, 365

თარგმნა პაპუნა ძედიამ

## სატირბოლი

## კითხვა • პასუხი

*— ის ბიჭი რა გვარია?*

— იონ დალ ტომასონი.

*— არა, კაცო, სხვაზე გეკითხები.*

— სხვა იქ არ იყო...

*— ნუთუ ვერ ხვდები? მე იმ ბიჭზე გეკითხები.*

— ხულიო კრუზი.

*— არა, კაცო, არა, ძმაც რო ყავს.*

— დე ბურები.

*— არა. დე ბურები აქტუალური თემა აღარ არის. იტალიელები არიან.*

— იტალიელები და ძმები მე არ გამიგონია.

*— როგორ არა. აი, „იუვენტუსში“ როა და კარის წინიდან რომ გააქვს, იმის ძმაზე გეუბნები. იმას ყავს ძმა...*

— „იუვეს“ კაცია, გოლები გააქვს და გვარი არ გახსოვს? რა ხშირად მაგათ გააქვთ, რომ...

*— ახლა მსოფლიოს საუკეთესო გუნდის ლანძღვა არ დაიწყო...*

— მართალი ხარ, უნიკალური გუნდია. გოლს არ გაიტანს და მაინც პირველია.

*— ამაზე დავა შორს წაგვიყვანდა. შენ გვარი გაიხსენე.*

— „იუვეში“ ორი გვარი მახსოვს. ზიდანი და დელ პიერო. თუმცა, დელ პიერო ადრე უფრო მახსოვდა, წელს ცოტა დამავიწყდა.

*— მესამეც არის. აი, ის მესამე მჭირდება. იმიტომ, რომ მისი ძმაა. მოკლედ ამას გააქვს და ძმა კი სულ შტანგებს ურტყამს.*

— სად თამაშობს ეგ ძმა?

*— გამგიჟებს ეს კაცი. „ლაციოში“!!*

— „ლაციოში“? იოლი საპოვნელი ყოფილა... იქ იტალიელი...

*— აღარ მჭირდები. სიმონე ინძაგი.*

— მართალი ხარ, ძმაც ყავს. მერე რაში გაგახსენდა?

*— მაგას რომ შტანგისთვის არ გაერტყა, იონ დალ ტომასონი ვიღას გაახსენდებოდა? „ლაციო“ ორით ნოლს წაიყვანდა და...*

— სექტემბერში...

*— რა, სექტემბერში?*

— სექტემბერში მოხდებოდა ეგრე. ახლა ველარ.

*— რატომ?*

— „ლაციო“ სექტემბრის გუნდია, ისევე, როგორც „ბარსელონა“ ოქტომბრის და „ბაიერნი“ მარტის...

*— ესე იგი, გუნდი აღარ ყოფილა ევროპაში.*

— არის ერთი გუნდი.

*— აბა?*

— ჩემზე კარგად იცი.

*— ჰა-ჰა-ჰა, აი, თურმე რა...*

— დიახ.

*— ესე იგი, „მანჩესტერ იუ“-აღარ დავამთავრებ.*

— არც უნდა დამთავრება.

*— და გაზა?*

— გაზა რად გვინდა?

*— „მანჩესტერ იუნაიტედი“ თუ საუკეთესო გუნდია, მაშინ გაზა საუკეთესო ფეხბურთელი ყოფილა.*

— არა ბიჭო, ვერონი ჯობია.

*— ვერონისთანა ბევრი გინახავს იმ შენ კუნძულზე?*

— საერთოდ არ მინახავს. კაცი ფეხს მოიქნევს და თვითონ უკვირს, გოლი გამიტანიაო.

*— აბა, საწყალი.*

— უეფას თასზე გადასვლა მაინც მოესწრო ამ საწყალ „ლაციოს“!!

# 100 იუბილარი

## ბაიერნი მიუნხენი, გერმანია

დაარსდა: 1900 წლის 27 თებერვალს
პრეზიდენტი: ფრანც ბეკენბაუერი
გენერალური დირექტორი: ული ჰიონესი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
სტადიონი: „ოლიმპიაშტადიონი" (ტევადობა 69 000)
გენერალური სპონსორი: OPEL
კაპიტანი: შტეფან ეფენბერგი
გერმანიის ჩემპიონი (15): 1932, 69, 72, 73, 74, 80, 81, 85, 86, 87, 89, 90, 94, 97, 99
გერმანიის თასის მფლობელი (9): 1957, 66, 67, 69, 71, 82, 84, 86, 98
ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (3): 1974, 75, 76
ფინალისტი (3): 1982, 87, 99
ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1): 1967
უეფას თასის მფლობელი (1): 1996
ევროპის სუპერთასის ფინალისტი (2): 1975, 76
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1): 1976

27 თებერვალს მიუნხენში განსაკუთრებულად შეხვდნენ. ამ ქალაქს რვაასამდე საპატიო სტუმარი ეწვია. მასპინძელი კი მიუნხენის მთავარი სიამაყე საფეხბურთო კლუბი „ბაიერნი" გახლდათ.

გასულ კვირას, 27 თებერვალს, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა. გერმანული კლუბი საუკუნისა მოიყარა.

„ბაიერნმა" ეს მართლაც ღირსშესანიშნავი თარიღი საკადრისად აღნიშნა. გუნდის ხელმძღვანელობა ამ დღისთვის საგანგებოდ ემზადებოდა. მათ სპეციალური პროგრამაც მოამზადეს — ზეიმი 27 თებერვალს დაიწყო და ზუსტად ექვსი თვის თავზე, 27 აგვისტოს დასრულდება. დასრულდება დიდი შოუ პროგრამით, რომელსაც ტელეკომპანია ZDF პირდაპირ ეთერში გადასცემს. მიუნხენელებს ყველა წვრილმანი დაზუსტებულ-მოგვარებული აქვთ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა, როგორც „ბაიერნს", მსოფლიოს ფეხბურთის გრანდს უკადრებს.

წლეულს ასი წელი კიდევ სამ გერმანულ კლუბს უსრულდება. „ნიურნბერგსა" და „მიონხენგლადბახს" დაარსების დღეს, ცხადია, ეჩქარებათ, მაგრამ დღესასწაულს ერთ თვესაც ვერ გაიგრძელებენ. „ბაიერნს" კი შეუძლია თავს ამის უფლება მისცეს. ტრადიცია და ტიტულები ამის საშუალებას იძლევა. „FCB" (საფეხბურთო კლუბი „ბაიერნი") — ეს სამი ასო დღეს უკვე სიძლიერესთან და გამარჯვებასთან ასოცირდება. ეს კლუბი თავისი ქვეყნის რეკორდსმენიც გახლავთ — 15-ჯერ ჩემპიონი გამხდარა, 9-ჯერ თასი მოუგია, 2-ჯერ ქვეყნის სუპერთასი რგებია. საგარეო ტიტულებიც არ აკლია — ზედიზედ სამჯერ ჩემპიონთა თასს ფლობდა, თითოჯერ უეფასა და თასების თასს, ერთხელაც საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. თუმცა ვიდრე ყოველივეზე დაწვრილებით მოვყვებოდეთ, ის ვთქვათ:

# ფრანციდან ფრანცამდე

### როგორ შეიქმნა ბაიერნი

1900 წლის დასაწყისში განხეთქილება მოხდა მიუნხენის საფეხბურთო კლუბ „მტვ 1879"-ში. ფეხბურთელთა ნაწილმა ამ გუნდში თამაშს უსაქმოდ ყოფნა არჩია, თუმც უკლუბოდ დიდხანს არ დარჩენილან. მათ ვინმე ფრანც ჯონი დაუკავშირდა, რომელმაც ახალი გუნდის შექმნის იდეა შესთავაზა. იდეას ხორცი ძალიან მალე შეესხა.

1900 წლის 27 თებერთვალს სამიკიტნო „გიზელაში" ჯონისა და ფეხბურთელთა თათბირი მიუნხენის „ბაიერნის" დაარსებით დასრულდა. პრეზიდენტი ფრანც ჯონი გახდა. რამდენიმე დღეში კი ახალშექმნილმა „ბაიერნმა" პირველი მატჩი გამართა და დიდი ანგარიშით — 7:1 გაიმარჯვა. მეტოქე კი „მტვ 1879" გახლდათ, კლუბი, რომელში მომხდარმა კონფლიქტმაც „ბაიერნი" შვა. ეს შეხვედრა ბაიერნელებმა განსაკუთრებული მონდომებით ჩაატარეს და თავიანთ ყოფილ კლუბზე ჯავრიც იყარეს.

მიუნხენის „ბაიერნის" პირველი მთავარი მწვრთნელი ინგლისელი ტეილორი იყო, რომელსაც გუნდის მომზადების თავისებური, საკმაოდ უცნაური მეთოდები ჰქონდა. იგი ფეხბურთელებს აიძულებდა, ვარჯიშის დროს ემღერათ. ტეილორის აზრით, ეს ადამიანის ფილტვებს აძლიერებდა, რაც მის გამძლეობას აუმჯობესებდა.

ინგლისელი მწვრთნელის კონცეფციამ არ გაამართლა. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა მნიშვნელოვანს ვერაფერს მიაღწია. „ბაიერნის" წარმატებები სხვადასხვა შიდასაქალაქო ტურნირების მოგებით შემოიფარგლებოდა. პირველ შედარებით უფრო სერიოზულ წარმატებას მიუნხენელებმა საკმაოდ გვიან 1926 წელს მიაღწიეს, გუნდი სამხრეთ გერმანიის ჩემპიონი გახდა. ეს შედეგი „ბაიერნმა" ორი წლის შემდეგაც გაიმეორა. მერე კი...

### პირველი ჩემპიონობა

30-იანი წლების დასაწყისში „ბაიერნი" აღმავლობის გზას დაადგა. რაც მთლიანად ერთი პიროვნების — რიხარდ „ლიტლი" დომბის სახელთან იყო დაკავშირებული. ეს საკმაოდ ენერგიული და მტკიცე ხასიათის ადამიანი მწვრთნელიც იყო, მასაჟისტიც და კლუბის საქმეებსაც აგვარებდა. მისი მუხლჩაუხრელი შრომა მალე დაფასდა. 1932 წელს „ბაიერნი" თავის ისტორიაში პირველად გახდა გერმანიის ჩემპიონი. გადამწყვეტ შეხვედრაში, 12 ივნისს ნიურნბერგში მიუნხენელებმა ფრანკფურტის „აინტრახტი" დაამარცხეს — 2:0. გოლები რორმა და კრუმმა გაიტანეს, რომლებიც იმდროინდელ „ბაიერნში" წამყვან მოთამაშეებად ითვლებოდნენ.

ამ წარმატებას თითქოს სხვა გამარჯვებები უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ საქმეში პოლიტიკა ჩაერია და... კლუბის პრეზიდენტი კურტ ლანდაუერი ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის აქტიური მოწინააღმდეგე იყო. საქმე იქამდე მივიდა, ლანდაუერმა შვეიცარიაში გაქცევით უშველა თავს. „ბაიერნიც" უპატრონოდ დარჩა. მერე მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო და ფეხბურთისთვის აღარავის ეცალა.

### მშენებელი ნოიდეკერი

ომში დამარცხების მიუხედავად, დასავლეთ გერმანია, რომელსაც ეკუთვნოდა ბავარიის მიწა და მისი დედაქალაქი მიუნხენი, საკმაოდ მალე დაადგა განვითარების გზას. მომძლავრდა სპორტი და კონკრეტულად ფეხბურთიც, რის დასტურადაც ომის დამთავრებიდან ცხრა წლის თავზე ამ ქვეყნის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონობა გამოდგება. თუმც განსხვავებით ეროვნული გუნდისა, „ბაიერნს" ფეხზე დასადგომად ცოტა უფრო მეტი დრო დასჭირდა. მიუნხენელები აღმავლობის გზას 60-იანი წლების შუაში დაადგნენ, მაგრამ ერთი ტიტულის მოგება მანამდეც მოასწრეს. 1957 წელს ყველასათვის მოულოდნელად გერმანიის თასი მოიპოვეს. ფინალში მიუნხენელთა მეტოქე დიუსელდორფის „ფორტუნა" ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა შეხვედრა „ბაიერნმა" 1:0 მოიგო და საპატიო ჯილდოსაც პირველად დაეუფლა.

1962 წელს კლუბის პრეზიდენტის პოსტი ვილჰელმ ნოიდეკერმა ჩაიბარა, რომლის საქმიანობის სფეროსაც მშენებლობა წარმოადგენდა. ნოიდეკერის გაპრეზიდენტებას გუნდში რადიკალური ცვლილებები მოჰყვა. „ბაიერნი" წმინდა პროფესიულ კლუბად იქცა.

მომდევნო წელს კი ბუნდესლიგის ჩემპიონატს ჩაეყარა საფუძველი. ნოიდეკერმა ჩემპიონატში უკეთ გამოსვლის მიზნით მწვრთნელად იუგოსლაველი სპეციალისტი ზლატკო ჩაიკოვსკი მიიწვია. სულ მალე კი გუნდში ისეთი ფეხბურთელები მივიდნენ, როგორებიც ზეპ მაიერი, გერდ მიულერი, ფრანც ბეკენბაუერი იყვნენ და დაიწყო

### ოქროს ათწლეული

1966-76 წლებში მიუნხენურმა კლუბმა ჯამში 13 ჯილდო მოიგო. ამ ხნის განმავლობაში „ბაიერნს" ოთხი მწვრთნელი შეეცვალა. ჩვენც თანმიმდევრობით მივყვეთ.

ჩაიკოვსკის ხელმძღვანელობით 1966 წლის ჩემპიონატში „ბაიერნი" მესამე ადგილს დასჯერდა. სამაგიეროდ, მიუნხენელებმა ქვეყნის თასზე იყოჩაღეს. ფინალში ბავარიელებმა „მაიდერიხერი" დაამარცხეს. ფრანკფურტში 60 ათასი ქომაგის თვალწინ შეხვედრა 4:2 დასრულდა. მეტოქის კარში გოლები ბრენინგერმა (ორჯერ), ოლჰაუზერმა და ბეკენბაუერმა გაიტანეს. თასს „ბაიერნი" მომდევნო წელსაც დაეუფლა, როდესაც ფინალში „ჰამბურგს" 4:0 მოუგო. თუმცა იმ წელს კლუბმა ბევრად უფრო მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. „ბაიერნი" თასების მფლობელთა თასის ფინალში გავიდა, სადაც შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს" დაუპირისპირდა. მატჩი ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ძირითადი დრო უგოლოდ დასრულდა. დამატებით დროში კი გერმანელებმა იმარჯვეს — 109-ე წუთზე ფრანც როთმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა და „ბაიერნს" პირველი ევროპული ჯილდო მოაგებინა.

მიუხედავად ამისა, ჩაიკოვსკის თანამდებობა დაატოვებინეს, რადგან მან „ბაიერნს" ბუნდესლიგის ჩემპიონობა ვერ მოაპოვებინა. იუგოსლაველი იუგოსლაველით შეიცვალა — ჩაიკოვსკის ნაცვლად ბრანკო ზებეცი დაინიშნა. ეს 1968 წელს მოხდა. „ბაიერნი" უკვე კარგად დაკომპლექტებული, ამასთანავე გამოცდილი გუნდი იყო, ბეკენბაუერი და მიულერი კი ჩამოყალიბებული, ძლიერი და სახელგანთქმული ფეხბურთელები. ყოველივე ამის შემდეგ მომდევნო წელს „ბაიერნის" გაჩემპიონება აღარავის გაჰკვირვებია. მიუნხენელებმა გერმანიის თასიც დაისაკუთრეს (ფინალში „შალკე 04"-ს 2:1 მოუგეს) და ისტორიაში პირველად სეზონი დუბლით დაასრულეს. სამაგიეროდ, მომდევნო წელს ყველგან ხელი მოეცარათ. ეს კი ზებეცის გასათავისუფლებლად საკმარისი აღმოჩნდა. გუნდს სათავეში უდო ლატეკი ჩაუდგა, კაცი, რომლის სახელიც ოქროს ასოებით შევიდა მიუნხენის „ბაიერნის" ისტორიაში.

ლატეკის მისვლას უმალ მორიგი წარმატება მოჰყვა. „ბაიერნმა" თასი მეხუთედ მოიგო. ამ დროს გუნდში უკვე თამაშობდნენ გეორგ შვარცენბეკი, პაულ ბრაიტნერი და ული ჰიონესი. ამ სამეულს დაუმატეთ ბეკენბაუერი, მაიერი, მიულერი, ბრწყინვალე მწვრთნელი ლატეკი და მიუნხენელთა შემდგომი ტრიუმფის მიზეზიც ნათელი იქნება.

იმ შედეგის გამეორებას, რაც „ბაიერნმა" 1972-76 წლებში აჩვენა, ალბათ ველარავინ შეძლებს. მიუნხენელებმა თანმიმდევრობით ქვეყნის, ევროპის და მსოფლიოს მწვერვალები დაიპყრეს.

1972 წელს ბავარიელებმა მეორე დუბლი შეასრულეს, ჩემპიონატიც მოიგეს და თასიც. იმ სეზონში გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირმა გერდ მიულერმა 40 გოლის გატანა მოახერხა. ერთი სიტყვით, „ბაიერნმა" შინაურ ასპარეზზე ქვა ქვაზე არ დატოვა. იმავე წელს მიუნხენმა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა. სპეციალურად ამასთან დაკავშირებით გერმანელებმა „ოლიმპიაშტადიონი" ააგეს, რომელიც ოლიმპიადის დასრულების შემდეგ „ბაიერნის" სარბიელად იქცა.

ახალი სტადიონი მიუნხენელებმა კარგად დაცადეს. იმ სეზონში ჩემპიონობა შეინარჩუნეს, მერე კი ყველაზე იღბლიანი 1974 წელიც დადგა.

„ბაიერნი" ბუნდესლიგის ჩემპიონატში იმდენად მაღლა იდგა დანარჩენ გუნდებზე, ბევრის აზრით, პირველობის ჩატარებას აზრიც არ ჰქონდა. თუმც ჩემპიონატს ამის გამო, ცხადია, არავინ ჩაშლიდა. „ბაიერნიც" მეხუთედ გაჩემპიონდა, თუმცა მთავარ წარმატებას მიუნხენურმა კლუბმა ევროპულ სარბიელზე მიაღწია.



საუკუნის ბავარიელი — „ბაიერნის" დღევანდელი პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი

ბავარიელები ჩემპიონთა თასზეც ბრწყინვალედ გამოვიდნენ და ფინალამდე უპრობლემოდ მიაღწიეს. გადამწყვეტ მატჩში ესპანურ გრანდ მადრიდის „ატლეტიკოს" შეხვდნენ. ფინალი ბრიუსელში შედგა. ფავორიტად გერმანელები ითვლებოდნენ, თუმცა მადრიდელებმა მოწინააღმდეგეს ტოლი არ დაუდეს. ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ — 1:1 დასრულდა („ბაიერნიდან" გოლი შვარცენბეკმა გაიტანა). მაშინდელი დებულების მიხედვით, გადათამაშება დაინიშნა. ორი დღის შემდეგ „ბაიერნი" და „ატლეტიკო" კვლავ ბრიუსელში შეხვდნენ ერთმანეთს. გერმანელებმა ამჯერად თავისი ნამდვილი ძალა დაანახეს მსოფლიოს. ჰიონესმა და მიულერმა ორორი გოლი გაიტანეს ესპანელთა კარში. „ბაიერნმაც" 4:0 გაანადგურა „ატლეტიკო" და ჩემპიონთა თასს პირველად დაეუფლა. მიუნხენელებმა ის მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: მაიერი, ჰანსენი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ბრაიტნერი, როტი, ჰიონესი, ზობელი, კაპელმანი, მიულერი, ტორსტენსონი (დიურნბერგერი).

ჩემპიონთა თასის მოგებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ „ბაიერნის" ექვსმა ფეხბურთელმა უფრო დიდ წარმატებას მიაღწია, თუმც სანაკრებო დონეზე. გერმანიის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჰოლანდია 2:1 დაამარცხა და პლანეტის უძლიერესი ნაკრების ტიტული მოიპოვა. ამ უდიდეს გამარჯვებაში ლომის წილი „ბაიერნის" წევრებმა დაიდეს. მაიერი, შვარცენბეკი, ბრაიტნერი, ჰიონესი, მიულერი და ბეკენბაუერი იმდროინდელი გერმანიის ნაკრების თამაშს განსაზღვრავდნენ. აღსანიშნავია, რომ ფინალში ჰოლანდიელთა კარში გოლები პაულ ბრაიტნერმა და გერდ მიულერმა გაიტანეს.

მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, 1975 წლის 2 იანვარს ლატეკი, ყველაზე ტიტულიანი გერმანელი მწვრთნელი, გუნდიდან გაუშვეს. მის ნაცვლად დეტმარ კრამერი მოვიდა.

კრამერისთვის „ბაიერნის" გაწვრთნა ძალიან ძნელი უნდა ყოფილიყო, რა-



გერმანული ფეხბურთის საუკეთესო მეგოლე გერდ მიულერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან მას გუნდში ფაქტობრივად უმოტივაციო ფეხბურთელები დახვდნენ, თუმცა მან შეძლო მათთვის ახალი სული შთაებერა. შედეგი? „ბაიერნმა" ჩემპიონთა თასი კიდევ ორი წლით შეინარჩუნა — 1975 წელს ფინალში როტისა და მიულერის გოლებით ინგლისური „ლიდსი" 2:0 დაამარცხა, ერთი წლის შემდეგ კი ფრანგულ „სენტ ეტიენს" 1:0 სძლია. ბურთი როტმა შეაგდო. მიუნხენელთა შემადგენლობა თითქმის უცვლელი იყო. მართალია, კრამერმა გუნდს შინაურ ასპარეზზე ვერ მოაგებინა, მაგრამ მწვრთნელმა დანაშაული გამოისყიდა — 1976 წელს „ბაიერნმა" ბარზილიური „ბელუ ორიზონტე" ორი მატჩის ჯამში (2:0, 0:0) დაამარცხა და ისტორიაში პირველად (უკანასკნელადაც). საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა.

## თაობათა ცვლა

ასეთ აღმაფრენას, როგორც წესი, დაცემა მოსდევს. გამონაკლისი არც „ბაიერნი" ყოფილა. გუნდმა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უკუსვლა განიცადა. ამას ხელი ბეკენბაუერის, მიულერის, ჰიონესის და სხვა წამყვანი ფეხბურთელების წასვლამაც შეუწყო. „ბაიერნი" რიგითი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული გუნდი გახდა. ამავე პერიოდში გადადგა პრეზიდენტობიდან ნოიდეკერიც. იგი ვილი ჰოფმანმა შეცვალა.

80-იანი წლების დასაწყისში „ბაიერში" ახალი თაობა გამოჩნდა. კარლჰაინც რუმენიგემ, ანდრეას ბრემემ, ნორბერტ ედერმა და ბელგიელმა მეკარე ჟან მარი პფაფმა თავისი კვალი დატოვეს მსოფლიო ფეხბურთში. ამერიკაში წასასვლელად გამზადებული ლოთარ მათეუსი კი ახლაც გუნდის სული და გულია.

„ბაიერნში" ასეთი ფეხბურთელების გამოჩენას არ შეიძლებოდა, კლუბის ხელახალი აყვავება არ გამოეწვია. ბავარიული კლუბი მნიშვნელოვნად გაძლიერდა, 1980 წლიდან მოყოლებული ათწლეულის ბოლომდე ექვსჯერ ჩემპიონობა, სამჯერ თასის აღება, ერთხელაც ქვეყნის სუპერთასის მოგება მოასწრო. გერმანელებს საერთაშორისო ასპარეზზეც შეეძლოთ თავის გამოჩენა, თუმცა ჩემპიონთა თასის ფინალში ორჯერ გასული „ბაიერნი" ორჯერვე დამარცხდა. პირველად ინგლისურ „ასტონ ვილასთან" — 0:1, ხუთი წლის შემდეგ (1987) კი პორტუგალიურ „პორტუსთან" — 1:2. ამ დროს გუნდს კვლავ ლატეკი წვრთნიდა, მაგრამ პორტუელებთან წაგების მერე ისევ დაითხოვეს.

## 90-იანი წლები

1990 წელს გერმანიის ნაკრები მესამედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. იმ გუნდში კვლავ ექვსი მიუნხენელი თამაშობდა — აუგენტალერი, როიტერი, ტონი, კოლერი, პფლუგერი და აუმანი. მსოფლიოს ჩემპიონობამდე ამ ფეხბურთელთა ძალისხმევით „ბაიერნმა" ბუნდესლიგაშიც იმარჯვა და ქვეყნის თასსაც დაეუფლა. ამას ოთხწლიანი პაუზა მოჰყვა. ზემოხსენებული ექვსეული გუნდს ვერაფერში დაეხმარა. 1996 წელს კი „ბაიერნმა" ევროპას თავი შეახსენა — ფრანც ბეკენბაუერის თავკაცობით უეფას თასი მოიგო. ფინალში ფრანგულ „ბორდოს" ორივე შეხვედრაში იოლად სძლია — 2:0, 3:1. ფინალს უკიდურესად დაძაბული ნახევარფინალი უძღოდა. „ბარსელონასთან" შინ 2:2-ის მერე, გერმანელებმა შეუძლებელი შეძლეს — ესპანელები „კამპ ნოუზე" დაამარცხეს — 2:1. ის გუნდი იტალიელი ჯოვანი ტრაპატონის შექმნილი იყო. „ბაიერნი" ის კლუბი გახდა, ვისაც სამივე ევროპული თასი — ჩემპიონთა, თასებისა და უეფას თასი მოუგია.

უეფას თასის მოპოვების შემდეგ გუნდს ტრაპატონი დაუბრუნდა. იტალიელმა „ბაიერნში" ორი სეზონი გაძლო და ორი ჯილდო მოაგებინა — ჩემპიონობა და თასი. მერე კი სამშობლოს ნოსტალგია შემოაწვა და ფლორენციაში წავიდა.

## კაიზერ ფრანცი

არ შეიძლება, მიუნხენის „ბაიერნზე" რამე დაწერო და ერთი პიროვნება „კაიზერ ფრანცად" წოდებული ფრანც ბეკენბაუერი ცალკე არ მოიხსენიო. ბეკენბაუერი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ძალიან ბევრი წარმატება სწორედ მის სახელს უკავშირდება.

ბეკენბაუერი მიუნხენურ კლუბში 1958 წელს მივიდა და უმალ გუნდის ლიდერად იქცა. ნაკრებშიც მალე მიიწვიეს. „კაიზერ ფრანცმა" ერთგანაც და მეორეგანაც კაპიტნის სამკლაური მოირგო. ბეკენბაუერი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია. 1974 წელს მსოფლიოს მწვერვალზე ფეხბურთელის ამპლუაში ავიდა, 1990-ში კი მწვრთნელისა. თამაშის დროს ბეკენბაუერი ხუთჯერ გერმანიის ჩემპიონი გახდა, ოთხჯერ თასი მოიგო, სამჯერ ჩემპიონთა თასს ფლობდა, ერთხელ თასების თასს, ერთხელაც საკონტინენტთაშორისო თასს, ამდენჯერვე მსოფლიოს, ევროპისა და აშშ-ის ჩემპიონი გახდა. 1972 და 1976 წლებში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, 1966, 68, 74 და 76 წლებში გერმანიისა, 1977-ში კი ამერიკაშიც პირველი გახდა. ახლახან კი გერმანიის საუკუნის ფეხბურთელად დაასახელეს.

არც მწვრთნელობისას დაკლებია ტიტულები.

1994 წელს ბეკენბაუერი „ბაიერნის" პრეზიდენტი გახდა. თუმც დროდადრო პრეზიდენტის სავარძელს მწვრთნელის არც თუ თბილ სკამსაც უთავსებდა, რაც მთავარია, წარმატებით. 1996 წელს გუნდის თამაშით უკმაყოფილო პრეზიდენტმა ოტო რეჰაგელი დაითხოვა და უეფას თასის ფინალში თავად გაუძღვა „ბაიერნს". როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუნხელებმა ორივე შეხვედრაში სძლიეს „ბორდოს". მანამდე ორი წლით ადრე კი ტრაპატონი გაუშვა და ბუნდესლიგაც მოიგო.

აქედან გამომდინარე გასაკვირი სულაც არაა, რომ „კაიზერ ფრანცი" ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნებაა არა მარტო გერმანულ, არამედ მთლიანად მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროში. გერმანია, მოგეხსენებათ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის იბრძვის. ბეკენბაუერის ფიგურას ამ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა. ამავდროულად ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტიც გახლავთ.

და მაინც, „კაიზერ ფრანცისთვის" მთავარი „ბაიერნია". „ჩემი საფეხბურთო კარიერის საუკეთესო წლები ამ კლუბში გავატარე. ბევრი ტკბილი მოგონება მაქვს. მსურს, ჩემი კვალი პრეზიდენტის რანგშიც დავტოვო. სამ ტურნირში ვაგრძელებთ გამოსვლას. „ბაიერნს" შესწევს ძალა, სამივეგან გაიმარჯვოს და იუბილე ტრიუმფით აღნიშნოს" — თქვა მან 27 თებერვალს მოწყობილ საღამოზე.

მიუნხენელებს სეზონი ტრიუმფით შარშანაც შეეძლოთ დაემთავრებინათ, მაგრამ...

## გუშინ და დღეს

ტრიუმფის ნაცვლად ტრაგედიის ტოლფასი იმედგაცრუება — ასე დაასრულა „ბაიერნმა" წინა სეზონი. არადა...

მაისის შუა რიცხვებში მიუნხენელებმა ჩემპიონატი მეთხუთმეტედ მოიგეს. ამავე დროს ბავარიელები ჩემპიონთა ლიგისა და ქვეყნის თასის ფინალშიც გავიდნენ.

26 მაისი მიუნხენში დიდხანს, ძალიან დიდხანს არ დაავიწყდებათ. ასეთი მატჩი გერმანელებს ხშირად მოუგიათ, წაგებით არასოდეს წაუგიათ. 26 მაისს კი დამარცხდნენ. ბარსელონაში, „კამპ ნოუზე", ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში 90-ე წუთზე „ბაიერნი" „მანჩესტერ იუნაიტედს" 1:0-ს უგებდა. მსაჯმა თამაშს სამი წუთი დაამატა. ამ სამ წუთში ჯერ შერინგემმა გაქვითა ბასლერის ნაადრევი გოლი, 42 წამში კი სოლსკიაერმა მეორეც გაიტანა. თასი ინგლისელებს დარჩათ.

„ასეთ მდგომარეობაში არასოდეს ვყოფილვარ, რა ვთქვა, ისიც არ ვიცი" — სიტყვებს ვერ პოულობდა მატჩის შემდეგ ბეკენბაუერი. „ეს ტრაგედიაა" — ასეთი გახლდათ გუნდის მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდის კომენტარი. ამასვე ფიქრობდა მთელი გერმანია.

„მანჩესტერთან" დამარცხებით დათრგუნვილი „ბაიერნი" მალე ქვეყნის თასის გადამწყვეტ მატჩშიც დამარცხდა. ბრემენის „ვერდერმა" პენალტების სერიაში იმარჯვა. მიუნხენელებიც ჩემპიონობის ამარა დარჩნენ.

და რა არის დღეს?

დღეს გერმანული ფეხბურთი აშკარა კრიზისს განიცდის. ბუნდესლიგის ჩემპიონატის დონეც საგრძნობლად დაეცა, თუმცა „ბაიერნზე" ავუგი ვერ დაგცდება. ეს კლუბი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესის სახელს კვლავაც ინარჩუნებს. ეს კი გუნდის ხელმძღვანელთა სწორ პოლიტიკაზე მეტყველებს.

„ბაიერნი" დანარჩენ გუნდებზე აშკარად მაღლა დგას. „ლევერკუზენს" მიუნხენელები ხუთი ქულით უსწრებენ. მართალია, სხვაობა არც ისე დიდია, მაგრამ გერმანიაში (და არა მარტო გერმანიაში) „ბაიერნის" ჩემპიონობაში ეჭვი არავის ეპარება.

ბავარიელები ჩემპიონთა ლიგაშიც წარმატებით გამოდიან და ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებიან. „ბაიერნი" ქვეყნის თასის ფინალშიც გავიდა, თანაც ზედიზედ მესამედ. მეტოქედ კი კვლავაც „ვერდერი" ჰყავს.

ასე რომ, „ბაიერნი" ჩინებულ ფორმაშია და ყველა ფრონტზე გამარჯვებას გეგმავს. მის ქომაგებს კი ბოლო დროს შიში გასჩენიათ, ერთ კვირაში უბერებელი ლოთარ მათეუსი გუნდს ტოვებს. მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავი ნიუ იორკის „მეტროსტარზში" გადადის. თუმცა ჰიცფელდი მაინც იმედიანადაა: „მათეუსის წასვლა, ცხადია, დაგვეტყობა, მაგრამ ჩვენ ისეთი ფეხბურთელები გვყავს, მჯერა შედეგზე არ იმოქმედებს". ვისი ეიმედება ჰიცფელდს? „ბაიერნი" ვარსკვლათა სიმრავლით ვერ დაიკვეხნის. მათეუსის გარდა შტეფან ეფენბერგი და ოლივერ კანი თუ ითვლებიან ვარსკვლავებად. სამაგიეროდ, მიუნხენურ კლუბს მრავლად ჰყავს ისეთი ფეხურთელები, რომლებსაც მთელი სეზონის სტაბილურად ძლიერად ჩატარება ძალუძთ. იერემისი, ტარნატი, პაულო სერჟიო, ელბერი, ლიზარაზუ სწორედ მათ რიცხვს განეკუთვნებიან.

ერთი ნიშანდობლივი ფაქტიც. „ბაიერნი" ძალიან იშვიათად ყიდულობს ვარსკვლავებს. როგორც წესი, ფეხბურთელი აქ ყალიბდება ვარსკვლავად. ბეკენბაუერი, მიულერი, მაიერი, ჰიონესი, ბრაიტნერი, რუმენიგე, მათეუსი და სხვები სწორედ „ბაიერნში" აკაშკაშდნენ.

„ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის. ჩამოყალიბებული ფეხბურთელებით ჩემპიონატის და თასის მოგებაზე იოლი არაფერია. მთავარია, შენ შექმნა, შენ გაზარდო ფეხბურთელები და წარმატებასაც ისე მიაღწიო" — ამბობს „ბაიერნის" მენეჯერი ული ჰიონესი, წარსულის კიდევ ერთი სახელოვანი სპორტსმენი.

ბოლოს კი ვიცე-პრეზიდენტ კარლ-ჰაინც რუმენიგესაც მოვუსმინოთ: „ვფიქრობ, „ბაიერნი" უკვე მომწიფდა იმისთვის, რომ კვლავ ავიდეს მსოფლიოს ფეხბურთის ოლიმპზე. შარშან ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა. წლეულს იმ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ. დარწმუნებული ვარ, ჰიცფელდი, ეფენბერგი და კომპანია „ბაიერნის" 100 წლისთავზე კლუბს ძველ დიდებას დაუბრუნებენ".

ჩვენც მოთმინებით დაველოდოთ სეზონის მიწურულს, თუმცა „ბაიერნმა" წლეულს სულ რომ ვერაფერი მოიგოს, იგი ყოველთვის დარჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად.

ვანო ოქროპირიძე



უბერებელი ლოთარ მათეუსი მშობლიურ გუნდს მალე დატოვებს



1999 წლის 26 მაისი. ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ. მარცხნიდან დგანან: შტეფან ეფენბერგი, კარსტენ იანკერი, მარკუს ბაბელი, ალექსანდერ ციკლერი, თომას ლინკე;
სხედან: იენს იერემისი, მიხაელ ტარნატი, სამუელ კუფური, ოლივერ კანი, მარიო ბასლერი, ლოთარ მათეუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელონაქებ ქართველებს დაჭრილ ლომებთან ომი ელით

დასაწყისი პირველ გვერდზე

დღეს მადრიდში ვერ ითამაშებს ნაოპერაციევი პარწიკანაშვილი. მის ნაცვლად მოედანზე ალბათ დიდებულიძე გავა. არ იქნება გიორგაძეც, რომელმაც ნეკნი დაიშავა და მას შველიძე შეცვლის. კლოდ სორელი ესპანელებს სავარაუდოდ ამ მორაგბეებს დაუპირისპირებს: *ესაკია, შველიძე, ცაბაძე, ნადირაძე, დიდებულიძე, მჭედლიშვილი (კაპიტანი), ლაბაძე, ზედგენიძე, აბუსერიძე, ჯიმშელაძე, ურჯუკაშვილი, კაცაძე, ხამაშურიძე, ხეხელაშვილი, აბაშიძე*

*სათადარიგონი: ანდღულაძე, ბუგიანიშვილი, იურინი, ზიბზიბაძე, კართანიანი, მაგრაქველიძე, ნიკოლაენკო*

ესპანელები კი სავარაუდოდ ჩვენებურებს ასეთ შემადგენლობას დაახვედრებენ: *სალასარი, სარსოსა, საპატერო, ბენიტო, სოუტო, ასტარლუა, მასარიეგოსი, მატა, ალონსო-ლაშერასი, მარტინესი, იჩაუსტი, ალ. სოკიასი, ენკისო (კაპიტანი), ან. სოკიასი, ფრეჩილა.*

*სათადარიგონი: ველასკო, მარტინი, ხუდესი, კრისტენსენი, ისკუერდო, დელა კალე, ორტეგა.*

ხვალ რუმინეთი პორტუგალიას უმასპინძლებს, ჰოლანდია კი ტურნირში უკონკურსოდ მონაწილე მაროკოს შეხვდება.

ზურა ბენიძე

**სატურნირო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 39-10 | 2 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 52-29 | 2 |
| საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 32-30 | 2 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 51-51 | 2 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 18-72 | 0 |

ცხრილში შეტანილი არ არის უკონკურსო მაროკოს რუმინეთთან მოგება და საქართველოსთან წაგება



ქართველების დღევანდელი და მომავალი მეტოქენი: ესპანელი ალფონსო მატა (მარჯვნივ) და ჰოლანდიელი ელსარა კაინე



ვიკერი, ბეკი და გრინინგი ფრანგთა ძლევას ზეიმობენ

# დაითვალეთ დუელები

Lloyds TSB

six nations Championship

4 მარტი

**ინგლისი — უელსი**

უელსისთვის ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინგლისთან მატჩს. უელსელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ძლიერ მეზობელთან არ დამარცხდნენ. ეს სიტყვები გაცვეთილი ჩანს, მაგრამ ამ მატჩის შესახებ წერისას ვერასოდეს აუვლი გვერდს. ინგლისისა და უელსის დაპირისპირება მუდამ დაძაბული და უშელავათოა. 90-იანი წლების დასაწყისშიც კი, როცა უელსური რაგბი ღრმა კრიზისში იყო, „წითლები" დროდადრო მაინც ახერხებდნენ ხოლმე ინგლისელების გამწარებას. და შარშანდელი მატჩი უემბლიზე, სადაც უელსი საშინაო თამაშებს ატარებდა კარდიფის „მილენიუმის" რეკონსტრუქციის გამო? ინგლისს მანამდე სამი შეხვედრა მოეგო და ყველა თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ის დიდ სლემს შეასრულებდა. თუმცა მათი მეტოქე სხვანაირად ფიქრობდა და გიბსის მიერ ბოლო წუთზე გატანილმა ლელომ ინგლისს დიდ სლემთან ერთად ხუთი ერის ჩემპიონობაც დააკარგვინა. ის ლელო ისეთი იყო, რომელზეც უამრავი მორაგბე ოცნებობს: „ბურთი მე მაქვს, მთელ დაცვას ხელიდან ვუსხლტები, შებოჭვის ბოლო მცდელობაც ავიცილე, ძელების უკან გავიტანე ლელო, გარდასახვაც ზუსტად შეასრულეს და ერთი ქულით გავიმარჯვეთ". ინგლისელები მატჩის შემდეგ მინდორზევე დარჩნენ და კარგა ხანს გონსაც ვერ მოეგნენ.

დღეს კი მასპინძლები რევანშის წყურვილით არიან ანთებულნი, მაგრამ არც სტუმრები აპირებენ თამაშის იოლად დათმობას. ასე რომ, ტრადიციულად დაძაბული და უშელავათო ბრძოლაა მოსალოდნელი.

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ინგლისელები მოწინაალმდეგეზე მთელი თავით მაღლა დგანან და გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეთ. პირველ ორ ტურში მათ ბრწყინვალედ ითამაშეს. ირლანდიასთან შინ ისეთი ლაღი და შემტევი ბურთაობა გააჩაღეს, ბევრს შეშურდებოდა. ამის წყალობით მეტოქე ძალიან დაჩაგრეს და დიდებული გამარჯვებაც მოიპოვეს. საფრანგეთთან სტუმრად კი მათ სულ სხვა სტილით მიაღწიეს წარმატებას. „სტად დე ფრანსზე" სტუმრებმა აქცენტი დაცვაზე და ბურთის შენარჩუნებაზე გააკეთეს. ფრანგებზე გაცილებით ნაკლებად დაჯარიმდნენ და დამრტყმელების დუელში იმარჯვეს. უელსელები პირველ ტურში კარდიფში საფრანგეთმა გაანადგურა, შემდეგ ტურნირის დებიუტანტ იტალიასთან მოგება კი მათ სიძლიერეზე არ მეტყველებს.

თუმც ეს ის შეხვედრაა, რომელიც ლოგიკას არ ემორჩილება.

ინგლისელები, სავარაუდოდ, აქცენტს თავიანთ შერკინებაზე გააკეთებენ, რომელიც უელსისაზე გაცილებით ძლიერია. თუმცა „წითლების" მორკინლებს მაინც შეუძლიათ „თეთრების" შეჩერება, თუნდაც დაჯარიმების ხარჯზე. თუ მასპინძლები მხოლოდ მორკინლების იმედად დარჩნენ, ადვილი შესაძლებელია, მატჩის ბედი ბოლო წუთებში გადაწყდეს, როცა სტუმრები მოიქანცებიან.

ალსანიშნავია აგრეთვე, რომ შეხვედრაში რამდენიმე პიროვნული „დუელიც" შეიძლება გაიმართოს. დალალიო კრეიგ ქვინელის პირისპირ იქნება, არჩერი — სკოტ ქვინელისა, უილკინსონი — ნილ ჯენკინსისა. ვინ ვის აჯობებს? განსაკუთრებულ ინტერესს კი მაინც დამრტყმელთა დაპირისპირება იწვევს. უილკინსონი და ჯენკინსი ხომ მსოფლიოს მასშტაბითაც ძალიან ძლიერები არიან.

*სავარაუდო შემადგენლობები*

**ინგლისი:** პერი, ჰილეი, ტინდელი, კეტი, კოჰენი, უილკინსონი, დოუსონი (კაპ.), დალალიო, ბეკი, ჰილი, შოუ, არჩერი, ვიკერი, გრინინგი, ლეონარდი

**უელსი:** ჰოვარტი, ტომასი, ტეილორი, ბეიტმენი, ს. უილიამსი, ნ. ჯენკინსი, ჰოული, ს. ქვინელი, სინკინსონი, ჩარვისი, ვიატი, კ. ქვინელი, იანგი (კაპ.), გ. ჯენკინსი, როჯერსი

# იტალიელებისას რას გაიგებ?!

4 მარტი

**ირლანდია — იტალია**

მშობლიურ „ლენსდოუ როუდზე" ირლანდია ზედიზედ მეორე თამაშს გამართავს და მშვენიერი შესაძლებლობა ეძლევა, ტურნირში ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმოს. ასეთი რამ ირლანდიელებს დიდი ხანია, არ გაუკეთებიათ.

ძნელია ირლანდიის ამჟამინდელი ნაკრების რეალურ ძალაზე იმსჯელო პირველი ორი ტურის მიხედვით. ინგლისთან ის ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა და სასტიკადაც დამარცხდა. შოტლანდიასთან კი ისეთი ალმაფრენით ითამაშა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, ყველა განცვიფრდა. სკოტებთან ირლანდიელებმა ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს და სწორედ ამან გადაარჩინა უორენ გეტლენდი. ირლანდიის ახალზელანდიელი მთავარი მწვრთნელი მსოფლიოს თასზე უსახური გამოსვლის შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვა და ის თამაშიც რომ არ მოეგო, უეჭველად თანამდებობის დატოვება მოუწევდა.

თუმცა ასე არ მოხდა და გეტლენდი ახლა იტალიის დასახვედრად ემზადება. საინტერესოა, რომ „სამყურებს" შოტლანდიისთვის უკვე 12 წელიწადია არ უჯობნიათ, ტურნირში კი ბოლო ხუთ წელს უელსის მეტი ვერავინ დაუმარცხებიათ. „თვიქენემზე" 18:50 წაგების შემდეგ გეტლენდმა გუნდი ერთობ გაახალისა — რვა ცვლილება მოახდინა, რამაც სასურველი შედეგიც მოუტანა. იტალიასთან მან ძირითადი შემადგენლობა უცვლელად დატოვა, სათადარიგოებიდან კი ორი კაცი შეცვალა — ძველმა კაპიტნებმა პედი ჯონსმა და



დიონ ოკუინეგენი ირლანდიის ნაკრებში დააბრუნეს

დიონ ოკუინეგენმა ჯერემი დევიდსონისა და ტრევორ ბრენენის ადგილები დაიკავეს. მასპინძელთა ახალზელანდიელ დამრიგებელს დიდად ეიმედება ახალგაზრდების, განსაკუთრებით სამმეოთხედელი ოდრისკოლისა და უცილობელ გამარჯვებასაც გეგმავს.

გაცილებით ნაკლებად ამბიციურია მეორე ახალზელანდიელი მწვრთნელი — იტალიის დამრიგებელი ბრედ ჯონსტონი. მის გუნდს ტრავმების გამო ძირითადის რამდენიმე კაცი აკლია. ჯონსტონს განსაკუთრებით მასიმო ჯოვანელის არყოფნა ადარდებს და დიდი თავსატეხიც აქვს ოპტიმალური შემადგენლობის მოსაძებნად.

აპენინელთა ნაკრების სათავეში იგი მხოლოდ მეოთხე მატჩს ატარებს და გუნდში კვლავ უამრავი ცვლილება მოახდინა. ალესანდრო სტოიკა სამმეოთხედელთა ცენტრში გადაიყვანა, მის მაგივრად ფრთაზე კი წარმოშობით არგენტინელი ხუან ფრანსეზიო დააყენა. კარლო ჩეკინატო შერკინების მეორე ხაზში დადგება, პირველში კი ანდრეა დე როსი დაიწყებს თამაშს...

ტურნირის პირველ მატჩში შოტლანდიის დამარცხების შემდეგ იტალიამ უელსთან 16:47 წააგო, თუმცა ასეთი კატასტროფული ანგარიშის მიუხედავად ცუდი შთაბეჭდილება მაინც არ დაუტოვებია. ჯონსტონის ხელში მსოფლიოს თასზე ძალიან სუსტად მოთამაშე გუნდი გარდაიქმნა და გაცილებით უკეთესად გამოიყურება. ირლანდია გამარჯვებას კი გეგმავს და სპეციალისტებიც მას ასახელებენ უცილობელ ფავორიტად, მაგრამ „სკუადრა ადურამ" თავისი დამრტყმელის, დიეგო დომინგესის თამადობით ეგებ სენსაციაც გააჩერხოს. ისე, სტატისტიკა ამას სრულებით არ გამორიცხავს. ეს ორი გუნდი ერთმანეთს ხუთჯერ შეხვედრია და აქედან სამჯერ იტალიას უმარჯვია, მათ შორის ერთხელ, 1997 წელს, „ლენსდოუ როუდზე"...

*სავარაუდო შემადგენლობები*

**ირლანდია:** დემპსი, ჰორგენი, ოდრისკოლი, მალინსი, ჰიკი, ოგარა, სტრინჯერი, ფოლი, დოუსონი, ს. ეკტერბი, ოკელი, გალვი, ჰეიესი, ვუდი (კაპ.), კლოჰესი

**იტალია:** პინი, დ. დალანი, მარტინი, სტოიკა, ფრანსეზიო, დომინგესი, ტრონკონი (კაპ.), ვასერი, ბერგამასკო, დე როსი, გრიტი, ჩეკინატო, პაოლეტი, მოსკარდი, კუტიტა

# პირი ხისკენ და, შოტლანდია?

4 მარტი

**შოტლანდია — საფრანგეთი**

ამ გუნდების შეხვედრა მუდამ სანახაობრივი იყო, რადგან ორივე ლაღი ბურთაობის მიმდევარი გახლდათ. დღეს „მიურეფილდზე" კი საფრანგეთი, ალბათ, სხვანაირად ითამაშებს. მის სათავეში ბერნარ ლაპორტის მოსვლის შემდეგ ეს ნაკრები უფრო სამხრეთული სტილისკენ გადაიხარა, რაც დაცვისათვის დიდი ყურადღების დათმობას ითვალისწინებს.

რომელ გუნდს გამარჯვების რა შანსი აქვს?

უპირატესობა ალბათ სტუმრების მხარესაა. ფრანგების შერკინება სკოტებისაზე ძლიერია. „მამლების" მორკინალებმა პირველ ტურში უელსელთაგან ქვა ქვაზე არ დატოვეს, ინგლისელებსაც აჯობეს და ის თამაში ბოლო წუთებზე ლამის სათავისოდაც შეაბრუნეს. მიუხედავად აბდელატიფ ბენაზის არყოფნისა, საფრანგეთის შერკინებამ მეტოქე უნდა დაჯაბნოს. სკოტებს ვეტერანი დოდი ვეირი დაუბრუნდათ. მისი, სკოტ მიურეის და მარტინ ლესლის წყალობით მასპინძლებს აუტების მოგების უკეთესი შანსი ექნებათ, რადგან სტუმრებს მხოლოდ ორი „მხტომელი" — ჟან დოდე და სებასტიან შაბალი ეყოლებათ. თანაც ამ ორივე მორაგბეს საერთაშორისო მატჩების დიდი გამოცდილება აქვს.

წლის ამ დროს შოტლანდიაში ძალიან ხშირია წვიმები. ცამ დღესაც თუ მოხსნა პირი, დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ხელით თამაშს. ვინც ნაკლებად დაკარგავს ბურთს, მოგების შანსიც მეტი ექნება. „მამლების" უკანა ხაზი უფრო ძლიერი ჩანს. კასტენიედი-დომინისი-ნტამაკის კომბინაციების ჩაშლა სკოტებს ერთობ უნდა გაუჭირდეთ. თუმცა მეტკელფი-პატერსონი-ლოგანის ტრიოც არაა ჯაბანი. შოტლანდიას იერიშების გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს, რადგან თოუნსენდი ამ ბოლო დროს ერთობ სუსტად ირჯება. ამ მხრივ ვერც ფრანგები არიან გულდამშვიდებულნი, რადგან 10 ნომრად დებიუტანტი ჟერალდ მერსერონი ჰყავთ, რომელსაც თავისიანების შეტევების ორგანიზება საკმაოდ უნდა გაუჭირდეს.

დაცვა საფრანგეთისა აშკარად უკეთესია. „ლურჯები" ტურნირში ჯერჯერობით ერთადერთნი არიან, ლელო რომ არ გაუშვიათ. ცენტრში რიშარ დურთის არყოფნის მიუხედავად, არა მგონია, მეტოქის იერიშებისას მათ დიდი პრობლემები შეექმნათ. თუმცა სკოტებს თითქმის ყოველთვის შეუძლიათ „აფეთქება" და ნებისმიერი ჯებირის გარღვევა. ამის დასტურად შარშანდელი მატჩიც გამოდგება, როცა „სტად დე ფრანსზე" შოტლანდიამ ნახევარ საათში ხუთი ლელო გაუტანა საფრანგეთს. სკოტების დაცვა კი წლეულს კარგად ვერ თამაშობს. მან ორ მატჩში უკვე ექვსი ლელოს გაშვება „მოასწრო".

ერთი სიტყვით, გამარჯვების უკეთესი შანსი ნამდვილად საფრანგეთს აქვს და თუ ასეც მოხდა, შოტლანდია კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს „ხის კოვზისაკენ", რომლითაც ყველა მატჩში წაგებული ნაკრები „ჯილდოვდება".

*სავარაუდო შემადგენლობები*

**შოტლანდია:** პატერსონი, მეტკელფი, მეიერი, ჯ. ლესლი (კაპ.), ლოგანი, თოუნსენდი, ნიკოლი, სიმპსონი, პოუნტნი, მ. ლესლი, გრიმსი, მიურეი, სტიუარტი, ბრათერსტოუნი, სმიტი

**საფრანგეთი:** კასტენიედი, ნტამაკი, ვანდიტი, ლომბარი, დომინისი, მერსერონი, ლოსიუკი, შაბალი, პელუ (კაპ.), მანი, დოდე, ბრუზე, ტურნერი, დალ მაზო, კალიფანო, დებროსი

გაიოზ თალაკვაძე

# შვება ტკივილში

სკოტსდეილი. აშშ. STATE FARM-ის პირველობა. ჰარდი. საპრიზო 535 ათასი $

სკოტსდეილის პრესტიჟული ტურნირის მეორე წრიდან ასპარეზობაში მძიმე არტილერია — მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნები, მარტინა ჰინგისი და ლინდსი დევენპორტი ჩაერთვნენ.

19 წლის შვეიცარიელს ამერიკელი ჩანდა რუბინის ძლევა მაინცდამაინც არ გასჭირვებია — 6:3, 6:3, სამაგიეროდ დევენპორტს გაცილებით სერიოზული მეტოქე ერგო აღმასვლის გზაზე მდგარი ჯენიფერ კაპრიატის სახით და ოფლისღვრაც მეტი მოუხდა.

ყოფილმა ვუნდერკინდმა კაპრიატიმ თავის პირველ მატჩში აქ უიმბლდონის ნახევარფინალისტი ალექსანდრა სტივენსონი გაანადგურა 6:3, 6:0 და ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონთან შეხვედრის წინ ოპტიმისტურად იყო განწყობილი: „ვერ გეტყვით, რომ ლინდსისთან ასე ადრეულად თამაშმა ძალიან გამახარა, მაგრამ სწორედ მასთან გაბრძოლება გამომადგება იმის საზომად, პროგრესს მივაღწიე თუ არა. ვფიქრობ, ნამდვილად შემიძლია წინააღმდეგობის გაწევა“.

თავის მხრივ, დევენპორტს უკვე ერთ თვეზე მეტია, არ უთამაშია, რადგან მელბურნში მარცხენა ფეხის კუნთი დაიზიანა: „პირველი სამი კვირის მანძილზე ტრავმამ გამაწვალა, არაფრით არ სურდა მორჩენა. ახლა შედარებით უკეთ ვგრძნობ თავს, ასი თუ არა, ოთხმოცი პროცენტით გამოვჯანმრთელდი“.

კაპრიატიმ მატჩი შესანიშნავად დაიწყო: რისკიანი დარტყმებით მეტოქე უკანა ხაზს მიაჯაჭვა და მძლავრი შეტევების განხორციელების საშუალება არ მისცა. ჯენიმ პირველ სეტში აშკარად აჯობა თანამემამულეს, მაგრამ დევენპორტი თანდათან გახურდა, უკეთ ამოძრავდა და თავისი უპირატესობა წონაში უფრო შესამჩნევი გახადა.

ახლა უკვე კაპრიატი ვეღარ უსწრებდა მეტოქის ყუმბარებს, უჭირდა საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაც და საბოლოოდ მეოთხედფინალის საგზურიც დევენპორტს დარჩა 3:6, 6:2, 6:3.

„მეორე სეტიდან მიღებაზე კარგად ვირჯებოდი, მან კი პირველი მოწოდებების აცილებას უმატა. როდესაც შენი მეტოქე უკეთ იწყებს თამაშს, თავადაც უფრო ცდილობ, ამიტომ მეტ შეცდომას უშვებ და აქაც სწორედ ასე მოხდა“ — ეს ექსპერტის შეფასება დევენპორტს ეკუთვნის.

ლინდსის იოლი გასეირნება არც მეოთხედფინალში ელის — მისი მეტოქე კიდევ ერთი სახელოვანი თანამემამულე, მონიკა სელეში იქნება.

სელეშს ფეხის ტრავმის გამო ხუთი თვე გაუცდა, შედეგად კლასიფიკაციაში ქვევით დაეშვა და 1989 წლის შემდეგ პირველად ტურნირზე განთესილიც კი არ არის.

ეს ფაქტი მონიკას არც ფასს აკლებს და არც იოლ მეტოქედ აქცევს — გასულ კვირაში ჯეროვანი მომზადების გარეშეც მან კარიერის 45-ე ტიტული მოიგო, სკოტსდეილში კი მეორე წრეში ავსტრიელი ბარბარა შეტი (8) გაამწარა 7:6 (11:9), 6:1.

პირველ ხელში სელეშმა 5:2 უპირატესობა გაანიავა. მოგვიანებით მას სეტ-პოინტის გადარჩენაც მოუხდა, თუმცა წლეულს უკვე ზედიზედ მეექვსე ტაი-ბრეიკზე მაინც იმარჯვა, მერე კი ავსტრიელმა თეთრი ალამი გადმოფინა.

„მისი მოწოდება უამრავ პრობლემას მიჩენს და საერთოდ, ცაციებთან თამაშსაც ვერ ვიტან. კიდევ კარგი, რომ ტურზე მემარცხენეები ცოტანი არიან“ — თავი იმართლა შეტმა.

„უცნაური მატჩი იყო. ორივენი ბავშვურ შეცდომებს ვუშვებდით, მეორე წუთში კი საოცარი დარტყმები გამოგვდიოდა. ლინდსისთან მოგება თუ მსურს, საკუთარ შესაძლებლობებზე უკეთ უნდა ვითამაშო“ — აღნიშნა მონიკამ.

მერვედფინალი: **მარი პირსი (3, საფრანგეთი) — სანდრა ნაჩუკი (იუგოსლავია) 6:0, 6:1; აი სუგიამა (იაპონია) — ჟული ალარი (4, საფრანგეთი) 6:4, 6:2; ანა კურნიკოვა (6, რუსეთი) — სილვია პლიშკე (ავსტრია) 6:1, 6:1; სანდრინ ტესტიუ (7, საფრანგეთი) — ემი ფრეზერი (აშშ) 7:5, 6:0; ნატალი დეში (საფრანგეთი) — მეგან შაფნესი (აშშ) 6:3, 4:6, 6:1**

დელრეი ბიჩი. აშშ. „სიტრიქსის ჩემპიონატი“. ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $

„ყველაფერი მიხურს და მტკივა: ორივე მკლავი, კუნთები, ბარძაყები, ფეხებიც და ზურგიც“ — ეს პატრიკ რაფტერის სიტყვებია, რომელიც ზემოთქმულის მიუხედავად, ამ დღეებში თავს ბედნიერ ადამიანად გრძნობს.



ლინდსი დევენპორტი

მძიმე ტრავმამ აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი ნახევარ წელზე მეტით ჩამოაშორა ჩოგბურთს, ამიტომ ბოლო ხანებში ზედმეტ დატვირთვას უჩვევი სხეულის კიდურების ტკივილშიც არაბუნებრივი არაფერია. უფრო მთავარი ის არის, რომ კიკინიან ავსტრალიელს ნაოპერაციევი მხარი არ აწუხებს და რიგიანადაც თამაშობს.

მერვედფინალში რაფტერმა ავსტრიელი მარკუს ჰიპფლი დაჯაბნა 6:2, 7:5 და წინა მატჩისგან განსხვავებით, პრეს-კონფერენციაზე თვითკრიტიკასაც არ მოჰყოლია: „თავადაც მიკვირს, ისე კარგად ვთამაშობ. დღეს ყველაფერი უკეთ გამომდიოდა — მიღებები, შემოვლებები, ბადესთან თამაში. ძალიან კმაყოფილი ვარ და იმედია, ასევე გავაგრძელებ“.

მერვედფინალი: **პრის ვუდრაფი (5, აშშ) — ლორენზო ტილმანი (იტალია) 6:1, 6:4; შტეფან კუბეკი (6, ავსტრია) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:1, 7:6 (9:7); პოლ გოლდსტაინი (აშშ) — ფრანსისკო კლავეტი (8, ესპანეთი) 6:4, 6:4; რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 6:7 (2:7), 6:1, 6:4.**

კოპენჰაგენის ღია პირველობა. დანია. დარბაზი. ხალიჩა. საპრიზო 350 ათასი $

როგორც იქნა, ათასწლეულის პირველი გამარჯვება მიითვალა 20 წლის რუსმა მარატ საფინმა. ზორბა ჩოგბურთელს, ბევრი მსოფლიოს მომავალ პირველ ჩოგნად მიიჩნევს, მაგრამ ღმერთმა შესანიშნავი ფიზიკური მონაცემების პატრონი საფინისთვის მარკ ფილიპუსისის არ იყოს, ტვინიც მადლიანად აღარ გაიმეტა.

რუსი აქამდე ოთხ ATP ტურნირზე პირველივე წრეში დამარცხებულიყო, დანიის დედაქალაქში კი ნავსი გატეხა: ჯერ კანადელ სებასტიან ლაროს აჯობა და მერვედფინალში დიდი გაჭირვებით სლოვაკი იან კროსლაკიც დაამარცხა 3:6, 6:0, 7:6 (10:8).

მერვედფინალი: **მაგნუს ლარსონი (3, შვედეთი) — ტომას ბერენდი (გერმანია) 7:5, 6:1; ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) — რაინერ შუტლერი (4, გერმანია) 3:6, 6:4, 6:1; ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) — გორან ივანიშევიჩი (5, ხორვატია) 6:4, 3:6, 6:3; როჯერ ფედერერი (7, შვეიცარია) — ფრედრიკ იონსონი (შვედეთი) 6:4, 6:4.**

**ავთანდილ სვანიძე**



მონიკა სელეში



# პეტ ბერნსი — თავს არ მოიკლავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 მარტი

**ბოსტონი — მონრეალი 2:5**

1:0 1:2 0:3

1:0 სამსონოვი 0'28 (17); 2:0 ნიკულასი 31'38 (1); 2:1 ბრიუნე 36'16 (10); 2:2 კორსონი 59'54 (6); 2:3 ჟოლტოკი 51'49 (21); 2:4 კორსონი 54'54 (7); 2:5 რუჩინსკი 58'42 (21)

**ატლანტა — სენტ ლუისი 2:5**

2:1 0:2 0:2

1:0 დომენიჩელი 9'07 (6); 1:1 ჰანდზუსი 11'13 (20); 2:1 ემერსონი 15'00 (14); 2:2 დემიტრა 23'59 (26); 2:3 ბარტესკო 26'22 (14); 2:4 ბარტესკო 40'21 (15); 2:5 პელერენი 59'56 (6)

**აილენდერსი — ოტავა 5:5**

2:1 2:2 1:2 0:0

1:0 ლაპუანი 1'04 (12); 1:1 ჰოსა 15'51 (25); 2:1 ლაპუანი 17'55 (13); 2:2 ჰოსა 20'25 (26); 3:2 სკაჩარდი 35'20 (8); 4:2 უოტი 36'04 (3); 4:3 დაკელი 39'42 (5); 5:3 იოკინენი 41'45 (6); 5:4 ფორბსი 49'38 (2); 5:5 რედენი 58'59 (10)

**კოლორადო — ნიუ ჯერსი 5:0**

0:0 4:0 1:0

1:0 საკიკი 28'28 (13); 2:0 დედმარში 28'49 (15); 3:0 ტანგეი 30'04 (14); 4:0 ჰეიდუკი 35'35 (27); 5:0 საკიკი 52'00 (14)

**ვანკუვერი — ანაჰაიმი 3:1**

1:0 2:0 0:1

1:0 მოგილნი 15'28 (16); 2:0 მესიე 31'49 (13); 3:0 მეი 35'02 (6); 3:1 მილერი 51'01 (7)

**ლოს ანჯელესი — კაროლინა 2:5**

0:1 1:1 1:3

0:1 კაპანენი 7'32 (21); 1:1 რობიტაილი 26'05 (33); 1:2 რობერტსი 34'19 (13); 1:3 რობერტსი 40'25 (14); 1:4 ჟელინა 47'09 (13); 2:4 გ. მიურეი 58'03 (23); 2:5 ბრინდამორი 59'41 (8)

**სან ხოსე — ნეშვილი 4:3**

1:0 1:3 2:0

1:0 მატო 15'44 (9); 1:1 ბორდელო 21'28 (6); 1:2 ბერეჰოვსკი 22'12 (11); 1:3 ბუგნერი 24'47 (2); 2:3 სტიუარტი 33'07 (8); 3:3 ფრიზენი 40'46 (22) 4:3 შტურმი 49'55 (9)

„თვითმკვლელობაა აბა, რა? გამუდმებით ვეძებ პასუხს და ვერ ვპოულობ. ეს ხომ ერთი-ორი შეცდომა არაა. საიდან დავიწყო, არ ვიცი“ — სევდიანად თქვა ბოსტონელთა მწვრთნელმა პეტ ბერნსმა მატჩის შემდეგ და თან მცველთა შეცდომებზე ისაუბრა. მისი მწუხარება გასაგებიცაა. ორი წლის წინ ბერნსმა მაჩანჩალა ბოსტონი ჩაიბარა და ერთ სეზონში საპლეიოფო გუნდად აქცია, წლეულს კი სულ უკან-უკან მიდიან, რაშიც ყველაზე მეტად მწვრთნელს ადანაშაულებენ. რა ქნას საბრალო ბერნსმა, თუ გუნდი 37 წუთს ჩინებულად თამაშობს, მერე კი უცაბედად ყველაფერი თავდაყირა დგება და ბავშვური შეცდომების გამო ესოდენ მნიშვნელოვან ქულებს კარგავს? რა მისი ბრალია, რომ „დათვები“ ორ გოლს რიცხვმრავლობაში უშვებენ (!), ხოლო შეინ კორსონს ანგარიშის გათანაბრებაში მცველი დერენ ვან იმპი ეხმარება, რომელიც რატომღაც უმიზეზოდ ეცემა და მეტოქეს თავაზიანად უთმობს გზას. მოკლედ, ეძებს ბერნსი პასუხს, მაგრამ ამაოდ, მისი გუნდი კი თანდათან შორდება პლეი ოფს.

თუმც იყო ოთხშაბათს გუნდი, რომლის დაცვამაც ბოსტონისას „აჯობა“. ყოველთვის ორგანიზებულად მოთამაშე ოტავა, ამჯერად ცნობილი საბჭოური პრინციპით ასპარეზობდა — თავის თავს ჯერ პრობლემებს უქმნიდა, მერე კი რის ვაი-ვაგლახით იძვრენდა თავს.

აილენდერსთან შეხვედრაში „სენატორებმა“ სამი (!) შაიბა გაუშვეს რიცხვმრავლობაში და კიდევ კარგი, მეტოქეთა მეკარემ საჩუქარი არ დაიშურა მათთვის (მეოთხე შაიბა მთლიანად მის სინდისზეა) და ქულის გადარჩენაში დაეხმარათ.

სან ხოსეს ნეშვილთან გამარჯვებაც სტუმართა მიერ ასევე უმრავლესობაში გაშვებულმა ორმა გოლმა განაპირობა. ერთ-ერთი მათგანი კი, რომელიც მარკუს შტურმმა მიითვალა, გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ოთხშაბათი ვეტერანების მიღწევების დღეც იყო. სამი წაგება-ფრის შემდეგ კაროლინას მეკარე პატრიკ რუამ ოცნება აისრულა და კარიერაში 494-ე მოგებით ნჰლ-ის ისტორიაში მეორე ადგილზე მყოფ ლეგენდარულ ჟაკ პლანტს გაუტოლდა, თანაც ამას რუამ ერთ-ერთ ლიდერ ნიუ ჯერსთან შეუპოვარი თამაშით და კარიერაში 48-ე შატაუტით მიაღწია. მისმა თანაგუნდელმა მილან ჰეიდუკმა კი 4 (1+3) ქულა მიითვალა. აღსანიშნავია, რომ წელიწადზე მეტია, „ეშმაკებს“ მშრალი ანგარიშით არ წაუგიათ.

მარკ მესიემ ლიგაში 1700-ე ქულა მიითვალა, რაც მანამდე მხოლოდ დიადებმა — უეინ გრეცკიმ (2795), გორდი ჰოუმ (1850) და მარსელ დიონმა (1771) შეძლეს. ამ გოლმა ვანკუვერს გამარჯვება მოუტანა, ხოლო კიდევ ერთი სახელოვანი ვეტერანის, ლუკ რობიტაილის (1+0) ზედიზედ მე-15 შედეგიანი თამაში, რაც წლევანდელი რეკორდის გამეორება გახლდათ, მის ლოს ანჯელესს ვერაფერში დაეხმარა.

სენტ ლუისი კი მთელი რიგი საკლუბო რეკორდების დამხობის შემდეგ ნჰლ-ის მიღწევებზე გადავიდა. ატლანტასთან მოგება „ბლუზმენებისთვის“ მე-10 და თან ყველაზე იოლი გამოდგა, რაც ბუფალოს მიერ 1983-84 წლების სეზონში დამყარებული მიღწევის განმეორებაა. ცხადია, ყველაზე დიდი წვლილი სენტ ლუისის სლოვაკურმა, ბარტესკი (2+1)-დემიტრა (1+1)!ჰანდზუსის (1+2) ტრიომ შეიტანა.

**სამველ ლარიბიანი**

## თვის ახალბედა

### ბრაიან რაფალსკი (ნიუ ჯერსი)



სასპაუტო, ანუ ნიჭიერი ახალგაზრდების მოძიების და დრაფტზე დაყენების სისტემა დღევანდელ ლიგაში ისეთ სიმაღლეზე დგას, არც ერთ მეტ-ნაკლებად ღირსეული მოთამაშე შეუმჩნეველი არ დარჩება. თუ ჰოკეისტი კარიერის დასაწყისში ვერ მოხვდა ლიგაში, საეჭვოა, მან ეს 25-26 წლის ასაკში მოახერხოს. თუმც საოცარია, წლევანდელ სეზონამდე რატომ ვერ შენიშნეს 26 წლის ამერიკელი მცველი ბრაიან რაფალსკი, იგი ხომ სამი წლის განმავლობაში წარმატებით ასპარეზობდა ევროპის სხვადასხვა გუნდებში. აი, წლეულს მას ბედმა ლიგაში თამაშიც არგუნა, ბრაიანმაც დაიწყო და მერე როგორ, იგი არამარტო თავის პირად მოვალეობებს ასრულებს, შეტევასაც ეხმარება, რაზეც მისი 29 (4+25) ქულაც მეტყველებს. ამიტომაცაა, რომ იგი უკვე „ეშმაკთა“ წამყვან შემტევ მცველ სკოტ ნიდერმაიერს უწევს კონკურენციას და ამ ბოლო ხანებში მასზე დიდხანს ტოვებენ ყინულზე. რაფალსკიმ თებერვალი ისე ჩაატარა, ზოგ ფორვარდს შეშურდებოდა — მცველმა 13 თამაშში 3 გოლი და 10 პასი მიითვალა, თანაც თვე ნაყოფიერების „+12„ კოეფიციენტით დაასრულა. შედეგიანობით მას ერთმა ახალბედამაც ვერ აჯობა, მათ შორის თანაგუნდელმა სკოტ გომესმა და რეინჯერსის აღმოჩენა იან ჰლავაჩმა.

**საუკეთესო ექვსეული**

*ჟან სებასტიან ობენი* (პიტსბურგი, 1); *ბრაიან რაფალსკი* (ნიუ ჯერსი, 4) — *პოლ მარა* (ტამპა, 1); *იან ჰლავაჩი* (რეინჯერსი, 2) — *სკოტ გომესი* (ნიუ ჯერსი, 4) — *ბრენდან მოროუ* (დალასი, 1)



# გრძელი, ნელი, სწრაფი

ექვსი სამხედრო ორკესტრისთვის საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა 205 ქვეყნის ეროვნული ჰიმნის ჩაწერა. სწორედ ამდენი ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას სიდნეის ოლიმპიადაში. მიუხედავად იმისა, რომ სექტემბრამდე ანუ ოლიმპიადის დაწყებამდე ცოტა დროღა რჩება, სამუშაო ჯერ კიდევ თავსაყრელია. ავსტრალიელ შემსრულებელთა ჩანაწერები შემდეგ მონაწილე ქვეყნებს უნდა გაეგზავნოთ, რათა მათ ოფიციალურად განაცხადონ, მოსწონთ თუ არა.

ახლა მუსიკოსებისთვის უმთავრეს საზრუნავს ის წარმოადგენს, რომ მათ მონაწილე ქვეყნებიდან მიიღონ ფონოგრამები, რათა ესა თუ ის ჰიმნი სწორად შეასრულონ. ავსტრალიელთა მიერ შესრულებულ ჰიმნებს კომპაქტდისკებზე ჩაწერენ, რათა მერე გამარჯვებულ სპორტსმენთათვის მედლის გადაცემისასააჟღერონ. სამხედრო მუსიკოსები წუწუნებენ — ბრაზილიელთა ჰიმნი ძალიან გრძელია და უნდა შევამოკლოთო. იაპონელებს კი იმაზე აუხირდნენ, ძალიან ნელი ჰიმნი ჰქონიათო, კოსტარიკელებს — პირიქით, სწრაფია და ნოტების წაკითხვას ვერ ვასწრებთო.

ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორები ძალიან გააწბილა თურქმენეთმა, საიდანაც დღემდე არ მიუღიათ არც ჰიმნის ჩანაწერი და არც ნოტები.

მუსიკოსებმა დღესდღეობით 85 ჰიმნი ჩაიწერეს, დანარჩენი 120 კი აპრილისთვისაა დასასრულებელი. არადა, ეს სამუშაო ხომ 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადისთვის შესრულდა და მისი სიდნეიში გამოყენებაც შეიძლებოდა.

**გიგა გურასაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. 23-ე ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 003 | ჰერტა-უნტერჰახინგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 004 | მიუნხენ 1860-ჰანზა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 005 | კაიზერსლაუტ.-ლევერკუზენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 006 | შტუტგარტი-ბაიერნი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 007 | შალკე-დუისბურგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 008 | ულმი-ვერდერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 009 | აინტრახტი-დორტმუნდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-21 ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 014 | ნიურნბერგი-მაინცი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 015 | ზანქტ პაული-ბერლინი $17^{45}$ | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 016 | ჰანოვერი-ოფენბახი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 017 | ობერჰაუზენი-კიკერსი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

6 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 018 | კარლსრუე-ვალდჰოფი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 27-ე ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 019 | მანჩესტერი-ლივერპული $15^{30}$ | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 020 | დერბი-უიმბლდონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 021 | ევერტონი-უენსდი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 022 | ევერტონი-უენსდი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 023 | ნიუკასლი-ჩელსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 024 | საუთჰემპტონი-მიდლსბრო | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 025 | ტოტენჰემი-ბრედფორდი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 026 | ტოტენჰემი-ბრედფორდი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 027 | უოტფორდი-ვესტ ჰემი | 3,1 | 3,0 | 2,1 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 028 | ასტონ ვილა-არსენალი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 029 | ლიდსი-ქოვენთრი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 030 | ლიდსი-ქოვენთრი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 031 | ლესტერი-სანდერლენდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 34-ე ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 033 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი $17^{00}$ | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 034 | ბოლტონი-ჩარლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 035 | ქრიუ-ნორვიჩი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 036 | კრ.პალასი-მანჩესტერ სიტი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 037 | ფულემი-პორტ ვეილი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 038 | ფულემი-პორტ ვეილი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 039 | ჰადერსფილდი-ვულვერჰემპტონი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 040 | იფსვიჩი-პორტსმუთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 041 | იფსვიჩი-პორტსმუთი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 042 | ნოტინგემი-სუინდონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 043 | ტრანმერი-ბლექბერნი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 044 | უოლსოლი-გრიმსბი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 045 | შეფილდი-ქუინზ პარკი $17^{00}$ | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 34-ე ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 047 | ბლეკპული-ნოტსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 048 | ბრენტფორდი-კემბრიჯი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 049 | როვერსი-უიგანი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 050 | ბარნლი-პრესტონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 051 | ბერი-ოლდემი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 052 | ჯილინგემი-ოქსფორდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 053 | მილუოლი-ბრისტოლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 054 | რედინგი-ბორნმუთი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 055 | სკანთორპი-კოლჩესტერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 056 | სტოკი-ჩესტერფილდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 057 | სტოკი-ჩესტერფილდი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 058 | რექსემი-ლუტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 34-ე ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 060 | ბარნეტი-სუონსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 061 | ბრაიტონი-ჰალიფაქსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 062 | დარლინგტონი-როჩდეილი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 063 | ექსეტერი-ჩესტერი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 064 | ჰარტლპული-ნორთჰემპტონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 065 | ჰალი-ტორკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 1066 | ლეიტონი-მენსფილდი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 067 | ლინკოლნი-კარლაისლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 068 | პიტერბრო-იორკი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 069 | როტერჰემი-პლიმუთი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 070 | შრიუსბერი-ჩელტენემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### იტალია. სერია "ა". 24-ე ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 071 | ფიორენტინა-პიაჩენცა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 072 | ფიორენტინა-პიაჩენცა | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 073 | უდინეზე-კალიარი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 074 | იუვენტუსი-ბარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 075 | იუვენტუსი-ბარი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| 076 | ლეჩე-ლაციო | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 077 | პარმა-რეჯინა | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 078 | პარმა-რეჯინა | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 079 | რომა-ტორინო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 080 | რომა-ტორინო | | | |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 081 | ვენეცია-პერუჯა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 082 | ვერონა-ბოლონია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 083 | მილანი-ინტერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### იტალია. სერია "ბ". 25-ე ტური

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 085 | ალძანო-ჩეზენა | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 086 | კოზენცა-სავოია | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 087 | ემპოლი-ვიჩენცა | 3,0 | 2,4 | 2,5 |
| 088 | ჯენოა-კიევო | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 089 | ნაპოლი-სალერნიტანა | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 090 | რავენა-მონცა | 1,8 | 2,4 | 6,0 |
| 091 | ტრევიზო-ფერმანა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 092 | ტერნანა-სამპდორია | 3,2 | 2,4 | 2,4 |

6 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 093 | პისტოიეზე-ბრეშა | 3,0 | 2,5 | 2,4 |

### იტალია. სერია "ც1/ა". 25-ე ტური

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 094 | ალბინოლეფე-ლეკო $17^{30}$ | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 095 | ბრეშელო-პიზა $17^{30}$ | 2,6 | 2,3 | 3,1 |
| 096 | კარარეზე-რეჯანა $17^{30}$ | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 097 | ჩიტადელა-სიენა $17^{30}$ | 2,9 | 2,3 | 2,8 |
| 098 | კომო-ლუკეზე $17^{30}$ | 2,7 | 2,3 | 3,0 |
| 099 | ლივორნო-ვარეზე $17^{30}$ | 2,5 | 2,3 | 3,2 |
| 100 | ლუმეცანე-სპალ $17^{30}$ | 2,6 | 2,4 | 2,9 |
| 101 | მოდენა-კრემონეზე $17^{30}$ | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 102 | მონტევარკი-სანდონა $17^{30}$ | 1,9 | 2,5 | 4,4 |

### იტალია. სერია "ც1/ბ". 25-ე ტური

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 103 | ანკონა-გუალდო $17^{30}$ | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 104 | ასკოლი-ვიტერბეზე $17^{30}$ | 2,0 | 2,3 | 4,7 |
| 105 | ბენევენტო-სტაბია $17^{30}$ | 2,4 | 2,3 | 3,4 |
| 106 | კატანია-აველინო $17^{30}$ | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 107 | ჯულიანოვა-ფ.ანდრია $17^{30}$ | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 108 | ლოდიჯანი-დი სანგრო $17^{30}$ | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 109 | ნოჩერინა-ატლეტიკო $17^{30}$ | 1,6 | 2,6 | 7,5 |
| 110 | პალერმო-მარსალა $17^{30}$ | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 111 | პალერმო-მარსალა | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

6 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 112 | კროტონე-არეცო | 1,7 | 2,6 | 6,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ესპანეთი. I დივიზიონი. 27-ე ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 113 | ოვიედო-რეალი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 114 | ბარსელონა-ნუმანსია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 115 | ბარსელონა-ნუმანსია | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 116 | ვალენსია-ბილბაო | 1,8 | 2,8 | 4,4 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 117 | რაიო ვალეკანო-ალავესი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 118 | მალიორკა-სარაგოსა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 119 | სელტა-რასინგი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 120 | სოსიედადი-ესპანიოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 121 | სევილია-ვალიადოლიდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 122 | მალაგა-დეპორტივო | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 123 | ატლეტიკო-ბეტისი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 29-ე ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 124 | ელჩე-ლევანტე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 125 | ეიბარი-ტენერიფე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 126 | ბადახოსი-უელვა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 127 | ხეტაფე-სპორტინგი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 128 | ლას პალმასი-ოსასუნა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 129 | ესტრემადურა-ვილიარეალი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 130 | ალბასეტე-ტოლედო | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 131 | სალამანკა-მერიდა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 132 | ლეიდა-ატლეტიკო "ბ" | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 133 | ლოგრონიესი-ლეგანესი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 134 | კორდობა-კომპოსტელა | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### პორტუგალია. 24-ე ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 136 | ბენფიკა-ჟილ ვისენტე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 137 | ბენფიკა-ჟილ ვისენტე | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 138 | სალგეირუში-ამადორა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 139 | გიმარაეში-ბრაგა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 140 | სეტუბალი-რიუ ავე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 141 | სპორტინგი-ალვერკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 142 | სპორტინგი-ალვერკა | | | |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 143 | ლეირია-პორტუ | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 144 | სანტა კლარა-ფარენსე | 2,2 | 2,8 | 3,1 |

6 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 145 | ბელენენსეში-კამპომაიორენსე | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ჰოლანდია. 24-ე ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 148 | კამბური-მაასტრიხტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 149 | გრააფსხაპ-დენ ბოსხი $17^{30}$ | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 150 | ნაიმეგენი-უტრეხტი $17^{30}$ | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 151 | სპარტა-ვალვაიკი $17^{30}$ | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 152 | ტვენტე-აიაქსი $17^{30}$ | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 153 | ჰერენვენი-ფეიენოორდი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ბელგია. 25-ე ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 154 | ლომელი-გენტი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 155 | ლიერსი-გენკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 156 | ბევერენი-სტანდარდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 157 | მუსკრონი-შარლერუა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 158 | გეელი-აალსტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 159 | ლოკერენი-ჰარელბეკე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 160 | სენტ ტრუიდენი-მეხელენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 161 | ბრიუგე-ვესტერლო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 162 | ბრიუგე-ვესტერლო | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 163 | ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

საბერძნეთი. მე-22 ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 176 | ტრიკალა-ოლიმპიაკოსი | 7,0 | 3,5 | 1,4 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 164 | პანაჰაიკი-კალამატა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 165 | პანათინაიკოსი-ეთნიკოსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 166 | პანათინაიკოსი-ეთნიკოსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 167 | ქსანთი-პროდეფტიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 168 | ქსანთი-პროდეფტიკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 169 | პაოკ ირაკლისი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 170 | ოფი-პანიონიოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 171 | ოფი-პანიონიოსი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 172 | აეკ პანილიაკოსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 173 | აეკ პანილიაკოსი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 174 | არისი-აპოლონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 175 | არისი-აპოლონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

6 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 177 | იონიკოსი-კავალა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

ჩეხეთი. მე-19 ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 180 | სპარტა-ტეპლიცე 17[30] | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 181 | სპარტა-ტეპლიცე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 182 | ბანიკი-დრნოვიცე | 2,4 | 2,8 | 2,7 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 183 | ბლშანი-დუკლა 17[30] | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 184 | ბრნო-ოპავა 17[30] | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 185 | ჰ.კრალოვე-სიგმა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 186 | ბუდეიოვიცე-იაბლონეცი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

პოლონეთი. მე-16 ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 187 | ლეხი-ზაგლებიე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 188 | გურნიკი-ამიცა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 189 | ლკს ლეგია 15[00] | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 190 | ვისლა-ოდრა 17[30] | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 191 | ვისლა-ოდრა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 192 | რუხი-პლოცკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 193 | რუხი-პლოცკი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 196 | სტომილი-რაძიონკოვი 17[00] | 1,7 | 3,0 | 4,7 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 194 | პოლონია-ვიძევი 17[00] | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 195 | პოლონია-ვიძევი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 197 | პოგონი-გროცლინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 198 | პოგონი-გროცლინი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

თურქეთი. მე-23 ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 201 | ერზურუმი-გაზიანთეფი 14[00] | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 202 | გენჩლერბირლიგი-ისთანბული 14[00] | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 203 | ქოჯაელი-დენიზლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 204 | ფენერბაჰჩე-ტრაბზონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 205 | სამსუნი-ვანი 15[30] | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 206 | სამსუნი-ვანი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 207 | გიოზთეფე-ანკარაგიუჯიუ 15[30] | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 208 | ბურსა-ადანა 15[30] | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 209 | ანთალია-გალათასარაი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

შოტლანდია. 25-ე ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 210 | დანდი იუნაიტედი-ჰართსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 211 | კილმარნოკი-დანდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 212 | მოზერუელი-აბერდინი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 213 | რეინჯერსი-სენტ ჯონსტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 214 | რეინჯერსი-სენტ ჯონსტონი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 215 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

ავსტრია. 23-ე ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 217 | გრაცერი-ზალცბურგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 218 | ლინცერი-ბრეგენცი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 219 | ლუსტენაუ-რიდი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 220 | ტიროლი-შტურმი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

საფრანგეთი. თასის 1/8 ფინალი

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 222 | კალასი (IV)-კანი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 223 | ნანტი-გენიონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 224 | ბორდო-მეცი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 225 | ნიმი-ამიენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 226 | რედ სტარი-ლიონი | 4,4 | 3,1 | 1,7 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 227 | პონტივი (IV)-მონაკო | 7.5 | 4.0 | 1.3 |
| 228 | სტრასბური-პსჟ | 2,6 | 2,9 | 2,4 |

შვეიცარია. თასის 1/8 ფინალი

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 230 | სიონი-სენტ გალენი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 231 | ქსამაქსი-ლუგანო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 232 | ბაზელი-გრასჰოპერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 229 | არაუ-სერვეტი 17[30] | 2,8 | 2,9 | 2,3 |

კალათბურთი. NBA

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 807 | ვაშინგტონი-დეტროიტი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 808 | ატლანტა-სიეტლი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 809 | ჩიკაგო-ფილადელფია | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 810 | მილუოკი-მინესოტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 811 | ჰიუსტონი-ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 812 | სან ანტონიო-საკრამენტო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 813 | ფინიქსი-დალასი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 814 | კლიპერსი-კლივლენდი | 1,8 | 12,0 | 1,6 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 815 | ბოსტონი-ორლანდო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 816 | ნიუ იორკი-იუტა | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 817 | მინესოტა-სიეტლი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 818 | დენვერი-კლივლენდი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 819 | ლეიკერსი-მაიამი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 820 | გოლდენ სტეიტი-ინდიანა | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 821 | ვანკუვერი-ტორონტო | 2,3 | 12,0 | 1,4 |

6 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 822 | ვაშინგტონი-ორლანდო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 823 | მილუოკი-ატლანტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 824 | სან ანტონიო-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 825 | ფინიქსი-მაიამი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 826 | კლიპერსი-ლეიკერსი | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| 827 | საკრამენტო-დალასი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 828 | პორტლენდი-ტორონტო | 1,15 | 12,0 | 4,0 |

ჰოკეი

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 835 | აილენდერსი-ბუფალო | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 836 | ბოსტონი-ფილადელფია | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 837 | ტორონტო-მონრეალი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 838 | ოტავა-ატლანტა | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 839 | ფლორიდა-სენტ ლუისი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 840 | ედმონტონი-პიტსბურგი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 841 | კოლორადო-ტამპა ბეი | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 842 | ვანკუვერი-ნიუ ჯერსი | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 843 | ლოს ანჯელესი-ნეშვილი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 844 | სან ხოსე-კაროლინა | 1,6 | 4,0 | 2,7 |

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 845 | ვაშინგტონი-ბუფალო | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 846 | ჩიკაგო-ფინიქსი | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 847 | ფილადელფია-აილენდერსი | 1,25 | 4,0 | 4,4 |
| 848 | დალასი-დეტროიტი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 849 | ანაჰაიმი-ნეშვილი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 850 | კალგარი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |

6 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 851 | ბოსტონი-ოტავა | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 852 | მონრეალი-ატლანტა | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 853 | ვანკუვერი-ტორონტო | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 854 | სან ხოსე-რეინჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,2 |

რაგბი. ექვსი ერის პირველობა. მე-3 ტური

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 855 | შოტლანდია-საფრანგეთი | 3,2 | 8,0 | 1,25 |
| 856 | ინგლისი-უელსი | 1,1 | 8,0 | 6,0 |
| 857 | ირლანდია-იტალია | 1,1 | 8,0 | 6,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს [illegible] მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი (სპორტის სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

საქართველოს ჩემპიონატი

# 20 ტური

## ანონსი

4 მარტი. ვერის ბაღი. 13.00
**სდასუ — სსუ**

4 მარტი. ვერის ბაღი. 14.45
**სტუ — ბასკო**

4 მარტი. ვერის ბაღი. 16.30
**ვითა — მაკაბი**

5 მარტი. ვერის ბაღი. 13.00
**თსუ — ასკ**

5 მარტი. ვერის ბაღი. 14.45
**გორი — აზოტი**

5 მარტი. ვერის ბაღი. 16.30
**დინამო — შევარდენი**

გამოგაზაფხულდა და კიდევ უფრო გამძაფრდა ბრძოლა თსუ-სა და „მაკაბის" შორის. ექვსეულში შესაღწევად ამ გუნდების ქიშპობამ შინაურ ასპარეზზე თითქმის ყველა მიმდინარე მოვლენები დაჩრდილა და უკან გადააxოხა. სადღეისოდ ისე ჩანს, რომ ვერც მორიგი, ამ უქმეებზე გასამართი მეოცე ტური გაგვცემს პასუხს კითხვაზე, რომელიც მოსვენებას უკარგავს ქართული კალათბურთის ქომაგს. ვინ იძალებს? თსუ თუ „მაკაბი" — ესღაა გასარკვევი.

არის კიდევ ერთი ინტრიგა. თავისი მნიშვნელობით ზემოთქმულს ნამდვილად ვერ გაუტოლდება, მაგრამ მაინც. საცაა რეგულარული ჩემპიონატი ჩაილევა და უმაღლესი ლიგის დებიუტანტი, ბათუმის „ბასკო" კვლავაც დაუმარცხებელია.

ამ ჯერზე ნუგზარ ჭეიშვილის სტუ ეცდება ერთპიროვნელი ლიდერის დამარცხებას. ტექნიკოსთა გუნდს საუკეთესო ხანა ნამდვილად არ უდგას, მაგრამ ფაქტია, რომ ასეც ანგარიშგასაწევ ძალად რჩება. პირველი წრის შეხვედრაში ბათუმში უიმედოდ დამარცხდა (89:108) სტუ და სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ რევანში სწყურია. ისიც სათვალავში ჩასაგდებია, რომ მესამედან მეოთხე საფეხურზე დაქვეითებული სტუდენტობა დაკარგული პოზიციის დაბრუნებას და პირველ სამეულში დამკვიდრებას ლამობს. ეს კი სტუ-ს მხოლოდ იმიტომ სწადია, რომ საპლეიოფო ციებ-ცხელება როცა დაიწყება, მრისხანე „ბასკოს" მეტოქეობა აიცილოს თავიდან.

თავის მხრივ „ბასკოსაც" მოგებაზე უჭირავს თვალი, რაც ბუნებრივია. ბათუმურმა კლუბმა წაუგებელის იმიჯი შეიქმნა და ძალიან ძნელად თუ შეელევა ამ პატივს. რეალურად რომ შევხედოთ, „ბასკო" ძლიერიცაა მეტოქეზე და ფავორიტადაც სწორედ ეს გუნდი უნდა შევრაცხოთ, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად თამაშობს და თანაც არავისზე ნაკლებ სტუ-სთან.

ამ სტუდენტურ კლუბზე ისეთი აზრი ჩამოყალიბდა, რომ ბოლომდე ვერ გაიხსნა, სრულად ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს. ამაში სტუ-ს უკანასკნელმა თამაშმაც დაარწმუნა გულშემატკივარი. „მაკაბისთან" ერთი ქულით მოგება აქტივში ნამდვილად არ ჩაეწერება ჭეიშვილის გუნდს, რადგან, მრავალთა აზრით სტუ გაცილებით დიდი გაქანებისაა.

ასე ალბათ იმიტომ ფიქრობენ, რომ სოლიდურად დაკომპლექტებული სტუ-ს მწვრთნელებს არჩევანიც დიდი აქვთ. ეს თვად ჭეიშვილმაც კარგად იცის და მატჩის მსვლელობისას ხშირად მიმართავს ცვლილებებს. ერთი თუ არ გაუმართლებს, მეორეთი გამოცვლის. ერთი სიტყვით, მუდმივ ძიებაშია და შედეგად ოპტიმალურ ხუთეულსაც მიაგნებს-ხოლმე.

ტექნიკოსთა თამაშს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გამთამაშებელ დავით თორთლაძის გუნება-განწყობილება. იგი თავისი გუნდის ნამდვილი ლიდერია და პარტნიორებს შეხვედრის შინაარსს კარნახობს. უკანა ხაზში მწვრთნელი მას ხან მიქაძეს უწყვილებს, ხან ტულუშს და ხანაც მოისწრაფიშვილს, რომელთაც თორთლაძის დახმარების გარდა მეტოქის სახიფათო მსროლელის განეიტრალება ევალებათ. უკანახაზელები „ბასკოსაც" კარგი ჰყავს. ბურთს უმეტესად მამუკა აბრამიძე ათამაშებს, რაც მას კარგად ეხერხება. ნელ-ნელა ჩვეულ ფორმას იბრუნებს ირაკლი მაისურაძეც, რომელსაც მძიმე ტრავმის გამო კარგა ხანი გაუცდა. ალეკო დავითულიანი ხისტი დაცვითი თამაშით გამოირჩევა. გარდა ამისა სწრაფად ერთვება პირველ შეტევაში, რაც მისი გუნდისთვის უმეტესად შედეგიანად მთავრდება მისი გუნდისთვის.

ზღვისპირელთა გუნდიდან რომელიმეს სხვათაგან გამოირჩევა შეუძლებელია. ნებისმიერ კალათბურთელს ძალუძს ლიდერობა ითავოს და მატჩის ბედიც გადაწყვიტოს. ფარზე წესით „ბასკოს" პრობლემა არ უნდა შეექმნას. ქარაბაკი, კილაძე, ბეჟანიშვილი — ეს სამეული ძირითადად წინახაზში ირჯება და გუნდის ფარზე გაბატონებასაც განაპირობებს.

ამ კალათბურთელებს დღეს ღირსეული მეტოქეები ეყოლებათ კორძაძის, ოთიურიძის, ორმოცაძისა და ჩუბინიძის სახით. „ბასკოს" მაღლების გაუვნებლებას სწორედ ამ ხალხს დააკისრებს ნუგზარ ჭეიშვილი. შესაძლებელია, მწვრთნელმა დაცვაში ზონურად განალაგოს შეგირდები, რადგან მოწინაალმდეგის შეტევათა ჩაშლის კოლექტიურმა მეთოდმა წინა ტურში „მაკაბისთან" აშკარად გაუმართლა ჭეიშვილს.

დაცვაში თამაში „ბასკომაც" მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. ამას წინათ რუსთავის „აზოტს" ტომარაძემ ისეთი დაცვა შეაგება, რომ ნებისმიერი ინატრებდა. ახლა იმაზე უნდა იმუშაონ, რომ ყოველივეს სისტემატური ხასიათი მისცენ, რაც ძირითადად კალათბურთელთა ფიზიკურ მომზადებაზე და გამძლეობაზეა დამოკიდებული.

„ბასკოს" უდავოდ კარგი თვისება ის გახლავთ, რომ გუნდი ნებისმიერ მეტოქესთან თამაშისას მობილიზებულია. მიუხედავად იმისა, რომ ზღვისპირელები შეხვედრათა დიდ ნაწილს ერთი ამოსუნთქვით იგებენ, თავს მაინც არ აძლევენ მოდუნების უფლებას. სტუ უფრო ხასიათის გუნდად გვევლინება, თუმცა, ორი აზრი არ არსებობს, რომ დღევანდელ თამაშს სრულ მზადყოფნაში შეხვდებიან კალათბურთელები.

ტურის სხვა მატჩებიდან „ვითა" — „მაკაბია" ყურადღებამისაქცევი. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ კლუბებს წარმატების თანაბარი შანსები აქვთ. კახა შენგელიათი გაძლიერებული „მაკაბის" გამარჯვება ნამდვილად აღარ აღიქმება სენსაციად. არადა, პირველ წრეში „მაკაბიმ" რომ მოუგო ჩემპიონს, ბევრმა ეს მოულოდნელობად ჩათვალა.

„მაკაბის" დღევანდელ შეხვედრაში გამარჯვება სჭირდება. რომ წააგოს, მომავალ კვირას კი თსუ-მ სასწაული მოახდინოს და რუსთავში „აზოტი" დაამარცხოს, მერე ველარაფერი უშველის.

წესით საინტერესო უნდა გამოდგეს უკანახაზელთა დუელი. ტყუპი ბერიშვილები მამუკა ტურაშვილისა და დავით უსტიაშვილის წინაალმდეგ — ეს მართლაც თვალსასეირო სანახავი იქნება. ძმებმა ბერიშვილებმა უკვე არაერთხელ დაამტკიცეს, რომ ნებისმიერ მეტოქესთან ტოლი-სწორად შებმა ძალუძთ და ვფიქრობთ, ახლაც ჩვეული შემართებით შეეჭიდებიან გაცილებით უფრო ნაცად ტურაშვილ-უსტიაშვილის ტანდემს.

შაბათსვე სდასუ-სსუ-ს შეხვედრა იმითაა საინტერესო, თუ რომელი მათგანი უფრო მეტ ქულას დააგროვებს, სდასუელი ირაკლი ხომშტარია თუ სოხუმელი ბუბა ბერიშვილი. მეტიც არაფერია საკითხავი. ლევან მოსეშვილის სდასუ რომ მეტოქეზე გაცილებით ძლიერია და მოიგებს კიდეც, ვფიქრობთ, ეს ეჭვს არ იწვევს.

ვიცე-ჩემპიონ რუსთავის „აზოტს" იოლი მატჩი ელის „გორთან". სულ რომ სამარქაფოებით ითამაშოს, მოგება არ უნდა გაუჭირდეს.

თსუ-ს წაგებაც არ იქნება ასკ-სთან. სტუდენტებს ქულები ისე სჭირდებათ, როგორც არასდროს და თანაც მეტოქის ახალგაზრდა კალათბურთელებზე აშკარად ძლიერები არიან.

„დინამო" და „შევარდენი" წლეულს მერვე ადგილისთვის თულა იბრძოლებენ. მათი ურთიერთშეხვედრა, ვფიქრობთ, დაძაბული იქნება. ეგაა, მეტისმეტად უმოტივაციოდ დარჩნენ ეს გუნდები მეცხრე ეროვნულში.

**გიორგი ბიქაშვილი**

რეგულარული ჩემპიონატი

# ჯიუტ აივერსონს კუკოჩი მოსწონს

2 მარტი

**მაიამი 101:83 სიეტლი**

მაიამი: ჰარდევეი (18 ქულა, 8 პასი), მარლი (7), მაშბურნი (29), ვეზერსპუნი (13 ქულა, 12 მოხსნა), ბრაუნი (14); სტრიკლენდი (13), ბოუენი (4), კოზველი (3), კარტერი

სიეტლი: პეიტონი (20), ბერი (8), პატერსონი (24), ბეიკერი (23), გრანტი (2); ლუისი (6), ვილიამსი, ფოსტერი, პერსონი, დევისი

ამ ბოლო ხანებში დამკვიდრებული ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა, „სიეტლმა" მორიგი უსტეფანიო მატჩი ჩაატარა და კვლავ დამარცხდა. მან საკმაოდ დიდი ანგარიშით დათმო ეს შეხვედრა და იყო იმედი, რომ ჩვენებური რამდენიმე წუთს მაინც ითამაშებდა, მაგრამ... ბოლო მეოთხედის დაწყებისას ანგარიში 74:66 იყო „მაიამის" სასარგებლოდ და სტუმრებს კიდევ ჰქონდათ იმედი. ამიტომაც ბოლო თორმეტწუთეული საბრძოლო შემადგენლობით ჩაატარეს. მაინც არაფერი გამოუვიდათ „ზებგერითებს", სხვაობა შემცირების ნაცვლად ათი ქულით გაიზარდა. ასე რომ, სტუმართა ქართველი ცენტრი მაინც ვერ წამოდგა სათადარიგოთა სკამიდან, იქიდან ადევნებდა თვალს, თუ როგორ აბურთავებდა „მაიამი" მის გუნდს.

არადა, „სუპერსონიქსი" გამარჯვებას გეგმავდა, მით უმეტეს, რომ „მაიამის" ლიდერი ალონზო მურნინგი არ ჰყავდა. მან ერთი კვირის წინ ოდნავ დაიზიანა მარცხენა ქუსლი და ზედიზედ მესამე თამაში გამოტოვა. რა ძალას წარმოადგენს მურნინგი, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. მისი არყოფნა საკმარისია, რომ „მაიამი" ერთ-ერთ რიგით გუნდად ჩათვალო და არა აღმოსავლეთის გრანდად. თუმც მისი დაცვითი ზღუდეების გასარღვევად ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. ერთ დროს „სიეტლიც" დაცვითი სტილის მიმდევარი გახლდათ, მაგრამ ამ თამაშში ამგვარი არაფერი ეტყობოდა. „თუ დაცვა არ გვეყოლება, ვერავისაც ვერ მოვუგებთ — ამბობდა სტუმართა ლიდერი გერი პეიტონი მატჩის შემდეგ. დღეს ჩვენს რიგებში უზარმაზარი ნაპრალები შეიმჩნეოდა. ასე არაფერი გამოვა. თუ ამ პრობლემას დროზე არ მივხედეთ, კიდევ უამრავ თამაშს წავაგებთ". თავად პეიტონი სანაქებო მცველად ითვლება, 1995-96 წლების სეზონში საუკეთესო დამცველადაც აღიარეს. თუმც ახლა იგი შეტევას მეტ ყურადღებას უთმობს და მისი უძლიერესი დამცველის რეპუტაციაც ოდნავ გაფერმკთალდა.

და მაინც, „სიეტლს" სჯეროდა, გაიმარჯვებდა, რადგან „მაიამის" მის წინაალმდეგ თამაში ყოველთვის უჭირდა. უჭირდა კი არა, ბოლო ექვსი წელია, არ მოეგო არც შინ და არც გარეთ. თუმც ამ ფაქტორმა „ჰითზე" უფრო დადებითად იმოქმედა, ვიდრე მის სტუმარ მეტოქეზე. მასპინძლები თავიდანვე გაალმასებულნი ეკვეთნენ სტეფანიას გუნდს და უკვე პირველ მეოთხედში გაგზავნეს ნოკდაუნში, როცა ეს თორმეტწუთეულის 31:13 მოიგეს. ამის შემდეგ „სონიქსი" მთელი თამაშის განმავლობაში ცდილობდა მატჩის ბედის შემოტრიალებას, მესამე მეოთხედში ექვს ქულამდე დაუახლოვდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო და ბედს შეურიგდა.

**ვაშინგტონი 84:87 ფილადელფია**

ვაშინგტონი: რიჩმონდი (18)

ფილადელფია: კუკოჩი (19 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)

**ნიუ იორკი 109:94 მილუოკი**

ნიუ იორკი: სპრიუელი (32), ჰიუსტონი (24)

მილუოკი: ტომასი (26), ალენი (25)

**ჩიკაგო 110:114 კლივლენდი**

(ძირითადი დრო 103:103)

ჩიკაგო: ბრენდი (30 ქულა, 11 მოხსნა)

კლივლენდი: კემპი (25 ქულა, 10 მოხსნა, 7 ჩაჭრა), მილერი (24 ქულა, 11 პასი), პერსონი (23)

**ჰიუსტონი 102:99 საკრამენტო**

ჰიუსტონი: მობლი (22), ანდერსონი (19)

საკრამენტო: ვებერი (29 ქულა, 11 მოხსნა), ბერი (19)

**სან ანტონიო 102:103 ნიუ ჯერსი**

სან ანტონიო: რობინსონი (25), ჯექსონი (18), დანიელსი (18)

მინესოტა: გარნეტი (29 ქულა, 13 მოხსნა), სილი (20)

**ფინიქსი 118:87 ინდიანა**

ფინიქსი: რობინსონი (22), გულიოტა (19)

ინდიანა: ბესტი (20), როუზი (19)

**ორლანდო 104:96 შარლოტი**

ორლანდო: მერსერი (19)

შარლოტი: კემპბელი (22)

**დალასი 102:103 ნიუ ჯერსი**

დალასი: სტრიკლენდი (31), ფინლი (21 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), ნოვიცკი (21)

ნიუ ჯერსი: მარბერი (25 ქულა, 11 პასი), ვან ჰორნი (23 ქულა, 11 მოხსნა), ნიუმენი (23)



ჰიუსტონი — საკრამენტო. ჰიუსტონელი შენდონ ანდერსონი (თეთრ ფორმაში) და ტონი დელკი ბურთისთვის იბრძვიან

ღელავენ ფილადელფიაში კალათბურთის ერთგული ქომაგები, გულისფანცქალით ელიან ყოველ მომდევნო მატჩს. ეს გასაგებიცაა — „ფილადელფია 76"-ის ლიდერს, ალენ აივერსონს მხრის ტრავმა აწუხებს, მას სეზონის გამოტოვების საფრთხე ემუქრება, აგერ „ვაშინგტონსაც" სულ ხუთი ქულა ჩაუგდო. თავად კალათბურთელს კი ნაკლებად ანაღვლებს ის, რომ ტრავმის გართულებამ შეიძლება სეზონიც გამოატოვებინოს და მის საუცხოო კარიერას დიდი დაღი დაასვას. ამას არად აგდებს ფილადელფიელი და კვლავ თამაშობს, მთელ სულსა და გულს აქსოვს თამაშში და გუნდის წარმატებისთვის თავს არ ზოგავს. ალენს რამდენიმე მატჩის გამოტოვებას და კარგად დასვენებას ურჩევენ, იგი კი ჯიუტობს. ნატკენმა მხარმა კი უკვე გააკეთა თავისი. აივერსონს ხეირიანად არც დაუსვენია, 43 წუთი დაჰყო მოედანზე და თავის მხრივ ცდა არ დაუკლია, მაგრამ 18 სროლიდან მხოლოდ ორი ჩააგდო, სამივე სამქულიანი ააცილა და სამი საჯარიმოდან ერთი შეასრულა ზუსტად. „როდესაც თავიდანვე ავაცილე იოლი სროლები, მივხვდი, ცუდად წამივიდოდა მთელი თამაში და ცოტა ქულას დავაგროვებდი. ქულებს არ ვდარდობ, არ მინდოდა, ვაშინგტონში წაგვეგო, მაგრამ თავს ოკეანეში ალაღბედზე მოცურავე კაცად ვგრძნობდი, ამაოდ რომ ეძებს კლდეს. რაც მთავარია, მოვიგეთ, ტონიმ (კუკოჩმა) იყოჩაღა". „ფილადელფიას" სწორედ ტონი კუკოჩმა უშველა და უხეირო ვაშინგტონთან წაგებით გამოწვეული სირცხვილისგან იხსნა. კუკოჩმა საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მას შემდეგ, რაც „ჩიკაგოდან" „ფილადელფიაში" გადაბარგდა. ხორვატმა ეგებ იმიტომაც გამოიდო თავი, რომ ერთ დროს თავისი დიდი თანაგუნდელის, მაიკლ ჯორდანის კლუბის წინაალმდეგ თამაშობდა. კუკოჩი განსაკუთრებით ბოლო მეოთხედში გამოირჩა, როცა მისი გუნდი ექვსი ქულის სხვაობით აგებდა. მან თავადაც ჩააგდო რამდენიმე მნიშვნელოვანი ბურთი და თანაგუნდელებიც ახეირა. მატჩის შემდეგ იგი ერთობ აქო აივერსონმა, კარგი ბიჭია ტონი, რაც მთავარია, იცის კალათბურთი, უმისოდ ამ თამაშს ვერ მოვიგებდით და საერთოდ, მიხარია, რომ ჩვენთან არისო.

ალენ აივერსონისგან განსხვავებით, რეი ალენმა შედეგიანად ითამაშა, მაგრამ მისი „მილუოკი" წლეულს მეოთხეჯერაც დამარცხდა ვიცე-ჩემპიონ „ნიუ იორკთან". ოლიმპიური ნაკრების წევრმა რეი ალენმა პირველ მეოთხედში სასწაულები მოახდინა, 17 ქულა მოაგროვა და თავისიანები საწყის პერიოდში 29:21 დააწინაურა, მაგრამ მასზე არანაკლებ ნიჭიერმა სპრიუელმა, რომელსაც „დრიმ თიმში" მშფოთვარე ხასიათის გამო არ იწვევენ, მესამე მეოთხედში 18 ქულა ჩააგდო და ნიუიორკელებს ეს თორმეტწუთეული 36:17 მოაგებინა. სხვათა შორის, „მილუოკი" ამ მეტოქესთან თავიდან ოთხივე შეხვედრაში წინ იყო, მაგრამ მას გამარჯვება ვერც ერთხელ დასტყუა.

ვოვა სტეფანიას „სიეტლისგან" განსხვავებით, „მინესოტა ტიმბერვულვზმა" წარმატებით ისარგებლა მეტოქე გუნდის ლიდერის არყოფნით და მძიმე ბრძოლაში სტუმრად გამარჯვებას მიაღწია. „სან ანტონიოს" უკვე მეოთხე მატჩია, აკლია ტიმ დანკანი, რომელსაც მუცლის კუნთი დაეჭიმა. უმისოდ ჩემპიონებმა უკვე იგემეს ორი მარცხი. „ტიმ დანკანის გარეშე ისინი ადვილი დასამარცხებლები არიან, რადგან მისი დარი არავინ ჰყავთ. მართალია, ტიმი და დევიდ რობინსონი ერთად ძალიან დიდი ძალაა, არც დევიდია ცუდი მოთამაშე, მაგრამ ტიმის როლი უმთავრესია ჩემპიონ გუნდში" — ამბობს კევინ გარნეტი, ჯერაც ახალგაზრდა და უკვე „მინესოტას" ლიდერი, აგრეთვე ნბა-ს ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე. მიუხედავად ამისა, იგი მეტი პატივისცემით უნდა მოჰკიდებოდა ვეტერან რობინსონს, თუნდაც იმიტომ, რომ „ადმირალი" წლების განმავლობაში სამართლიანად ითვლებოდა მსოფლიოს უძლიერეს ცენტრად, ესეც რომ არა, იგი ღირსეული პიროვნებაა.

„ინდიანა" ის გუნდია, რომელმაც თავის დროზე დაუმარცხებელ „ლეიკერსს" 16-მატჩიანი მოგებების სერია შეაწყვეტინა, მაგრამ ჩავარდნა ვის არ ჰქონია. „ინდიანამ" ფინიქსში მიმდინარე სეზონში ყველაზე დიდი სხვაობით წააგო.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროლიგა. მერვედფინალი (ორ მოგებამდე)
საპასუხო მატჩები. 2–3 მარტი

**ბარსელონა 1**
**ულქერი 1**

ულქერი 63:60 ბარსელონა

ულქერი: ალენი (13), ერდენაი (12), გონლუმი, კოტუროვიჩი (6), ოზთურქი, პოუპი (6), სარიჯა (16), ილდირიმი (10)
ბარსელონა: ალსტონი (14), დე ლა ფუენტე (7), დიგბო, ელსონი (6), გასოლი (9), გოლდვაიერი (2), გუროვიჩი, ნავარო (8), რენციასი (7), როდრიგესი (7)

**ოლიმპია 1**
**ოლიმპიაკოსი 1**

ოლიმპიაკოსი 68:52 ოლიმპია

ოლიმპიაკოსი: ადე მასა, დე მიგელი (3), ტ. ედვარდსი (8), გრანტი (6), პაპანიკოლაუ (5), რობინსონი (18), სულისი (2), ტარლაჩი (8), ტომიჩი (13), დუშან ვუკჩევიჩი (5)
ოლიმპია: ბრეჟეცი (2), დუშჩაკი (6), გოლემაცი (4), იასიკევიჩუსი (10), კოტნიკი (7), მილაჩიჩი (1), მილიჩი (9), მოდრიჩი (2), პარავინია (3), ზდოვცი (8)

**ცსკა 1**
**ციბონა 1**

ციბონა 55:75 ცსკა

ციბონა: ალიპოჯიჩი, ბეიკერი, გირიჩეკი (18), კრსტიჩი (2), მარცელიჩი, ნიჩევიჩი (8), პრკაჩინი (12), სესარი (13), ი. ვრანკოვიჩი (2)
ცსკა: ალანოვიჩი (5), დაინეკო (23), ეინიკისი (12), კარასიოვი (8), კირილენკო (18), კუდელინი (2), პანოვი, სკელინი (1), ტიხონენკო, ვეტრა (6)

***ვილერბანი* 2**
**რეალი 0**

რეალი 73:85 ვილერბანი

რეალი: ა. ანგულო (6), ლ. ანგულო (3), ჯორჯევიჩი (16), გალილეა, ერეროსი (23), მიხაილოვი (3), ბ. სკოტი (13), სტრიულენსი (9)
ვილერბანი: ბილბა (9), ბლომი (3), ლარანიაგა (22), ლოვერნი, მაქსი (8), პერსევო (1), პლუვი (5), სილსი (27), სონკო (10)

***ფორტიტუდო* 2**
**ბენეტონი 0**

ბენეტონი 61:77 ფორტიტუდო

ბენეტონი: დი სპალატრო (3), ედნი (21), მარკონატო (13), ნიკოლა (5), პიტისი (10), სანტოსი, შეპარდი (9), ტრაინა
ფორტიტუდო: ბაზილე (5), ფუჩკა (10), გალანდა (14), კარნიშოვასი (17), იარიჩი (4), მაიერსი (19), პილუტი (2), ს. ვრანკოვიჩი (6)

**პანათინაიკოსი 1**
**ბუდუჩნოსტი 1**

ბუდუჩნოსტი 77:64 პანათინაიკოსი

ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი (8), ბულატოვიჩი (2), კუზმანოვიჩი (8), პაიოვიჩი, რადონიჩი (10), შჩეპანოვიჩი (15), შეკულიცი, ტომაშევიჩი (28), ტოპიჩი (6)
პანათინაიკოსი: ბოდიროგა (9), ბუდურისი (2), ბერკი (8), ფოცისი (10), კალაიძისი (6), კატაში (12), კოხი (4), რებრაჩა (5), როჯერსი (8)

***ეფესი* 2**
**ალბა 0**

ალბა 73:93 ეფესი

ალბა: ალექსისი (17), ბაეკი (2), ბოგოევიჩი (3), დეპია (11), ფემერლინგი (10), ჰამინკი (4), ოკულაია (24), პაპიჩი, როდლი (2)
ეფესი: ბეშოქი (8), დრობნიაკი (27), ქუთლუაი (25), მულაომეროვიჩი (19), ონანი (3), თურქოღლუ (11)

**მაკაბი 1**
**პაოკ 1**

პაოკ 67:55 მაკაბი

პაოკ: ალექსანდერი (16), ანგელიდისი, ბალოიანისი (13), ბაზარევიჩი (11), კოლდებელა (3), ბ. ედვარდსი (17), მასლარინოსი (2), ნიკოლაიდისი (3), პერალი (2), პრელევიჩი
მაკაბი: ბრისკერი, კომეგისი, ჰენფელდი (9), ჰაფმანი (11), ჯამჩი (5), მაკდონალდი (9), შარფი (5), შეფერი (11), შელეფი (5)

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში*
*გადამწყვეტი მატჩები გაიმართება 9 მარტს*




ციბონა — ცსკა 55:75. ვალერი დაინეკომ (ბურთით) ციბონელთა კაპიტანი დავორ მარცელიჩი ჩამოიტოვა

# ვიდეოკამერამ ბარსელონას განაჩენი გამოუტანა




ულქერი — ბარსელონა 63:60. ულქერელი უფუკ სარიჯა (ბურთით) და ფრანსისკო ელსონი

მატჩის დამთავრებამდე 51 წამი რჩებოდა, ანგარიში 60:60 იყო. მსაჯებმა სადავო ბურთი დანიშნეს, მაგრამ მერე საეჭვო ეპიზოდი ვიდეოკამერაში ნახეს და გადაწყვეტილება შეცვალეს — ბურთი სტამბოლის „ულქერს“ გადაეცა. „ბარსელონას“ მოთამაშეებმა ბევრი კი იდავეს, მაგრამ მსაჯებმა ყური არ ათხოვეს. „ულქერის“ შეტევა უფუკ სარიჯამ ორი ჩაგდებული საჯარიმოთი დააგვირგვინა. ბარსელონელმა ხუან კარლოს ნავარომ სამქულიანი ესროლა, მაგრამ ააცილა და გამარჯვებაც „ულქერს“ დარჩა. სტამბოლის გუნდმა გაათანაბრა სერიის ანგარიში და ახლა გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადება, რომელიც 9 მარტს გაიმართება ბარსელონაში.

თუმცა, „ბარსელონა“ არც ბედს შეეგუა და არც მსაჯების გადაწყვეტილებას დაეთანხმა. კლუბმა ფიბა-ში პროტესტი შეიტანა, მაგრამ უშედეგოდ. ამრიგად, ბარსელონელებს გადამწყვეტი მატჩის თამაში არ აცდებათ.

„ბარსელონამ“ შესანიშნავად დაიწყო საპასუხო მატჩი და შეუჩერებელი დერიკ ალსტონის წყალობით თავიდანვე ათი ქულით დაწინაურდა. „ულქერმა“, პირველი მატჩის დარად, კვლავ დათმო ფარი, თუმცა სტუმართა ეს უპირატესობა ქულებში სათანადოდ ვერ აისახა.

სტამბოლელებმა ტაიმი ხუთი ქულით წააგეს (30:35) და შესვენების შემდეგ მეტოქეს ზეხისტი ზონური დაცვა შესთავაზეს. „ბარსელონა“ დიდხანს ვერაფერს ახერხებდა, ერთადერთი გასოლი გამოირჩეოდა. ანგარიში 60:60 მაშინ გახდა, როცა ნავარომ ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო. მერე რაც მოხდა, იმის გამეორება საჭირო აღარაა.

თელ ავივის „მაკაბის“ ზედიზედ ექვსი საევროლიგო მატჩი მოეგო და სალონიკშიც ფავორიტად ჩავიდა. ებრაელებმა პირველ მატჩში იმდენად იოლად აჯობეს პაოკ-ს, რომ ყველა ელოდა, ეს სერია საპასუხო მატჩის შემდეგვე მორჩებაო. სალონიკელებმა, რომლებიც ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ მასპინძლები არიან, არ გაიზიარეს საზოგადოებრივი აზრი და „მაკაბის“ სულ კუდით ქვა ასროლინეს. ებრაელები თავიდან 5:0 დაწინაურდნენ, მაგრამ მალე 12 უპასუხო ქულა მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ გამთამაშებელი არიელ მაკდონალდი ვერ ბრწყინავდა, ნეით ჰაფმანი დაბნეული, ხოლო დორონ შეფერი უქეიფოდ იყო, „მაკაბიმ“ დაიბრუნა უპირატესობა, თუმცა ტაიმი 30:31 დათმო. ებრაელებმა ოთხი სამქულიანი ჩააგდეს, სამაგიეროდ პაოკ-ს ჰყავდა ბილ ედვარდსი, რომელმაც შესვენებამდე 15 ქულას მოუყარა თავი. მატჩი უხეში იყო, მე-15 წუთზე მსაჯებმა პაოკელი სოტირის ნიკოლაიდისი გააძევეს, რომელმაც დალას კომეგისს გაარტყა.

ტრავმამოშუშებული სალონიკელი გიორგოს ბალოიანისი მოედანზე მეორე ტაიმის დასაწყისში გამოვიდა და ძალიან მალე სამი სამქულიანი ჩააგდო. პაოკი 8 ქულით იყო წინ, როცა მისმა მწვრთნელმა ფლევარაკისმა წუთშესვენება აიღო და თამაშში ვიქტორ ალექსანდერი დააბრუნა. დამთავრებამდე 11 წუთი რჩებოდა, ხოლო „დიდ ვიქს“ ოთხი პერსონალური ჰქონდა მიღებული. ალექსანდერმა, გარდა იმისა, რომ რამდენიმე საჭირო ქულა მიითვალა, თითქმის ყველა ბურთი მოხსნა. პაოკ-ის უპირატესობა 63:49-მდე გაიზარდა. „მაკაბიში“ ლიდერობა ვერავინ იტვირთა, გუნდის შეტევები უსუსური იყო, ამიტომაც ამ სერიის გამარჯვებული 9 მარტს გაირკვევა თელ ავივში. საინტერესოა, რომ სალონიკურ მატჩში პაოკ-მა 23-ჯერ დაკარგა ბურთი, სამაგიეროდ ორმაგი უპირატესობა მიიღო მოხსნებში — 38:16.

„მაკაბი“ — პაოკ-ის წყვილში გამარჯვებულის მეტოქე უკვე ცნობილია. ბოლონიის „ფორტიტუდომ“ იტალიური დერბის მეორე მატჩიც მოუგო ტრევიზოს „ბენეტონს“ და მეოთხედფინალში გავიდა. „ფორტიტუდოს“ დიდი უპირატესობა ჰქონდა ფარზე, ძირითადად სტოიან ვრანკოვიჩის (110 მოხსნა) წყალობით. ამას ზონური დაცვაც დაერთო და ბოლონიელები 60:45 დაწინაურდნენ. „ბენეტონის“ სნაიპერები მარსელო ნიკოლა და ჯეფ შეპარდი ვერ ყოჩაღობდნენ. სამაგიეროდ გაიბრწყინა ფორტიტუდოელმა ცენტრმა ჯაკომო გალანდამ, რომელმაც ფარქვეშიდან ჩაგდებულ ბურთებს სამქულიანიც მიაყოლა. ნიკოლამ, როგორც იქნა, ჩააგდო სამქულიანი და „ბენეტონს“ ერთი მონაკვეთი 7:0 მოაგებინა. ანგარიშის რვა ქულამდე შემცირებამ ვერ აალელვა „ფორტიტუდო“: ცისვისხლიანმა ბოლონიელებმა მშვიდად მიიყვანეს მატჩი და მერვედფინალური სერია ბოლომდე.

მატჩის შემდეგ „ბენეტონის“ მწვრთნელმა პიერლუიჯი ბუჩიმ აღნიშნა, რომ „ფორტიტუდო“ გაცილებით ძლიერია, ვიდრე მისი გუნდი. შედეგი ლოგიკური იყო, თანაც ჩვენი ორი ლიდერი ფორმაში ვერ არის: ჯეფ შეპარდმა ახლახან მოირჩინა გრიპი, ხოლო ბრედ ტრაინა კოლიტმა წაგვიქციაო.

„ფორტიტუდოს“ ბედი გაიზიარა და მეოთხედფინალში გავიდა „ვილერბანი“, რომელმაც მადრიდშიც შეძლო „რეალის“ დამარცხება. პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ კი მდგომარეობა გამოასწორა და გადამწყვეტ მატჩში ლიუბლიანაში დაეჭიდება „ოლიმპიას“. პირეოსულ მატჩში მასპინძლებს შესანიშნავმა დაცვამ მოაგებინა. „ოლიმპიაკოსმა“ დიდი უპირატესობა მიიღო ფარზე (46 მოხსნა 25 წინააღმდეგ). „ოლიმპია“ კი თავის თავს არ ჰგავდა, სიზუსტით განთქმულმა გუნდმა სროლათა 30 პროცენტი ჩააგდო (55 სროლიდან 17). ლიუბლიანელთაგან მხოლოდ ლიტველმა შარუნას იასიკევიჩიუსმა მიაღწია 10-ქულიან ზღვარს.

ათენის „პანათინაიკოსს“ კრიზისი გაუჭიანურდა. კრიზისია, აბა რა, როცა ევროლიგის ფავორიტი და საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი უიმედოდ აგებს მერვედფინალში ბოლო წამს გასულ მეტოქესთან. პოდგორიცაში, „ბუდუჩნოსტის“ წინააღმდეგ, „პანათინაიკოსს“ არ ჰყავდა წელგაშეშებული ფრაგისკოს ალვერტისი. ფეხმტკივანი ჟელკო რებრაჩას თამაშიც სათუო იყო, თუმცა იგი მოედანზე მაინც გამოვიდა და 14 წუთში ხუთი ქულა (ექვსიდან ორი ორქულიანი და ერთიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო) და ერთადერთი მოხსნა გააკეთა. რებრაჩასთვის, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, თუმცა ეს ფაქტი სრულებითაც არ ამართლებს „პანათინაიკოსის“ მარცხს: ევროლიგის მოგებაზე პრეტენზიის მქონე გუნდის ბედი ერთ-ორ კაცზე არ უნდა ეკიდოს.

ისე გამოგვივიდა, თითქოს „ბუდუჩნოსტს“ არაფერი გაეკეთებინოს და მხოლოდ „პანათინაიკოსის“ დაუძლურების ან შეცდომების ხარჯზე მოეგოს. მსგავსი არაფერი ყოფილა — პოდგორიცელებმა ვაჟკაცურად იბრძოლეს და მრისხანე მეტოქეს ერთხანს 17 ქულითაც კი უგებდნენ. „ბუდუჩნოსტის“ რიგებში საუკეთესო იყო დეიან ტომაშევიჩი, რომელმაც ქულებთან ერთად მოხსნებიც ბლომად აკეთა.

თუკი მოსკოვის ცსკა ზაგრებშიც დამარცხდებოდა „ციბონასთან“, მაშინ, ცხადია ევროლიგას დაემშვიდობებოდა და მთავარ მწვრთნელსაც დაკარგავდა. არმიელთა ხელმძღვანელობას მოსაზხსნელად ჰყავდა გამზადებული სტანისლავ ერიომინი, რომელსაც მოსკოვური მატჩის შემდეგ საშინელი რისხვა დაატყდა თავს. ცსკა-მ ბრწყინვალედ ითამაშა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში და თავის თავს მეოთხედფინალში გასვლის შანსი შეუნარჩუნა, ერიომინს კი — თანამდებობა. გადამწყვეტი მატჩი 9 მარტს მოსკოვში გაიმართება.

**მერაბ რატიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XXIII ტური

ფრაიბურგი 1:1 არმინია

0:1 ლაბადია (18), 1:1 შ. მიულერი (67)

ვოლფსბურგი 4:4 ჰამბურგი

0:1 მაჰდავიკია (9), 0:2 კარდოზო (21), 0:3 მაჰდავიკია (41), 1:3 სებესკენი (43), 1:4 კარდოზო (53), 2:4, 3:4 სებესკენი (54, 59), 4:4 რიხე (75)

II ბუნდესლიგა

XXI ტური

ალემანია 1:1 გლადბახი

ქემნიცი 2:1 ფორტუნა

კიოლნი 3:0 ბოხუმი

კოტბუსი 4:2 ფიურტი

## ინგლისი

I დივიზიონი

XXXIV ტური

სტოკპორტი 1:3 ბარნსლი

II დივიზიონი

XXXIV ტური

კარდიფი 2:2 უიკომბი

III დივიზიონი

XXXIV ტური

საუთენდი 1:0 მაკლსფილდი

## ჩეხეთი

XIX ტური

ლიბერეცი 0:1 სლავია

ბოჰემიანსი 1:0 ვიქტორია

## თურქეთი

XXIII ტური

ბეშიქთაში 3:0 ალთაი

## ავსტრია

XXIII ტური

რაპიდი 1:0 აუსტრია

## საფრანგეთი

თასის მერვედფინალი

რენი 3:2 ლორიანი

## ჰოლანდია

XXIV ტური

ალკმაარი 2:2 ტილბურგი

ვიტესი 2:0 როდა

## იტალია

სერია B

XXV ტური

პესკარა 0:1 ატალანტა




# გოგოებო, გეყვარებათ ფეხბურთი

*ომით ტანჯულ სომალის დედაქალაქ მოგადიშუს ქალთა სასწავლებელში ფეხბურთის გაკვეთილი მიმდინარეობს. მასწავლებლად აქ მოჰამედ აბდე მაქარაანი (მარჯვნივ) გახლავთ, ვინაც მოქმედი მოთამაშე და ეროვნული ნაკრების წევრიცაა. აქვე ითქვას, სომალის ნაკრები უკვე ჩაერთო 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, თუმც კი ყოველ საშინაო თამაშს საზღვარგარეთ გამართავს — არავინ იცის, რა დროს რა აფეთქდება მოგადიშუში.*

# ტყუილად ჩასულა



მონაკოს უფლისწული ალბერი სულ ტყუილად ჩასულა მალიორკაზე. იქაურ ფეხბურთელებს გვარიანი სირცხვილი უჭმევიათ მის ქვეშევრდომთათვის და სტადიონზე მყოფი უფლისწული იმას თუ ფიქრობდა, აქ ჯდომას მალიორკულ გემრიელ მზეზე ნებივრობა ჯობდაო. თუმცა, მზე მონაკოშიც გადასარევია...



# დონის ხელში

*მორჩა, აწონვამ ჩაიარა. გრამ-გრამ ერთი წონისანი გამომდგარან სუპერველტერის ორი ქამრის მპყრობელი ოსკარ დელა ჰოიას დამმარცხებელი ფელიქს „ტიტო“ ტრინიდადი და ჯერაც დაუმარცხებელი დევიდ რიდი. ამაღამ ლას ვეგასის „სიზორზ პალასში“ მათი ბრძოლაა დანიშნული. ოღრაშთ ოღრაში პრომოუტერი დონ კინგიც აქვეა. უმისოდ აბა როგორ იქნება?*

# დაბრუნდა

„ატლანტა ბრეივზის“ ბეისბოლისტთა გუნდის პიჩერი ჯონ როკერი გუნდს დაუბრუნდა და მონდომებით ვარჯიშობს. გაუხმაურებული მიზეზით როკერისთვის უქმობა მიუსჯიათ, მის დაბრუნებას კი პრესკონფერენცია მიეძღვნა. ერთგული ატლანტელი ფანიც იქვე იყო. ავტოგრაფი... ღიმილი... სპორტული ცხოვრება გრძელდება.



# სახსოვრად კლინტონს

*ამერიკის პრეზიდენტ ბილ კლინტონს მორიგჯერ სწვევიან მობურთალნი. ამჯერად შარშანდელი ეროვნული ჩემპიონატის მომგები, ხალხში „სემინოლების“ სახელით ცნობილი ფლორიდელ სტუდენტთა გუნდი. მოკლედ, პრეზიდენტმა მორიგი საკლუბო სვიტერი მოირგო...*




სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli